


୭ ପାଠୀତାଳ  
ଲକ୍ଷମା ନନ୍ଦ ମନ୍ଦିରାଳେଖାଳ



## მოქადაგის პირველი:

ჩარითა იგნატიევნა ოგუდალოვა—საშუალო ასაკის ქვრივი. აცვია კობტად,  
მაგრამ გაბედულად, წლოვანების შეუტყრებლად.

ლარისა დიმიტრიევნა—მისი გასათხოვარი ქალიშვილი. აცვია მდიდრულად,  
მაგრამ სადაც.

მოკი პარმენის ქრისტოვი—უკანასკნელი დროის ფართო გაქანების საქმო-  
სარი. ხანჩიშესული, მარჯვე და მოხერხებული კაცი. დიდი ქონების  
პატრიოტი.

ვახილი დანილის ვოსევატოვი—ძალიან ახალგაზრდა კაცი, მდიდარი სა-  
გატრო ფირმის ერთეული ჭარბომაღდევნელი; ტანისამოსი ევროპული  
აცვია.

სერგეი ხერგევის პარატოვი—ბრწყინვალე ბატონი, გემების მფლიბელა-  
დანი. 30 წელს გადაცილებული.

იული კაპიტანის კარინდიშვილი—ახალგაზრდა კაცი, ხელმოკლე მოხელე-  
იურისინია პოტაპოვნა—კარანდიშვილის დეიდა.

რობერთონი. გადრილი—კლუბის მებუჟეტე და ყავახანის პატრიოტი.  
ივანე—ყავახანის მოსამსახურე.

ლაქია ოგუდალოვახი. ალია—ბორის ბრიანიშვილი, ვოლგაზე  
მოქმედება წარმოებს ჩერნის დროს<sup>1</sup> დიდ ქალაქ ბრიანიშვილი, ვოლგაზე

## მოქადაგის პირველი

ვოლგის მაღალ სანაბიროს ქალაქის ბულვარი. ყავახანა წინ პატარა  
შოედნით. მარჯვივ აქტიონებისაგან—ყავახანაში ზესასელელი; მარცხნივ  
ხელი, სიღრმეში თუჭის შოაჯირი. მოაჯირს იქით გადასახედი გოლ-  
გასე—სიგრცები, ტყები, სოფლები. ყავახანის წინ მოედანზე მაგიდები და  
სკამები ერთი სუფრა ყავახანის მახლობლად არის გაშლილი, ხოლო  
შეორე—მარცხნივ.

### გამოსვლა 1-ლი

გავრილო ყავახანის კარებზი დგას. ივანე დგამს მოედანზე  
აღავტეს

ივანე—ბულვარში კაცის ჭაჭანება არ არის.  
გავრილო—უშე დღე მუდამ ასეა. ძევლებურად ვცხოვ-  
რობთ: გვიანი წილვის შემდეგ შეი და ნამცხვარი, ხოლო  
პურ-მარილის შემდეგ, — შეიძი საათის დასვენება.

ივანე—შეიზის კი არა! სამი-ოთხი საათის. კარვი წესია.  
გავრილო—მერე, სალამოს ლოცვისთვის გაიღოიძებენ.  
გულს ჯავრი სანამ არ შემოეყრებათ, ჩაის სმას განაგრძობენ.  
ივანე—ჯავრის შემოყრამდე? რა არის აქ საჯავრელი?

გავრილო—აბა სცადე და სამოვარს ახლოს მიუჯერი;  
ორი-სამი საათის განმივლობაში მდედარე ხუხე და მაშინ  
ნახავ, ოფლის წურვის შემდეგ გულს პირველი ჯავრი რომ  
შემოგაწვება... დალევენ ჩაის, გამოყლენ ბულვარში, ცოტას  
არის მაინც რომ ამოისუნთქონ, გაინიარდონ. ახლა სუფთა  
ხალხი სეირნობს, აგრე მოკი პარმენის ქნუროვიც დამოსულ.

ივანე—ყოველ დილა: ბულვარს ლაჯებით ეჯრე ზო-  
მავს, ბოლოასა სცემს იმნაირად, თითქოს ვინმესათან პირობა  
დაედოს. ერთი მაცოდინა, თაგა რისთვის იწუხებს ნეტავ?

გავრილო—მოცონისთვის.  
ივანე—მოცონი რიღასთვისაა?

<sup>1</sup> „ჩერნი დროს“ ლატრონესკის დრო იგ ულიაშვილი. (ტარგმენტი).

გავრილო — მადისთვის, მადის მოსაყვანად. მადა კი სადილისთვის სჭირდება. მერე რა სადილები აქვს, რომ იცოდეს! უმოციონოდ ეგეთ სადილს ვინ მოერევა.

ივანე — რათ არის მუდამ ასე გაჩუმებული?

გავრილო — „გაჩუმებული!“ სულელო... მაშ რა ქნას, როცა მილიონებით ყელამდე ავსებულა. ვის ელაპარაკოს? ქალაქში ორიოდ აღამიანი თუ იქნება და მათთან საუბრობს. სხვა არავინ არის. პოდა, ისიც ჩუმად არის. აკი იმიტომაც ხდება, რომ აქ დიდიხნით ვერ ძლებს. სულ ვერ გალებდა, საქმები რომ არა. საბაასოდ კი მოსკოვს მიდის, პეტერბურგს, სანქტარგარეთ, გასაქანს იქ პოულობს.

ივანე — აგერ ვასილი დანილიჩიც დაღმართხე დაეშვა. განა ეგ მდიდარი არ არის, მაგრამ ჩუმად როდია.

გავრილო — ვასილი დანილიჩი ჯერ ახალგაზრდაა, სულ-მოკლე, თავისი მდგომარეობა ჯერ ვერც შეფრინია. ხანში რომ შევა, ეგმც კერპად იქცევა.

(მარცხნიდან კნუროვი შემოღის, იგანესა და გავრილოს სალამი ყურადღებას არ აქცევს, სუფრას მიუჯდება, ჯიბიდონ ფრანგულ გახეთს ამოიღებს და კითხულობს. მარჯვნიდან ვაკევატოვი შემოდის).

### გავრილო მი-2

კნუროვი, ვოშვატოვი, გავრილო და ივანე

ვოშვატოვი — (თავს მოქრალებით უკრავს). მოკი პარმენიჩ, მაქვს პატივი მოგესალმოთ.

კნუროვი — ა, ვასილი დანილიჩი! (ხელს ართმევს). საიდან?

ვოშვატოვი — ნავსადგურიდან. (ჯდება. გავრილო უახლოვდება).

კნუროვი — ვინმეს დახვდით?

ვოშვატოვი — დაუხვდი, მაგრამ ვერ შეხვდი. სერგეი სერგეიჩი პარატოვისაგან გუშინ დეპეშა მივიღე. მისგან გემს ვყიდულობ.

გავრილო — „მერცხალს“ ხომ არა, ვასილი დანილიჩი?

ვოშვატოვი — ჰო, „მერცხალს“. მერე რა იყო?

გავრილო — მევირცხლად დაპერის, მძლავრი გემია.

ვოშვატოვი — ჰოდა, სერგეი სერგეიჩიმა მომატყუა, — არ ჩამოვიდა.

გავრილო — თქვენ მას „თვითმფრენით“ ელოდებით და, ეს იცის, იქნებ ისინი თავის საკუთარ „მერცხლით“ ჩამობრძანდნენ.

ივანე — ხედავთ; ვასილი დანილიჩ, აგერ ზემოდან კი-დევ მოპერის რალაცა გემი.

ვოშვატოვი — ეჭ, ვინ მოთვლის რამდენი გემი დაპერის ვოლგაზე!

ივანე — სერგეი სერგეიჩი უნდა ბრძანდებოდეს.

ვოშვატოვი — შენა გვონია?

ივანე — დიახ, ისინი უნდა იყვნენ... გარსაცმით „მერცხლს“ ვინ არ იცნობს.

ვოშვატოვი — შეიდ ვერსხე გარსაცმს რას გაარჩევ.

ივანე — რატომაც არა! მისი გარჩევა ათი ვერსის მანძილზეც შეიძლება... მერე და მთელი სისწრაფით მოექანება, ხელი ერყობა, რომ პატრონი მოჰყავს.

ვოშვატოვი — შორს არის?

ივანე — კუნძულს გამოსცდა. მოექანება, და როგორ მოექანება!

გავრილო — შენ ამბობ, რომ მოექანება?

ივანე — დიახ, მოექანება. საკვირველია, „თვითმფრენზე“ სწრაფად მოჰყავს.

გავრილო — დიახ, ისინი მობრძანდებიან.

ვოშვატოვი — (ივანეს). როცა ნაესადგურს მოადგნენ, მოგვახსენე.

ივანე — მესმის... ალბათ ზარბაზანსაც გაისცრიან.

გავრილო — აუცილებლად.

ვოშვატოვი — რომელ ზარბაზანს? რა ზარბაზანს?

გავრილო — მათ ხომ ვოლგაზე კარტაპები ლუზით უდგათ.

ვოშვატოვი — ვიცი.

გავრილო — ჰოდა, კარტაპები ზარბაზანი დგის. როცა სერგეი სერგეიჩის ხედებიან, ან აცილებენ, გაისვრიან. (ყავაზის იქით გაიხდავს). იგერ კალასკაც! მათთან მიდის. ეს ჩირკოვის კალასკა გახლივთ. სჩანს ჩირკოვს შეატყობინეს, რომ მობრძანდებიან. კოფოზე თვითონ ჩირკოვი ზის, იმათ პატივ-საცემად.

ვოშევა ტოვი — რა იცი, რომ იმათ პატივსაცემად?  
გავრილო — ოთხი იორბა, ისიც მწერივად, რა თქმა  
უნდა, მათ პატივსაცემად... ჩირკოვი სხვისთვის ვილასთვის  
დაამშერივებდა ასეთ ოთხეულს! კაცი თვალს ვერ გაუსწო-  
რებს. ნამდვილი ლომებია... ლაგამი ძლივს აოკებს! რა მოსარ-  
თავები, რა მოკაზმულობა, ესეც იმათთვის არის, მათ პატივ-  
საცემად.

ივანე — ჩირკოვს კოფოჩე ბოშაც უჩის, სადლესასწაულო  
კაზაკინით გამოწყობილი. ტყაყის ქამარიც ისე შემოუჭრია,  
გეგონება წერეში გადაწყდებათ.

გავრილო — ყოველივე ეს იმათ პატივსაცემად არის მოწ-  
ყობილი. სხვა არავინ არის ისეთი, რომ ასეთი ოთხეულით  
შებმულ ეტლში ჩაბრძანდეს. იმათთვისაა!

კნუროვი — უნდა ითქვას, რომ შნოიანად, ლაზათით  
ცხოვრობს პარატოვი.

ვოშევა ტოვი — თქვენ სხვა რამ თქვით, თორემ ლაზათი  
იმას არ აკლია?

კნუროვი — გემს იაფად ყიდულობთ?

ვოშევა ტოვი — იაფად, მოკი პარმენიჩ!

კნუროვი — დაახ, გასაგებია, თორემ ისე, — რა ანგარი-  
შია მისი ყიდვა. ნეტავ რათ ყიდის?

ვოშევა ტოვი — ეტყობა, ხეირს ვერ ხედავს.

კნუროვი — რა თქმა უნდა, გემი რა მაგისი საქმეა. ბა-  
ტონკაცური საქმე არ არის. აი თქვენ ხეირს უსათუოდ ნა-  
ხავთ, იაფად თუ ჟეიძენთ.

ვოშევა ტოვი — ჩვენთვის მისწრებაა. ქვევით, მდინა-  
რებე, საქონელი ბლომად გვიწყება.

კნუროვი — ფული ხომ არ დასჭირდა?.. ცოტა მცდან-  
გავია.

ვოშევა ტოვი — ეგ მისი საქმეა, ფული მისოვის მზად  
გვაქვს.

კნუროვი — დიახ, ფულით საქმის გაკეთება ჟეიძლება.  
(დიმილით). კარგია მისოვის, ვასილი დანილიჩ, ვისაც ფული  
ბლომად აქვს.

ვოშევა ტოვი — რასაკვირველია, ცუდი არ არის! ეს  
ოქენე კარგად მოგეხსენებათ, კარგად იცით, მოკი პარ-  
მენიჩ!

კნუროვი — ვიცი, ვასილი დანილიჩ, ვიცი.

ვოშევა ტოვი — რამე დავლით, ცივ-ცივი, მოკი პარ-  
მენიჩ!

კნუროვი — რას ამბობთ, დილით? ჯერ არც კი ში-  
საუზმია...

ვოშევა ტოვი — არაფერია. ერთი ინგლისელი, — ფაბ-  
რიეს დიორექტორია, — მეუბნებოდა, რომ სურდოსათვის შამ-  
ბანური უშმოსე მისწრებააო. მე კი გუშინ ცოტა გაეციცლი-

კნუროვი — რანაირად? ასეთი თბილი დღეებია და...

ვოშევა ტოვი — ჰოდა, სწორედ იმიტომაც გაეციცლი:  
ძალებ ცივი მოგვაროვეს.

კნუროვი — აბა რა არის ამაში კარგი; ხალხი დაინახავს  
და იტყვის: რა ამბავია, დილადღრიან შამპანურს სვამენო.

ვოშევა ტოვი — მაშ, ხალხმა ცუდი რამ რომ არ თქვას,  
ჩინ დავლით.

კნუროვი — ჩინ სხვა საქმეა.

ვოშევა ტოვი — (გაერილოს). გავრილო, ჩინ მოგვიტანე,  
ჩემი ჩინია, ვესმის.. „ჩემი“!

კნუროვი — მესმის. (მოდის).

კნუროვი — თქვენ რაზ განსაკუთრებულ რამეს ხომ არ  
სესმი?

ვოშევა ტოვი — იმიერ შამპანურს, მხოლოდ ჩაიდანუში  
გადაილებს და ლამბაქიან ჟიქებს მოგვაროვეს.

კნუროვი — კარგი მოფიქრებაა.

ვოშევა ტოვი — გაჭირვება ყველაფერს გასწავლის, მოკი  
პარმენიჩ!

კნუროვი — მაშ მიდიხართ, რაღა, პარიზს გამოფენაზე.

ვოშევა ტოვი — აი, გემს ვიყიდი, ქვევით საქონლისათვის  
გვისტუმრებ და კიდევ გავემგზავრები.

კნუროვი — მეც ამ დღეებში ავიყრები, უკვე მელიან.  
(გავრილოს უშმოქვს ორი ჩაიდანი და ორი ჭიჭა ლამბაქია).

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — (ასხამს შამპანურს). ახალი ამბავი თუ გა-  
რეთ, მოკი პარმენიჩ? ლარისა დიმიტრიევნა თხოვდება.

კ ნ უ რ ო ვ ი — როგორ თუ თხოვდება? რას ამბობთ? ვის  
მიჰყება?

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — კარანდიშევს.

კ ნ უ რ ო ვ ი — რა სისულელეა! აი ფანტაზია! აბა, რას ჭარ-  
მოადგენს კარანდიშევი? ის ხომ მისი შესაფერისი სულაც არ  
არის, ვასილი დანილი!

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — რა ბრძანებაა, შესაფერი კი არა! მაგ-  
რამ რას იზამ, სად არიან ახლა საქმროები? ის ხომ უმშეით-  
ვთა.

კ ნ უ რ ო ვ ი — სწორედ უმშითვოები შოულობენ კარგ საქ-  
მროს.

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — ის დრო წავიდა. წინათ საქმროებიც  
ბევრი იყო და უმშითვოებსაც პკოფნიდათ; ახლა საქმრო ყმაწ-  
ვილქაცები თითხე ჩამოითვლებათ. რამდენიც მზითვია, იმ-  
დენი საქმროა, ზედმეტი არ არის, — ჰოდა, უმშითვოებ-  
საც ამიტომაც არა ხვდებათ რა. ხარიტა იგნატიევნა ქალს  
კარანდიშევს გაატანდა, უკეთესი ვინმე რომ იყოს?

კ ნ უ რ ო ვ ი — მარჯვე დედაკაცია.

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — მგონი რუსი არ უნდა იყოს.

კ ნ უ რ ო ვ ი — რატომ?

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — მეტისმეტად მოხერხებული ქალია.

კ ნ უ რ ო ვ ი — მიკირს ეს როგორ მოუვიდა. ოგუდალ-  
ვები კარგი გვარის შეილნი არიან და, ხედავთ, ქალს ვიღაც  
კარანდიშევს ატანს. დიახ, მის ჭახრაჟიანობას ეს სრულიადაც  
არ შეპტერის! მისი სახლი მუდამ საგსეა უცოლო მამაკაცე-  
ბით!..

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — მისელით ყველა დადის მასთან, იქ  
მუდამ მხიარულებაა: ქალიშეილიც ეშხიანია, უკრავს სხვადა-  
სხვა საკრავებზე, მღერის, ქცევა თავისუფალი აქვს, — ჰოდა,  
ყოველივე ეს ყველას იზიდავს... ცოლის შერთვა კი, მოუ-  
ფიქრებლად არ იქნება.

კ ნ უ რ ო ვ ი — მერე ორი ხომ გაათხოვა?..

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — გათხოვებით კი გაათხოვა, მაგრამ ერთი  
172

მშეობაც ვეითხოთ, ტკბილად ცხოვრობენ ქმართან თუ არა.  
უფროსი ვიღაც მთიელმა, კავკასიელმა თავიდმა წაიყვანა. აი,  
სეირი მაშინ იყო... დაინახა თუ არა, აცახცაბდა, ატირდა  
კიდეც, — ორი კვირა გვერდით უდგა, ხელი ხანჯალზე ედო  
და თან თვალებს აბრიალებდა, ახლოს არავინ მიეკაროსო.  
ბოლოს შეირთო და თან წაიყვანა; ამბობენ კავკასიამდე არც  
ჩაუყვანია, იქვნეულობის ნიადაგზე გჩაშივე დაკლაო. მეორეც  
ვიღაც უცხოელს გაჰყავა. შემდევ იღმოჩნდა, — უცხოელი კი  
არა, თურმე შულერი ყოფილია.

კ ნ უ რ ო ვ ი — ოგუდალოვამ ცუდად როდი იყარაულა. შეძ-  
ლება არ მაქვს, ვერც მზითვს გავამზადებ, — მაშ ვიცხოვრებ,  
იმს ყველის გავულებო.

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — თან მხიარულად უყვარს ცხოვრება; შეძ-  
ლება კი ისე მცირე აქვს, რომ ისეთი ცხოვრებაც უჭირს.

კ ნ უ რ ო ვ ი — მაშ სახსარს საიდან შოულობს?

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — საქმროები ხელს უმართავენ. ვისაც მისი  
ქალი მოეწონება, ჯიბეც მზად უნდა ჰქონდეს... მერე სასი-  
სმის შეითვის ფულს გამოართევს და მზითვს კი ნუ მოპყითხავ.

კ ნ უ რ ო ვ ი — ვფიქრობ, მარტა საქმროები როდი იხარ-  
ჯებით. ვეონებ, არც თქვენ გიჯდებათ იაფად იქ სიარული.

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — ეგ მე როდი გამაღარიბებს, მოეც პარმე-  
ნის! როს იხმა, სიმომენებამ ხარჯი იცის, მუქთად არაფერი  
არ იშოება, მთოსნ ყოფნა კი სასიამოენოა.

კ ნ უ რ ო ვ ი — ჰესმარიტად რომ სასიამოენოა. სრულ სიმარ-  
თლეს იმზობო.

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — თქვენ კი, თითქოს, არასდროს არ და-  
დიხართ.

კ ნ უ რ ო ვ ი — დიახ. რაღაც უხერხულად მიშაჩნია. იმათსა  
ბევრი ვიგინდარა დადის, მერე შეგხვდებიან, თავს დაგიკრა-  
ვენ, სალაპარაკოდ შემოგეჩრებიან. აი, თუნდაც კარანდიშევი,  
აბა რა ჩემი ნაცნობია!

3 მ შ ე ვ ა ტ ო ვ ი — დიახ, მათი სახლი მართლაც ბაზარს  
ჰგავს.

კ ნ უ რ ო ვ ი — ჰოდა, განა სასიამოენოა? ერთი ქათინაურე-  
ბით ეტმასნება ლარისა დიმიტრიევნას, მეორე — ნაზი კურ-

კურით, ერთი სიტყვით, ყურთასმენა აღარ არის, არ გაცლიან რამე უთხრა. მისი ხშირად ნახვა პირისპირ, ხელშეუშლელად კი ერთობ სასიამოვნოა...

ვოშევა ტოვი — ჰოდა, მისი შერთვაა საჭირო.

კნუროვი — შერთვა? ეგ ყველას როდი შეუძლია, ზოგი ისურვებს. აი მე, მაგალითად, ცოლიანი ვარ.

ვოშევა ტოვი — რა გაეწყობა, მოკი პარმენიჩ, ყურძენი პარგია, მაგრამ ვაი რომ ეერ შეწვდებით!

კნუროვი — თქვენ გვონიათ?

ვოშევა ტოვი — ცხადია. იმ ქუსის იდამიანები აღარ არ-სებობენ, რომ ცოლი ეგრე პარიარად შეირთონ. ყოფილა შემ-თხვევა, მაგრამ როდი შემცდარიან. ახლა სხვა რა გზა აქვთ, დევ კარიანდიშვევი იყოს, ოლონდ კი გათხოვდეს.

კნუროვი — კარგი იქნებოდა ეგეთ ქალიშვილთან ერთად პარიშს გასეირნება გამოიფენაზე.

ვოშევა ტოვი — დიახ, ურიოგ არ იქნებოდა, მასთან ერ-თად გასეირნება უსათუოდ სასიამოვნო იქნებოდა. ხედავთ, როგორი გეგმები გქონიათ, მოკი პარმენიჩ!

კნუროვი — თქვენ, თქვენ კი არ გქონიათ ეგეთი გეგმები?

ვოშევა ტოვი — არა, მე ერთი უბრალო კაცი ვარ, მა-გისთანა საქმეებისათვის ქალთან გამშედაობა მექარება. რა ვენა, ეგრე აღმზარდეს... მოგეხსენებათ, მომეტებული ზე-ობა, პატრიარქალობა.

კნუროვი — ერთი თქვენც ამბობთ რალა! თქვენ ჩემზე მეტი შესაძლებლობა გაქვთ: ახალგაზრდობა დიდი რამ არის. მერე არც უულს დაინანებთ; გემს იაფად ყიდულობთ, ჰო-და, მოგებიდან რამეს გაიღებდით. ოლონდ „მერცხალზე“ იაფი ეგ საქმე მაინც არ დაგიჯდებოდათ.

ვოშევა ტოვი — ყველა საქონელს თავისი ფასი აქვს, მოკი პარმენიჩ. მართალია, ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ანგარიში როდი მეშლება, ზედმეტს არასოდეს არ გადავაყოლებ.

კნუროვი — ნუ იქადით! თქვენს წლოვანებაში სიყვარუ-ლი დღვილი რამ არის და მაშინ ანგარიშიც დაგავიწყდებათ.

ვოშევა ტოვი — არა, მოკი პარმენიჩ, ჩემ თავს მაგეებს როგორლაც ვერ ვამჩნევ.

კნუროვი — რას?

ვოშევა ტოვი — რას და იმას, რასაც სიყვარულს უწო-დებენ.

კნუროვი — ერთობ საქები თვისებაა. თქვენგან უსათუოდ კარგი ვაჭარი გამოვა. მაგრამ მასთან სხევბზე უფრო მახლო-ბელი მაინც ხართ.

ვოშევა ტოვი — მერე და რაში გამოიხატება ეგ ჩემი სისხლოეს? დედის უჩუმრიად ხანდახან ჰელმეტ ტიქა შამპა-ნის თუ დავუსხამ, სიმღერას ვასწავლი, ანდა ისეთ რომანს თუ მიყურან, რომლის კითხვაც ქალიშვილებს აკრძალული აქვთ.

კნუროვი — ნელ-ნელა ხრწინო, არა?

ვოშევა ტოვი — მერე მე რა! თავს ძალათ ხომ არ ვა-ბებ. მისი ზეობა მე რაში მედარდება, მე ხომ მეურვე არ ვარ შეს.

კნუროვი — საკეირველია, ნუთუ ლარისა დიმიტრიევნას ქამინდოშევის გარდა საქმროები არა ჰყოლია?

ვოშევა ტოვი — მყავდა მაგრამ, იცით, ძალზე უბრალო აფაშინება.

კნუროვი — როგორ თუ უბრალო? ესე იგი, სულელი?

ვოშევა ტოვი — არა, სულელი კი არა, მაგრამ ეშმაკობა აფაში, დედის როდი მეგეს. ის ეშმაკია და პირფერი, ეს კი — არც თილებს, არც დაილებს, პირდაპირ იტყვის იმას, რის აქმაც არ შეიძლება.

კნუროვი — ესე იგი, სიმიართლეს?

ვოშევა ტოვი — დიახ, სიმიართლეს. უმშითვოებისათვის კი ეს ხელსიარელი როდია. თუ ვინმე მოეწონა, არ დამალავს. აგერ სერგეი სერგეის პარიტოვი, შარშან აქ გამოიჩნდა თუ არა, თვალს ველარ აშორებდა, მისი ცეკვით ველარ ძლებო-და. იმანაც ორ თვეს იარა, იარა და ყველა საქმროები და-იფრითხო, მერე უცებ უგზო-უკელოდ გადაიკარგა.

კნუროვი — მაინც რა დაემართა?

ვოშევა ტოვი — ვინ იცის; ერთი ანირებული კაცია. მაგის კი, იო, როგორ უყვარდა, დარცით კინალამ მოუკვდა. დიდად მგრძნობიერი ქალია. (იცინის). უკან გამოედევნა, მაგ-რამ დედამ პირევლ სადგურიდანვე დააბრუნა.

კნუროვი — პარატოვს შემდეგ მას საქმრო აღარ ჰყოლია?  
ვოშვა ვა ტოვი — ორიოდე, ვიღაც ქარებიანი მოხუცი და  
ვიღაც თავადის გამდიდრებული მოურავი, სულ მუდამ მოვრა-  
ლი და გალეშილი. ლარისას მათვეის არ სცხელოდა, მაგ-  
რამ რა ექნა, უნდა ეთვალმაქნა, — დედამ ასე უბრძანა.

კნუროვი — ერთი სიტყვით, მისი მდგომარეობა არც თუ  
ისე სახარბიყლოა.

ვოშვა ვა ტოვი — დიახ, სასაცილოცაა. ხანდახან თვალთ  
ცრემლი მოადგება, გული სატირლად ამოუჯდება, მაგრამ  
დედა უბრძანებს რომ გაიღიმოს... მერე ეს მოლარეც გამოჩ-  
ნდა. რომ იცოდეთ, როგორ ფანტაზია ფულებს, ყელამდის  
ჩაფლა ხარიტა იგნატიევნა, ირგვლივ ჭველა ჩამოაშორა. მაგ-  
რამ პარპაში დიღხანს არ დასცალდა; მაგათ სახლშივე და-  
პატიმრეს. ერთი აურზაური ატედა. (იცანის). ოცვდალოვებს  
მთელი თვე თავი გარეთ არ გამოუყიდათ და აქ კი ლარისამ  
გადაჭრით უთხრა დედას: ქმარა ამდენი სირცხვილით; პირ-  
ველსავე საქმროს, ლარიბი იქნება თუ მდიდარი, ცოლად  
გაყენები, არჩევანს აღარ დავიწყებო. კარანდიშვილი, — სად  
იყო და სად არა, სწორედ ამ დროს გამოჩნდა და ხელიც

კნუროვი — მაინც საიდან გამოტყვრა ეს ვიღაც კარან-  
დიშვილი?

ვოშვა ვა ტოვი — კარგახანია რაც მაგათსა ტრიალებს,—  
სამი წელიწადი მაინც იქნება. გაგდებით სახლიდან არ გაუგ-  
დიათ, მაგრამ არც პატივს სცხელნენ. ეს ამბავი რომ დატრიალ-  
და, არც ერთი მდიდარი საქმრო მაშინ არ ჩანდა. იმიტომაც  
ითმენდნენ, ცალყბად პატივობდნენ, რომ სახლი სულ მთლად  
არ დაცარიელებულიყო. მდიდარი ვინმე თუ გამოჩნდებოდა,  
უნდა გეცქირათ კარანდიშვილისათვის, სწორედ რომ საცოდაო-  
ბას წარმოადგენდა, —ხმასაც არ სცხელნენ, ზედაც არ უყურებდ-  
ნენ, ის კი ველური თვალებით, უსასოო კაცის გამომეტყველებით  
კუთხეში იჯდა. ერთხელ თავის მოკელაც კი დააპირა, მაგ-  
რამ არაფერი გამოუვიდა, კვილა გააცინა... აი, კიდევ ერთი  
სასაცილო ამბავი: ჯერ კიდევ პარატოვის დროს მასკარადი  
გამართეს. კარანდიშვის ავაზაკის ტანისამოსი ეცვა, ხელში

ცელი ექირა, ყველას ველური თვალებით შესცემოდა, განსა-  
მულებით სერგეი სერგეის.

კნუროვი — მერე?

ვოშვა ვა ტოვი — ცული წაართვეს, ცანისამოსის გამოც-  
ცლა უბრძანეს, ან არა და აქედან მიბრძანდით.

კნუროვი — როგორც სჩანს, ერთვულებისთვის დაუჯილ-  
დოვებით. უნდა ვიტოქროთ, რომ გახარებული დარჩებოდა.

ვოშვა ტოვი — მერე და როგორი გახარებული, სახე  
უბრწყინისეს. სასაცილოა სწორედ, თან უცნაურიც. ჯობდა  
საჩქაროდ შეერთო და თავის მამულს დაბრუნებოდა, იქ ყო-  
ფილოყო სახამ ეს მითქმა-მოთქმა შესწყდებოდა. ოგუდალრ-  
ებისაც ეს უნდოდათ; ეგ კი ლარისას ბულვარში დაათრებეს,  
ხელი-ხელ გაყრილი და პატარა და თან თავი მიღლა ისე აუშვე-  
რის, გეგონება, ეს არის ვინმეს დაეჯახებათ. სათვალეც გაუკეთე-  
ბის, მი ვიცი რისთვის, აქამდე არასოდეს არ უხმარია. სალამის  
ტრის თავს ძლიერ ძანტურებს; და მერე როგორი კილოთი  
ლიანისაბობს! უწინ ვერც შემჩნევდი იყო თუ არა ამ ქვეყა-  
ნის, ახლა კი „მე“ და „მეს“, „მე მინდას“, „მე მსურს“ გაი-  
ძინათ.

კნუროვი — როგორც რუსმა მუჟიქმა იცის, არა? ის რო-  
დო ჟყოფნის, რომ მოვრალია, უნდა გაიპრანქოს კიდევაც, უნდა  
რომ ყელად შეამჩნიოს, ერთი შემხედვეთ ვინა ვარო. გაიპრან-  
ქმა, შიბერტყავენ ერთი-ორჯერ და მერე? მერე ქმაყოფილი  
წევა დასაძინებლად.

ვოშვა ვა ტოვი — დიახ, მეც ეგრე მგონია, ვფიქრობ კარან-  
დიშვილი მაგას ვერ ასცდება.

კნუროვი — საწყალი ქალი. ვინ იცის, როგორ იტანჯება  
ისის შემყურე.

ვოშვა ტოვი — ახლა ბინის მოწყობაც გადასწყვიტა. ვერ  
წასმოიდგენთ რა უცნაურობა წამოიწყო. კაბინეტში რაღაც  
ერთხშინია ხილისა ჩამოკიდა, ზედ ხანჯლები და ტულის დაბ-  
ნებიციც მიაეკიდა; მონაცირე მაინც იყოს! თავის დღეში თოფი  
ხელში არ სჭერია. მიგათრევს შინ, რომ შეგახედოს; თუ არ  
აქმ, — ეშვინება. ძალზე თაფოყვარეა და თან შერინი. ახლა  
უხერი გამოიწყრა სოფლიდან, რაღაც დავარდნილი და ამ-

ლაყი. მეტობეც ვიღაც ჯუჯა ჰყავს, მაგრამ ტანთ სრული კეცის სახისი აცვა. და დაპყავს ამ ექლემით ლიარისა დიმიტ-რიევნა სისეირნოდ; თვითონ კი ისე ამიყად ზის და იბლინძება, თითქო ეტლში თასმანეთიანი იორლა ცხენი ების. ბულვარზე რომ გამოვა, „გოროდოვოის“ ხმამალდა უყვირის: „უბრძანებ მო-მართვან ჩემი ეკიპაჟი!“ ჰიდა, უახლოედება ეს „ეკიპაჟიც“ თა-ვისი მუსიკით: ცყველა ხრანები და ქანჩები უღრიალებენ, ზამ-ბარები ცოცხლებით დაცლაცებენ.

კნუროვი — მებრალება სიწყალი ლარისა დიმიტრიევნა, მებრალება...

ვოშვა ტოვი — რა დაგემართათ, ამ ბოლო დროს როგორ-ლაც ძალში შემბრალე გახდით?

კნუროვი — როგორ, განა ვერ ხედავთ, რომ ვგ ქალი ფუფუნებისათვის არის გაჩენილი, რომ იგი ძეირფასი ბრი-ლიანტია, რომელიც ძეირფას ჩარჩოს მოითხოვს?

ვოშვა ტოვი — და კარგ ოქრომჭედელსაც.

კნუროვი — სწორია, სრული სიმართლე ბრძანეთ. ოქრო-მჭედელი უბრალო ხელოსანი როდია, ის ნამდვილი მხატვარი, ხელვანი უნდა იყოს. ლარიბ-ლატაკ და ამასთანავე სულელ ქმართან ის ან დაიღუპება, გაიხრწება, ან ბანალურ არსებად იქცევა.

ვოშვა ტოვი — მე ვფიქრობ, რომ ის სულ მაღლ მია-ტოვებს თავის საქმროს. ჯერ მკვდარივით არის. რა წამს მოჯობინდება და თავის ქმარს დაკვირვებით დააცერდება, მიხვდება რასაც წარმოადგენს იგით... (ჩემად). ის ისინც ხე-ნებაზე.

(შემოდიან კარანდი შევი, თგუდალოვა, ლარისა. ვოშვა-როვა ადგება, თავს უკრავს. კნუროვი გახეთს აიღებს).

### გამოსვლა გვ-ვ

კნუროვი, ვოშვა ტოვი, კარანდი შევი, თგუდალოვა; ლარისა სიღრმეში მესერთან მერჩე ჯდება და ჭოგრიტით ვოლგას გაჟყურება. გავრალო, ივანე

თგუდალოვა — (მაგიდას უახლოედება). გამარჯობათ, ბა-ტონებო! (კარანდი შევი თან ახლავს, ვოშვა ტოვი ხელს ართმევს ვგუდა-

ლებას და კარანდი შევი. კნუროვი ჩუმად აუდგომლად ართმევს ხელს ვგუ-დოვთ და თავს ოღნავ უკრავს კარანდი შევი. ისე გახეთის ჭითხვას ჩაიტანობს).

ვოშვა ტოვი — დაბრძანდით, ხარიტა იგნატიევნა, მო-ლეთ მოწყვილება! (სკამ მიაწოდებს. ვგუდალოვა ჯდება). ჩაის ხომ არ ცეინტრანებთ? (კარანდი შევი მოშორებით ჯდება).

ვოშვა ტოვი — შეიძლება, ერთ ფინჯანს დავლევ.

ვოშვა ტოვი — ივან, მოართვი ერთი ფინჯანი ჩაი და მიაშე მდულარე ჩაგვიმატე.

(ივან ჩაიდან აიღებს და გადის).

კარანდი შევი — რა უცნაური ფანტაზია ამ დროს ჩაის სმა, საკირელილია.

ვოშვა ტოვი — წყურვილი მაწუხებს, იული კაპიტონიჩ, და ჩა დავლით თვითონაც არ ვიცი. თუ მირჩევთ რასმე, მდულობელი დაგრჩებით.

კარანდი შევი — (სათს უყურებს). ახლა შუადღეა, შეიძ-ლება ერთი ჭიქა არავი, თან კატლეტიც მიირთვათ და მერე ტრით ჭიქა კარგი ლეინო დაყოოლოთ, — მე მუდამ ასე ვსა-უჩიობ.

ვოშვა ტოვი — (ვგუდალოვას). აი, ცხოვრებაც ამას ჰქეია, ხარიტა იგნატიევნა! სწორედ გითხრათ, კაცს შეშურდება! (დატანილი შევი). ნეტავ ერთ დღეს მაინც მაცხოვრა თევენებურად! მოხება და ლეინოს გადავერავდი! მაგრამ ჩენენ ეგ როდი გა-მოვედგება, გონს ვერ დაევარგავთ. თევენთვის ჰველაფერი დასაშვებია, თევენ კაპიტალი არ გაგეულანგებათ, იმიტომ რომ ის არა გაქვთ. ჩენენ კი ასეთი მწარე ხელრი გვარუნა ბედ-მა. ჩენენ საქმე ძალშე ვრცელია, ასე რომ გონიერების დაკარგვა ჩენითვის არ შეიძლება. (ივანს ჩაიდან და ფინჯანი მოაქვს). ინე-ბეთ, ხარიტა იგნატიევნა. (დაუსხამს და მიაწოდებს). ჩაისაც ციტს ვსვამ, ხალხმა რომ არ თქვას, მაგარ სასმელებს ეძა-ლებათ.

თგუდალოვა — ჩაი ცივია, გასია, მაგრამ მაგარი დაგისხამს!

ვოშვა ტოვი — ეგ არაფერი, მიირთვით! დამავალეთ! შეიძებე კაცს როდი სწყენს.

კარანდი შევი — (ივანს). დღეს ჩემთან მოდი, სადილზე მომემსახურე.

ივანე — მესმის, იული კაპიტონიჩ!

კარანდიშვილი — ოლონდ იცი რა, ძმობილო, ტანთუფრო  
სუფთად ჩაიცვი.

ივანე — რა თქმა უნდა, ფრაკი; განა არ გვესმის.

კარანდიშვილი — იცით რა, ვასილი დანილიჩ, დღეს სა-  
დილად დამეპატიურო.

ვოშევატოვი — დიდად გმადლობთ... ფრაკით ხომ არ  
მიბრძანებთ?

კარანდიშვილი — როგორც გენებოთ. ნუ მოგერიდებათ.  
თუმცა მანდილოსნებიც იქნებიან.

ვოშევატოვი — (თავს უჭრავს). მესმის! იმედი მაქვს თავს  
არ შევირცხვენ.

კარანდიშვილი — (მიდის კრუროვთან). მოკი პარმენიჩ, დღეს  
საღილს ჩემთან ხომ არ მიირთმევთ?

კნუროვი — (გაკვირვებით შეათვალიერებს). თქვენთან?

ოგუდალოვა — მოკი პარმენიჩ, სულერთია, ვითომც  
ჩემთან ყოფილხართ! საღილი ლარისას ხათრით იმართება.

კნუროვი — მაშ თქვენ შპატიიებთ? ძალიან კარგი, მოგალ.  
კარანდიშვილი — მაშ, იმედი მექნება.

კნუროვი — რაკი ვთქვი, მოგალ. (განეთს კითხულობს).

ოგუდალოვა — იული კაპიტონიჩ ჩემი სასიძოა. ჩემს ლა-  
რისას ვათხოვებ.

კნუროვი — (განაგრძობს კითხვას). ეგ თქვენი საქმეა.

კარანდიშვილი — დიახ, მოკი პარმენიჩ, გავტედე, რად-  
გან მუდამ ცრურწმენაზე მაღლა ვიდექი... (კრუროვი გაწერს სა-  
ხელ აიფარებს).

ვოშევატოვი — (ოგუდალოვას). მოკი პარმენიჩი მეტად  
მკაცრი კაცია...

კარანდიშვილი — (კრუროვს მოშორდება, ვოშვატოვს). მე მინდა,  
რომ ლარისა დიმიტრიევნას ირგვლივ მხოლოდ ჩერული ხილ-  
ხი ტრიალებდეს.

ვოშევატოვი — მაშიასდამე, მეც რჩეულ საზოგადოებას ვე-  
კუთვნი, არა? გმადლობთ, ამსა თქვენგან როზი ველოდი. (გაგრი-  
ლის). გაერილო, რამდენია ჩემზე ჩაისა?

გვერილო — ორი ულუფა მიირთვით, არა?

ვოშევატოვი — დიახ, ორი ულუფა.

ჩერილო — თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ვასილი და-  
ნილი, პირელიად ხომ არა ხართ... ცამეტი მანეთი გახლავთ!..

ვოშევატოვი — ჰოდა, ეგრე თქვი. მე მეგონა, რომ გაიაფდა.

ჩერილო — ვითომ და რატომ გაიაფდებოდა? ფულის  
მესი, ბაეთ .. რა ბრძანებაა!

ვოშევატოვი — მერე როლი გვეამათები, რას ჩამაციედი!  
მისი უსლი და მომშორდი! (ფულს აწოდებს).

ჩერილო — რაში იღებს იმდენ ფულს, არ მესმის.

ჩერილო — ზოგისთვის ძეირია, ზოგისთვის არა... თქვენ  
ასეთ ჩის არ მიირთმევთ...

ოგუდალოვა — (კარანდიშვეს). მოიცათ, ისეთ რამეში ნუ  
მიეკოთ, რაც თქვენი საქმე არ არის.

ივანე — ვასილი დანილიჩ, „მერცხალი“ გვიახლოვდება.

ვოშევატოვი — მოკი პარმენიჩ, „მერცხალი“ გვიახლოვ-  
დება, გნებად შევხედოთ? ძირს ნუ ჩაგალთ, აქედან გადაფ-  
ეხით.

კნუროვი — წავიდეთ, ვნახოთ. საყურადღებოა. (დგება).

ოგუდალოვა — ვასია, მე შენი ეტლით წაგალ.

ვოშევატოვი — წაბრძანდით, ოლონდ უკან მალე დააბრუ-  
ნეთ! (უახლოედება ლარისას და ჩუმად ესაუბრება).

ოგუდალოვა — (ნეროვს მოუახლოვდება). მოკი პარმენიჩ,  
ქოჩილიდა გვინდა გადავიხადოთ და არ დაიჯერებთ, რა დავი-  
დოხობა რამ ყოფილა...

კნუროვი — დიახ...

ოგუდალოვა — წარმოიდგინეთ, ისეთი ხარჯები, სრული-  
დობაც რომ არ მოევლოდი, თავს უცებ დაგვატყდა... ხვალ  
ლარისას დაბადების დღეა, მინდოდა რამე მეჩუქებინა...

კნუროვი — კეთილი, შემოვიდლი. (ოგუდალოვა მიდის).

ლარისა — (ვოშვატოვს). ნახევმდის, ვასია!

(ვოშევატოვი და კნუროვი გადიან. ლარისა კარანდიშვეს უახლოვდება).

გამოსვლა ვე-4  
კარანდიშვილი და ლარისა

ლარისა — იცით, ახლა ვოლგის გაღმა ნაპირებს გავყუ-  
რებდი; რა მშენიერებაა იქ, მეორე მხარეს! ჩქარა წავიდეთ  
სოფელში!

კარანდიშევი — ვოლგის გალმა იურებოდით? რას გვლაბარავებოდათ ვოლგატოვი?

ლარისა — არაფერს, ისე, უბრილო რამეს. რომ იცოდეთ, როვის მიწერავს ვოლგის გალმა ნაპირი, ტყე... (დაუიტრებული). წავიდეთ, წავიდეთ აქედან!

კარანდიშევი — მაინც... ყოველივე ეს მაინც უცნაურია! რა უნდა ჰქონოდა მას თქვენთან საჩურაოდ სალაპარაკო?

ლარისა — ეჭ, ერთი თქვენც! რახედაც უნდა ელაპარაკნა, თქვენ რა საქმეა?

კარანდიშევი — თქვენ მას ვასიას ეძახით. ვერ გამოვია ეს მოურიდებლობა იხალგაზრდა კაცთან.

ლარისა — ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს; ჯერ ისევ პატარანი ერთად ვთამაშობდით; პოდა, მას აქეთ შევეჩვიე.

კარანდიშევი — ეგ თქვენი ძელი ჩვეულებები უნდა გადაივიწყოთ. რა გაქვთ საერთო იმ ქარატშუტა და სულელ ბიჭთან? არ შეიძლება იმისი მოთმენა, რაც თქვენთან აქამდე ხდებოდა.

ლარისა — (შეურაცხოფილი). ჩეენ ხომ არაფერი ცუდი არ ჩაგვიდენია. რა ჩავიდინეთ საძრახისი?

კარანდიშევი — რა და ბოშათა გუნდი გყავდათ, ამ რა იყო საძრახისი. (ლარისა ცრემლებს იწერნდს). გეწყინათ, გეთაყვა?

ლარისა — რა გაწყობა. დიახ, თუნდ ეგრეუც იყო, ბოშათა გუნდი გვყავდა. მათ მხიარულება მაცნე მოიტანეს. თქვენ კი რა შეგიძლიათ მომიტანოთ იმ ბოშებზე უქეოესი?

კარანდიშევი — ოლონდაც, ოლონდაც, რაღა თქმა უნდა!

ლარისა — რაა, რომ მუდამ მაგ ბოშათა ამბავს მაყველრით? მევთი ცხოვრება მე კი მომწონს? ნაბრძანები მქონდა, ჩემს დედი... კის ასე უნდოდა; მაშიასადამე, ამგვარ ცხოვრებას ძალაუნებულიდ უნდა შევგუებოდი... და ყოველ წუთს იმის გაზმოკვრა, რომ ბოშათა გუნდში დროს ვატარებდი, სისულელე ანდა ულმობელობა. მე რომ სიმშეიდეს, განმარტოებას არ ვეძებდე, ხალხისაგან გაქცევა რომ არ მინდოდეს, განა თქვენ ცოლად გამოგაშევოდით? მაშ იცოდეთ, ჩემი არჩევანი თქვენს ღირსებებს არ მიაწეროთ. თქვენს ღირსებებს მე ჯერ ვერ ვხდავ, ჯერ კიდევ ვცდილობ შეგიყვაროთ; მე უბრილო, თვახური ცხოვრება მინდა: თვალწინ იყი რაღაც სამოთხედ

შეხატება. თქვენც ხედავთ, რომ მე იხლა გზაჯვარედინზე ედგენ და მხარი მომეცით. მე გამხნევება მინდა, თანაგრძობა მინდა, მომებყარით სათუთად, ილერსებინად და ამ წუთებს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

კარანდიშევი — ლარისა დიმიტრიევნა, მე თქვენი განაშენება სულაც არ მინდოდა. ეს მე ისე ვთქვი.

ლარისა — რას ნიშნავს „ისე“, ე. ი. დაუფიქრებლად; ნუთუ არ გესმით, რომ ეგ თქვენი სიტყვები შეურაცხოოფას მიყენებენ?

კარანდიშევი — რასაკვირყელია თქვენი შეურაცხოოფა მე აზრიდაც არ მომსვლია.

ლარისა — მით უარესი. უნდა დაუფიქრდეთ, რასაც ლაპარაკობთ. სხვებთან ილაყბეთ, თუ ეს თქვენ ასე მოგწონთ, წევთან კი ფრთხილად ილაპარაკეთ. განა ვერ ხედავთ, რომ ჩემი მდგომარეობა მეტად მძიმეა. ყოველ სიტყვას, რომელსაც ვამბობ, ან მესმის,— მძაფრად განვიცდი. უნდა იცოდეთ, რომ მე მეტად გვრძნობიერი გავხდი.

კარანდიშევი — ამ შემთხვევაში, გთხოვთ მომიტებოთ.

ლარისა — ლვთის გულისათვის! მაგრამ შემდეგში ურთხილად იყავით! (ჩაფიქრდება). ბოშათა გუნდი... ლიახ, სწორედ რომ მართალია... მაგრამ, იმ გუნდშიც იყო კარგი და კეთილშობილი ხალხი.

კარანდიშევი — მერე და ვინ არას ეგ კეთილშობილი ხალხი? სერგეი სერგეის პარატოვი ხომ არა?

ლარისა — არა! გთხოვთ, იმაზე ნუ ილაპარაკებთ.

კარანდიშევი — მერე და რატონ?

ლარისა — თქვენ მას არ იცნობთ და, თუნდაც იცნობდეთ, მაინც... მომიტებეთ და თქვენ მას ვერ განსჯით.

კარანდიშევი — ადამიანს მისი საქციელის მიხედვით განსჯიან. განა თქვენ კარგად მოგვეკცათ იგი?

ლარისა — ეს კი პირადად ჩემი საქმეა. მე თუ მეშინია და მისი განსჯა ვერ გამიზედია, ვერც თქვენ მოგცემთ მისი განსჯის უფლებას.

კარანდიშევი — ლარისა დიმიტრიევნა, გივედრებით, მითხარით, ოლონდ გულწრფელად მითხარით.

ლარისა — რა გითხრათ?

კარანდიშევი — მითხარით, რით ვარ პარატოვზე უარესი?  
ლარისა — ეჭ, დამესხსნით!

კარანდიშევი — რატომ, გეთაყვა?

ლარისა — არა, არა, რა საჭიროა შედარება!

კარანდიშევი — შე კი თქვენი აზრი მაინტერესებს.

ლარისა — ნუ მცირხებით, არაა საჭირო!

კარანდიშევი — მაინც არტომში

ლარისა — იმიტომ, რომ ეს შედარება თქვენთვის სასარ-გებლო არ იქნება. თქვენ — თქვენდა თავად გარკვეულ პიროვნე-ბას წარმოადგენთ: კარგი, პატიოსანი კაცი ხართ, მაგრამ სერგეი სერგეითან თქვენ ბერეს კარგავთ.

კარანდიშევი — ეგ ხომ ლიტონი სიტყვებია, ამას დამ-ტკიცება უნდა. ამა კარგად განვგაჯეთ.

ლარისა — ვის ედრებით? განა შეიძლება კაცის ეგეთი დაბრძოვება?.. სერგეი სერგეიიჩი მამიაცის იდეალია? გესმით თუ არა თქვენ რა არის იდეალი? შესაძლებელია მე, როგორც ახალგაზრდა და ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუდელი, ვცდე-ბოდე, მაგრამ ამ აზრის მაინც დაფრჩები და ეს აზრი ჩემთან ერთად მოკლება!

კარანდიშევი — არ მესმის, არ მესმის, რით არის იგი განსაკუთრებული; ვერაფერს, ვერაფერს ისეთს მასში ვერ ვწე-დავ; რაღაც გამბედაობა, თავხედობა, უტიფრობაც... თუ მინდობა კაცმა, ეგ ხომ ყველას შეუძლია.

ლარისა — მერე, იცით, ეგ როგორი გამბედაობა?

კარანდიშევი — როგორი უნდა იყოს, რა არის აქ არა-ჩეულებრივი? საქმარისია ადამიანმა მოისუროს.

ლარისა — აი როგორი, ამის საბუთად ერთ შემთხვევას გიამბობთ: ერთმა კავკასიულმა ოფიცერმა, სერგეი სერგეიის ნაცრობმა, ამ ქალაქში გზად შემთხვევით შემოიარა, საუკე-თესო მსროლელი იყო. ერთხელ, ჩევნთან რომ იყვნენ, სერ-გეი სერგეიი ეუბნება: „შე გავიგე, რომ თქვენ კარგი მსროლე-ლი ყოფილხართ.“ დიახ, არა უჭირს-რა, — ამბობს ოუცერი. სერგეი სერგეიი აძლევს დამბაჩის, იდგამს თავზე ჭიქს და მეორე თოახში თორმეტი ნაბიჯის მანძილზე დგება. „ისრო-ლეთ“, ეუბნება.

კარანდიშევი — მერე?

ლარისა — მერე ისროლა და ჭიქა, რა თქმა უნდა, ძირს ჩატანია დოკუმენტო, ოლონდ გაფიტრდა. სერგეი სერგეიიჩი ისევ ეუბ-ნება: თქვენ, რა თქმა უნდა, მშევნივრად ისერით, მაგრამ გა-ფიტრდით მაშინ, როდესაც უცნო მამაკაცს უმიზნებდით. ახ-ლა მე მიუკრეთ. მე ვესერი ქალიშვილს, რომელიც ჩემთვის ყიდულოფერზე უფრო ძვირფასია და არ გავფიტრდები. ამ სი-ტკებით მაძლევს რაღაც გროშს, რომ ხელში დავიშირო, და გულგრილად, დიმილით მესერის იმავე მანძილზე, ხელიუან ტროშის გამაცდებინებს.

კარანდიშევი — მერე და თქვენ თანახმა გახდით?

ლარისა — განა შეიძლება მას არ დაეთანხმო?

კარანდიშევი — და თქვენ ეგრე გვეროდათ მისი?

ლარისა — რას ამბობთ, ვის შეუძლია, რომ მისი არ სკე-როდეს?

კარანდიშევი — უგულო კაცი ყოფილა. იმიტომაც არის ეზრე გამშედავი.

ლარისა — არა, პირიქით, — გული აქვს. მე თვითონ მინა-ხაეს, როგორ შეელოდა იგი საშუალებს, როგორ აძლევდა უკა-ნასწერელ ფულს მათხოვრებს.

კარანდიშევი — კარგი, ვთქვათ, პარატოეს აქეს თავისი უქიმიატესობინი... თქვენს თვალში მაინც... მაგრამ ის ვაჭრუ-ქინი ეოდევატოვი ვინდა არის? აი ის, თქვენი გასია?

ლარისა — ხომ ას ექვიანობთ? მაგ სისულელებს თავი დასწერთ! ეს უხასოებად და სხვა არაფერი. არა, მე მაგვარ რა-მების ეტრ ეტრან, იცოდეთ, წინდაწინვე გეუბნებით. ნუ გვ-ზინიათ, მე არც ირიგინ მიყვარს და ვერც ვერავის შევიყვარებ.

კარანდიშევი — პარატოე რომ გამოგეცხადოთ?

ლარისა — პარატოე რომ გამომეცხადოს, რა თქმა უნდა, თავისუფალი თუ ილონჩლება, საქმარისია მისი ერთი შემო-ხედვა. ქმარა... დამშვიდდით, იგი არ გამოცხადებულა და ახლა თუნდაც გამოცხადდეს, გვიან არის. ჩენ ვერასოდეს ვედარ ვნახავთ ერთმანეთს. (ვოლგაზე ზარბაზანი ისროლეს). ეს რას ნიშნავს?

კარანდიშევი — რომელიმე ტურული გაჭარი თუ გადმო-დის თავის კარჭაპიდან და მას სალუტით ესალმებიან.

ლარისა — უჭ, მე კი შემეშინდა!

კარანდიშევი — რისა, გეთაყვა?

ლარისა — ძარღვები მაქქს მოშლილი. აი, ამ წუთს აქედან, ამ ძერხიდან ძირს გიცეირებოდი და თავტრუ დამტესხა. ადამიანი აქედან რომ გადავარდეს, აღმათ ძალიან დაშავდება, არა?

კარანდიშევი — დაშავდება, სიკვდილი არ ასცდება. ძირი ქვებითად მოკირწყლული. თუმცა აქედან ისეთი მაღალია, რომ ადამიანს, სანამ იქამდე ჩაღწევდეს, სული ამოხდება.

ლარისა — შინ წავიდეთ, დროა!

კარანდიშევი — დიახ, წავიდეთ, ეს ჩემთვისაც საჭიროა: დღეს საჯილი მიქეს.

ლარისა — (მოაჯირს მიუაპლოვდება). ცოტა მოიცათ. (ძირს აცერება). აი, აი! ხელი, ხელი მომკიდეთ!

კარანდიშევი — (ლარისას ხელს წაგლებს). წავიდეთ, ეს რა ბაჟშვობაა! (მიდიან, გავრილო და იგანე ყავახანიდან გამოდიან).

### ბაზოსვლა 80-5

გავრილო და იგანე

იგანე — ზარბაზნი ისროლეს. ბატონი ჩამობრიძნდა, ბატონი სერგეი სერგეები ჩამობრიძნდა.

გავრილო — აკი ვამბობდი, ის არის მეთქი. მე ეს არასოდეს არ შემეშლება. შევარდენს ირაოთი ცნობენ.

იგანე — ეტლი ცარიელი გამოუშვიათ, მაშასადამე, ბატონები ფეხით მოდიან... აგრე ისინიც! (შერბის ყავახანაში).

გავრილო — მობრიძნდნენ, მობრიძნდნენ .. მაგრამ რით გავუმასინძლდეთ, ვერ მომიტიქერებია...

(შემოდიან: პარატოვით შავი ცალკედური, წელში გამოყვანილი სერთუჭი და ფეხთ ლაკის მაღალყველიანი ჩექშები აცვია, თავს თეთრი ქუდი ხურავს, ხოლო მხარე საგნათ ჩანთა გადაუყიდებია; რობინ ზონი — საწიგმარით, რომლის მარცხენა კალთა მარჯვენა მხარეზე გადაუგდია. მაღალი, რბილი ქუდი ირიბად ხურავს. კნუტოვი, ვოჭვაზოსის ჩამოსაბერტუდ მიიჩნენ).

### ბაზოსვლა 80-6

ბატონოვი, კნუტოვი, ვოჭვაზოვი, რობინზონი, გავრილო და იგანე

ბატონოვი — (ივანეს). რას ჩადიხარი მდინარიდან მოსილ... ეოლგაზე მტვერი, მგონი, არ არის!

იგანე — მაინც, ბატონო... მაშ ისე როგორ შეიძლება... წესერება, რიგი ეგრე მოითხოვს. წელიწადი იქნება რაც არ ცენისახებარი და რომ... მობრძანებითა თქვენითა, ბატონო...

ბატონოვი — კეთილი. გმადლობ! აპა! (აჭოდებს ქალალდის ჩემითან).

იგანე — უმორჩილეს მადლობას მოგახსენებთ. (მოშორდება).

ბატონოვი — მაშ თქვენ, ვასილი დანილი, გემ „თვითმფრისით“ მელოდით, არა?

კორიზატოვი — აბა რას წარმოვიდგენდი, თუ თქვენ „მერუხლით“ მოფრინდებოდით; მე მეგონი, რომ ის თქვენ კარგებელობის ერთად მოემართებოდა.

ბატონოვი — კარჭაპები უკვი გავყიდე. ვფიქრობდი დღეს ფილადერფიან ჩამოცხულიყავ, მინდოდა ჩემივე გემის „თვითმფრისითვის“ თავს გადამესწრო, მაგრამ მემანქანე მხდალი აღმოჩნდა. ცეცხლფარეშის გუცვირი: ცეცხლი, ცეცხლს შეუკრი მეთქი! მას კი პირიქით, ლუმელიდან შეზა გარეთ გამოიქვს, ცეცხლს ანელებს. გამოძრერა თავის ჯურლმულიდან და მეუბნება: „თქვენსას თუ მაინც არ დაიშლით და ცეცხლს თუნდაც ერთ ლერ შემს ზედმეტად შეუკეთებთ, წყალში გადევისოდეთით“, ეშინოდა, რომ ქვაბი ირთქლის ძალის ვერ გარემოებდა. ქალალდებე როლიც ციფრები გამოკყავდა, წნევას გაზიარდებდა. უცხოელია, პოლანდიელი, გასაქანს მოკლებული; სელის მაგიტ გვაშში მთ ირითმეტივა უდგათ. სულ დაშემწერა, ხატონებო, ჩემი მეგობარი თქვენთვის გამეცნო. მოკე ძალისნის, ვასილი დანილი, გაიცანით — რობინზონი. (რობინზონი თავს უქრებს, ხელს ართმევს ქუროვსა და ვოჭვაზოს).

კორიზატოვი — სახელია და მამის სახელს როგორ გვიბრძინებთ?

ბატონოვი — ისე, უბრალოდ, — რობინზონი, უსახელოდ და უმამისსახელოდ.

რობინზონი — (პარატოვს). სერქ!

პარატოვი — რა გინდა?

რობინზონი — შუადღეა, მეგობარო, დავიტანჯე.

პარატოვი — ცოტაც მოითმინე და სასტუმროში მივლოთ.

რობინზონი — (ყავახანაშე მიუთითებს) . Voilà!<sup>1</sup>

პარატოვი — კარგი, ეშმაქმა წაგილოს! (რობინზონი ყავახანის კან მიდის). გავრილო, ამ ვაჟაბატონს ერთი სიჩის მეტი არ მისცე, მეტი არ დაალევინო, თორემ ერთობ მოუსვენარი ხასიათის ვინმეა.

რობინზონი — (მხრებს აიჩენავს). სერქ! (შედის ყავახანაში. გაერილო თან შეჰყვება).

პარატოვი — ბატონებო, ეს კაცი პროვინციის მსახიობია, არკადი სჩასტლივცევი.

ვოშევატოვი — მაში რობინზონი რაღაა?

პარატოვი — მაგას ახლავე მოგახსენებთ. ერთხელ რობილაც გემით, არ მახსოვს, თავის მეგობარ ვაჭარ ნებუტიოვის შეილთან ერთად მგზავრობდა. რა თქმა უნდა, მათ იმის სხადიოდნენ, ხალხი უთმენდა. ეს უმსგავსობა კიდევ არაფერი. ყოველივე ამის დასაგვირგვინებლად ბოლოს რაღაც დრამატიული წარმოდგენა გამოიგონეს, ტანთ გაიხადეს, ბალიშებს მითხლი შემოახისეს, ბუმბულში გაგორდნენ და ველურთა ცხოვრების განსახიერება განისრახეს. მოთმინებიდან გამოსულ მგზავრების მოთხოვნით კაპიტანმა ისინი უდაბურ კუნძულზე გადასხა. კუნძულს ამ დროს ჩერქც ჩაეყუროლეთ, ვხედავთ ვიღაცებს ხელები მაღლა აუპყრიათ, გვევიდრებიან ვუშველოთ. მეცაშეგმახე: „სდექ“, ვჯდები ნაეში და ასე, ამგვარად ვპოვებ მსახიობ სჩასტლივცევს. მაშინვე გემზე ამოვიყვანე, თავით ფეხამდე ტანსაცმელით შევმოსე, მაღლობა უფალს ზედმეტი მუდამ ბლომად მაქეს. ამას გარდა, ბატონებო, მე მიყვარს მსახიობები... არ, რათ არის იგი

ვოშევატოვი — ნებუტიოვი კუნძულზე დარჩა?

<sup>1</sup> აი! (ფრანგ.).

პარატოვი — აბა ის რაში მეკითხებოდა? არ აწყენს, (კოტა მეტაზე გამზეურდეს. ოვენც კარგად მოგეხსენებათ, ხატონებო, რამდენად მოსაწყენია გზა და ასეთ დროს ყოველგვირი ამხანაგი საამოა.

ვნუროვი — მაგას რაღა თქმა უნდა.

ვოშევატოვი — ეს ისეთი ბედნიერებაა, ისეთი, თითქოს ხეგალოთ თქრო გვპოვოს.

ვნუროვი — არასასიამოვნო ერთი რამ არის მხოლოდ, — ლოთობით თავს მოგვაბეზრებს.

პარატოვი — არა, ბატონებო, ჩემთან ეს არ მოხერხდება. ამ შემთხვევაში მე მეცრი ვარ. ფული მას არ გააჩნია და ხისრინები მაქეს ჩემს დაუკითხავად წევთი არაეინ დაალებისის. ფულს მთხოვს თუ არა, ხელში მაშინვე ფრანგული ენის სასერიონო წიგნს შევაჩიჩებ. საბედნიეროდ თან აღმომაჩნდა; შეუწები, ინგე, ჯერ ერთი გვერდი დაიზეპირე, უამისოდ სასმელს არ მოგცემ მეთქი... ბოლა, ისიც რას იზამს, ან რა ძირი იქნეს, ზის და სწავლობს. რომ იცოდეთ, როგორ ცდილობს!

ვოშევატოვი — ჰაი, ჰაი, რომ ბედი გქონიათ, სერგეი სერგეიი! მაგნაირ ვინმეს მეც რომ ვიშოვიდე, არაფერს მისოდის არ დავიშურებლი, მაგრამ სად არის, სად ვიშოვი? თქეენ ერთი ეს მითხარით, კარგი მსახიობია?

პარატოვი — ეს, რას ბრძანებთ! ყოველნაირი როლი უთმისმნია, სუფლიორადაც კი ყოფილა. ახლა ოპერეტებში ჩამოდის. არა უშავს რა, ხალხს ციინებს.

ვოშევატოვი — მაშასადამე, მზიარულია?

პარატოვი — საღალობოა, ერთობ მასხარა ვაჟაბატონია.

ვოშევატოვი — მაში მასთან ხუმრიბაც შეიძლება?

პარატოვი — როგორ არა, ხუმრიბის კარგი მტრანია... ჰორა, ვეროზეთ, სამი-ოთხი დღით შემიძლია მისი დათმობა.

ვოშევატოვი — დიდად გმადლობთ. თუ მომეწონა და გუნდებისედიც ვიქნები, არაფერს წააგებს.

ვნუროვი — სერგეი სერგეიი, როგორ არ გენანებათ „მეტუბლის“ გაყიდვა?

პარატოვი — რას ნიშანავს სიტყვა „სინანული“ არ შესმის, შოკი პარმენიჩ. აღთქმული რამე მე როდი მაქეს. თუ

გებ ას ვნახავ, ყველაფერს გავყიდი. ანლა, ბატონებო, მე სულ  
სხვა საქმე და ანგარიშები მაქეს. მდიდარ ქალიშვილს ვირთავ  
ცოლად, მხითვად ოქროს მაღნებს მაძლევნ.

გოგევატოვი — არა უშეს რა, კერგი მზითვევია...

პარატოვი — მაგრამ მვირად მიჯდება, ჩემს თავისუფალ,  
მხიარულ ცხოვრებას სამუდმოდ უნდა გამოვეთხოვო. მიტო-  
ლება, მხიარულად გავატარო.

გოგევატოვი — ვეცდებით, სერგეი სერგეიჩ, ვეცდებით  
არ მოგაწყინოთ.

პარატოვი — ჩემი საკოლის მამა ერთი თვალსაჩინო მო-  
ხელე და თან მეტაცი მოხუცია. ბოჟათა სიმღერების გავონე-  
მეტია. თაბეაქოს წევაც ვერ აუტინია. მასთან მუდამ ურავი  
ურთად პრაქტიკაზე ვარ. ოლონდარ ვიცი მეტი პატივასათვის,  
თუ რაღაცისათვის უბრალოდ „სერეს“ როდი მკადრებს, „ლა-  
სერეს“ მებახის. სასაცილოა! (ყავახანის წინ რობინსონი გამოჩეუბა,

პარატოვი, კაზუროვი, გოგევატოვი, რობინსონი, გავ-  
რილო, ივანე

პარატოვი — (რობინსონი). Que faites-vous là? Venez!<sup>1</sup>  
რობინსონი — (დიდაცხრად). Comment?<sup>2</sup>

პარატოვი — რა მშევნიერებაა! რა მომხიბლავი კილოა,  
უმსგავსო ჩვეულებაა? სამიკიტნოს გულისთვის რჩეული საზოგა-  
დოების მიტოვება სად გავონილა?

გოგევატოვი — დიახ, ევ მაგის სჩევერია.

რობინსონი — ლა სერე, შენ უკვე მოასწარ... რაში დაგ-  
ჭირდა!

<sup>1</sup> ილაპარაკეთ ფრანგულად! (ფრანგ.).

<sup>2</sup> მანდ რას აკრებთ? აქ მოდით! (ფრანგ.).

<sup>3</sup> როგორ? (ფრანგ.).

პარატოვი — ბოლიში, რომ შენი ფსევდონიმი გამოვაჩე-  
ტები.

ერევატოვი — რობინსონ, იცოდე, რომ არ გაგცემთ,  
მხელისებიდ გამოვაცხადებთ.

რობინსონი — როგორ? ასე უცებ „შენობით“<sup>4</sup> ბრუდერ-  
შეუტი როდის დავლიეთ?

ერევატოვი — ეგ სულერითია... ცერემონიები რა სა-  
ქიმოა.

რობინსონი — შოურილებელ საქციელს არ მოვითმენ. ყვე-  
ლის როდი მიეცემ ნებას...

ერევატოვი — მერე და, ვანა მე ყველა ვარ?..

რობინსონი — მაშ ვინა ხართ?

ერევატოვი — ვაჭარი.

რობინსონი — მდიდარი?

ერევატოვი — მდიდარი.

რობინსონი — და ხელგაშლილი?

ერევატოვი — ხელგაშლილი.

რობინსონი — აა, ეს ჩემებურია! (ხელს ართმეულ გოგევატოვს)  
ხასიათონ, ძალიან საიდამოვნო! ანლა შემიძლია ნება დაგრ-  
ოვო, რომ უბრალოდ მექცეოდე.

ერევატოვი — მაშ, დოსტები ვართ, არა? ორი სხეული,  
ერთი სხელი.

რობინსონი — და ერთი ჯიბე. სახელი, მაპის სახელი?  
ესე იგი, მარტო სახელი, მამის სახელი რა საჭიროა.

ერევატოვი — ვასილი დანილიჩი.

რობინსონი — პოდა, ვასილი, ამ პირეული გაცნობისათ-  
ვის გადაიხადე ჩემს მაგირ.

ერევატოვი — გავრილო, ჩილერე! სერგეი სერგეიჩ, ამ  
სალომეს, მოდი, ვოლგაზე გავისეირნოთ. ერთ კატარლაში —  
ბოშები, მეორეში — ჩვენ; დაესხდეთ ხალიჩაზე და თბილი  
უწევი ესვათ.

ჩევრილო — ორი ანანისი მაქეს თქვენთვის შენახული. დი-  
დონისნია რაც გელოდებათ. უნდა გაიჭრის თქვენი ჩიმოსვლის  
ქამი.

პარატოვი — (გავრილოს). კარგი, ჩაჭერი! (ვოგევატოვს). რო-  
გორც გენებოთ ისე მიმსახურეთ, ბატონებო, თქვენს განკარ-  
გულებაში ვარ.

გავრილო — ვასილი დანილიჩ, მაშ მე ყველაფერს გავამზადებ რაც საჭიროა. ასეთ შემთხვევისათვის ერთი პატარა კერძოს ქვაბიც მაქვს შემონახული, ჩემს მსახურებსაც თან გამოვატან.

ვოშვა ტოვი — კარგი. ექვსი საათისთვის ყველაფერი მზად იყოს; მეტს რასაც მოიმარაგებ, არ მოგეკითხება და თუ რამ დაგაკლდა, პასუხს ავებ.

გავრილო — გვესმის!

ვოშვა ტოვი — უკან კატარლით დაებრუნდებით, სხვა-დასხვა ფერის ფარნებს ავანთებთ.

რობინზონი — ბატონებო, არც ისე დიდიხანია რაც გავიცან და მაიც შემიყვარდა. სწორედ რომ სასწაულია.

პარატოვი — უმთავრესი ის არის, რომ მხიარულება იყოს. იკოდეთ, უცოლ-შეილო კაცის ცხოვრების ვეთხოვები და ეს დღე მოსაგონებლად უნდა ღირდეს. ბატონებო, სადილად დღეს ჩემთან მობრძანდით.

ვოშვა ტოვი — ეჭ, რა სამწუხაროა რომ არ შეგვიძლია, სერგეი...  
კნუროვი — დღეს ჩვენ დაკავებული ვართ.

პარატოვი — უარი სთქვით, ბატინებო.

ვოშვა ტოვი — უარის თქმა არ შეიძლება. ლარისა დი-მიტრიევნა თხოვდება და დღეს მის საქმროსთან ესადილობთ.

პარატოვი — ლარისა თხოვდება! (ჩაფიქრდება). რას იზამ... ლმერთმა ხელი მოუმართოს! ეს უკეთესიც არის! ცოტაოდნავ დამნაშავე ვარ! ესე იგი, ისეთი დამნაშავე, რომ თავს მათსა ვეღარ გამოვყოფ. მაგრამ, რახან თხოვდება, ძეელი ანგარი. შები გათავებულია და თქვენთან ერთად მეც შემიძლია იქგა-მოცხალდე, მას და ძალუას ხელები დავუკოცნო. უნდა იკო-დეთ, რომ ხარიტა იგნატიევნას სიადგილისთვის ძალუას ვუწო-დებ. მე ხომ ლარისა კინალამ შევირთე. როგორ გაეცანებდი ხალხს! დიახ, კინალამ გაესულელდი. თხოვდება... ეს ძალიან კარგია მის მხრივ. გულს, ცოტას არის, მაიც მომეშვე... ლმერთმა აბელნიეროს და ჯანი მისცეს! შევივლი მათსა; საყუ-რაღლებოა, ძალზე საყურაღლებო მისი ნახვა.

ვოშვა ტოვი — რა თქმა უნდა, დაგპატიუებენ.

ბაზა ტოვი — თავისთავად ცხადია! უჩემოდ როგორ შეი-ტება!

კნუროვი — მოხარული ვარ, ერთი ისეთი ადამიანი მაინც აქვთ, რომ ხმა გასცეს კაცმა.

ვოშვა ტოვი — იქ მოვილაპარაკოთ, როგორ და რანაი-ჩაღ ჩავატონოთ დრო ვოლგაზე უფრო მხიარულად. იქნებ სხვა რომელ მოვიგონოთ.

ბაზა ტოვი — დიახ, ბატონებო, როგორც ფილოსოფო-სები ამობენ, ცხოვრება ხანმოკლეა. მისი მოხმარებაც კაცმა ამიტომაც უნდა იცოდე. N'est ce pas<sup>1</sup>, რობინზონ?

რობინზონი — ვუი, <sup>2</sup> ლა სერგ!

ვოშვა ტოვი — შევეცდებით რომ არ მოგწინდეთ. ჩემი ასახე ეხრუნდეთ. იცით, მესამე კატარლასაც მიცუმატებთ ეს ხედ ხისულე თრექსტრს მოვათავსებთ.

ბაზა ტოვი — ნიხვამდის, ბატონებო! მე სასტუმროსკენ... ჩამო, რომისხმენ!

რობინზონი — (ქუთა მაღალა ასწევს).

მისამრებას გაუმარჯოს  
ჩატარებას სიტყმოებას

<sup>1</sup> ას არ არის? (ფრანგ.).

<sup>2</sup> იუსტი (ფრანგ.).

13. აუ, ისტომისეი.

## მოქმედება მოორე

ოგუდალოვას სახლის ოთახი ორი კარით: ერთი სილტმეში, — შემოსა-  
სყლელი, მეორე—მარცხნივ ფანჯარა. შესაფერი ავეჯი, ფორ-  
ტეპიამო და ზედ გიტარა.

### გამოსვლა 1-ლი

ოგუდალოვა მარტოა. კარს მიუახლოდება, ხელში რაღაც კოლოფი  
უჭირავს

ოგუდალოვა — ლარისა, ლარისა!

ლარისა ს ცენის იქიდან — „ტანთ ვიცეამ, დედა!“  
ოგუდალოვა — ნახე, ვასიმ როგორი საჩუქარი მოგიტანა.  
ლარისას ხმა — „მერე ვნიხავ.“

ოგუდალოვა — რა ნივთებია, რა ნივთები, ხუთასი მა-  
ნეთი მაინც ელირება. მის ოთახში დადეთო, არ უთხრათ ვის-  
გან არისო. თუმც კარგად იცის, ეშმაქის ფეხში, რომ გული  
არ მომითმენს და მაინც ვიტყვი. ვთხოვე მოეცადა, მაგრამ  
არ მოიცადა. ვიღაც უცხოელს აპეილებია, ქალაქს ათვალიე-  
რებინებს. ის ხომ ისეთი ხუმარაა, — ვერ გაიგებ, ყასიდად ამ-  
ბობს თუ სიმართლეა. „საჭირო არისო, მთხრა, ამ უცხოელს  
ქალაქის ყველა თვალსაჩინო სამიერნო დაგათვალიერებინოთ“.  
უნდოლა ჩერნისა მოეყენა. (ფანჯარაში გაიხდავს). აი, მოკი პარ-  
მენიჩიც! შენ ნუ გამოხვალ, ჯობია ცალკე მოველაბარაკო. (შე-  
მოდის ქნუროვი).

### გამოსვლა 2-2

ოგუდალოვა და კნუროვი

კნუროვი — თქვენთან არავინ არის?

ოგუდალოვა — არავინ, მოკი პარმენიჩ!

ნუროვი — ჰოდა, ძალიან კარგი.

ოგუდალოვა — რას მივაწეროთ ჩერნი ასეთი ბედნიერე-

ბა? გმადლობთ, მოკი პარმენიჩ, დიდად გმადლობთ, რომ  
ეურისი გაგვაზდეთ. თქვენი მოსელა ისე მიხარია, რომ სულ და-  
ესხნი, მართლაც... აღარც კი ვიცი სად დაგსათ!

კნუროვი — სულერთია, დავჯდები სადმე. (ჯდება).

ოგუდალოვა — ლარისას კი აპატიეთ. ტანისამოსს იცვ-  
ლის, თუმცა, შეიძლება დაგაჩქარო.

კნუროვი — არა, ნუ შეაწუხებთ!

ოგუდალოვა — როგორ მოვაგონდით?

კნუროვი — მე ხომ ბევრს ხეხტიალობ, საღილობამდე უე-  
ხით დავდივარ და აი, თქვენსაც შემოვიარე.

ოგუდალოვა — დარწმუნებული იყავით, მოკი პარმენიჩ,  
რომ არაჩეულებრივ ბელიერებად ვთვლით თქვენს დარბაზო-  
ნის; ამის შედარება არაფერთან არ შეიძლება.

კნუროვი — მაშ, ათხოვებთ რიღა ლარისა დიმიტრიევნას?

ოგუდალოვა — დიახ, ვათხოვებ, მოკი პარმენიჩ!

კნუროვი — გამოჩნდა საქმრო, რომელსაც უფლოდ მიჰ-  
ყეს, არა?

ოგუდალოვა — უფლოდ, მოკი პარმენიჩ, უფლოდ!  
ამა ფული ჩენ ვინ მოვაშავა?

კნუროვი — რა, ქონება დიდი აქეს იმ თქვენს სასიძოს?

ოგუდალოვა — რის ქონება? შცირე, ძალგე შეხლუ-  
დული.

კნუროვი — დიახ... შერე როგორ ფიქრობთ? ვითომ ქარგს  
ჩიდოხართ ლარისა დიმიტრიევნას ლარიბ კაცს რომ აძლევთ?

ოგუდალოვა — არ ვიცი, მოკი პარმენიჩ! მე აქ არაფერ  
შეაში ვარ. მისი ნება-სურგილი ეგეთი იყო.

კნუროვი — ან ის ახალგაზრდა კაცი, თქვენის ფიქრით,  
კირს ჩადის?

ოგუდალოვა — რატომაც არა. მე მგონია, რომ ეს იმის  
შერიც საძრახისი არ უნდა იყოს.

კნუროვი — სწორედ რომ საძრახისია. მის მხრივ ეს საქ-  
ციელი საქებარი სულაც არ არის. თუმცა თავისი თვალსაზ-  
რისით ის არც ისე სულელია. რას წარმოაღვენს იგი? ვინიც  
სიბდია, ვინ მიაქცევდა ყურადღებას? ახლა კი მთელი ქალაქი  
მის გამო ალაპარაკდება. საუკეთესო საზოგადოებაში შეძერე-

ბა; მაგალითად... თავის თავს ნებას აძლევს, რომ სადილად შეც დამპატიუოს. აი, სად არის მისი სისულელე. არ იფიქრი, არ ინება ეფექტი, როგორ, ან რითი უნდა აცხოვოს ასეთი ცოლი? აი, რის გამო გვმართებს მე და თქვენ საუბარი.

ოგუდალოვა — მოიღეთ მოწყალება, მოკი პარმენი!

კნუროვი — არ გიფიქრიათ თქვენს ქალიშეილზე, რა არის იგი?

ოგუდალოვა — მეც არ ვიცი, რა ვთქვა; ის ლა დამრჩენია თქვენ მოგისმინოთ.

კნუროვი — ლარისა დიმიტრიევნას პიროვნებაში ხომ მიწიერს, ისეთს, ამქვეყნიურს ერაფერს ნახავთ, თვითონაცვეს. მით, — მე უგვანობას, წვრილმანობას ეგულისხმობ, რაც ეგრე აუცილებელია ლარიბი იჯახის ცხოვრებისათვის.

ოგუდალოვა — დიახ, ეფერაფერს ნახავთ, დიახ, მის პიროვნებაში მსგავსს ერის ნახავთ.

კნუროვი — ის ხომ ეთეროვანია.

ოგუდალოვა — ეთეროვანია, მოკი პარმენი, ნამდვილად ეოტროვანი.

კნუროვი — იგი ბრწყინვალებისათვის გაჩენილა.

ოგუდალოვა — დიახ, ბრწყინვალებისათვის, მოკი პარმენი!

კნუროვი — ჰილა, შეუძლია იმ თქვენ ქარანდიშეს მიიჭიოს მას იგი, შეუქმნას ეს ბრწყინვალება?

ოგუდალოვა — არა, სად შეუძლია.

კნუროვი — ღარიბულ, მდაბილი ცხოვრებას კი ის ვერ აიტანს. მაშ, რაღა რჩება? დაჭლექდეს და მერე, როგორც ცნობილია, ჭლექი...

ოგუდალოვა — ოჟ, რას ამბობთ! ღმერთმა დაიფარის.

კნუროვი — კიდევ კარგი, თუ დროზე მინედება, ქმარს შიატოვებს და შინ დაბრუნდება.

ოგუდალოვა — უბედურებაა, მოკი პარმენი, უბედურება. რითი ვიცხოვო ქალიშეილით?

კნუროვი — ეს, მაგ უბედურებას კი ეშველება. მდიდარი და ძლიერი კაცის გულთბილი უზრადლება...

ოგუდალოვა — კარგია, თუ არსებობს ეგ ყურადღება.

კნუროვი — ამისთვის ცდაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში შემოლი, დარბაისელი მეგობარი აუცილებელია.

ოგუდალოვა — მერე და როგორი აუცილებელი!

კნუროვი — თქვენ შეგიძლიათ მიპასუხოთ, რომ ის ჯერ აჩე გათხოვილა, რომ ჯერ შორს არის დრო, როცა იგი ქმარს ერთობება. დიახ, მართლაც შეიძლება შორს არის, მაგრამ შეიძლება იხლოც იყოს. მაშინ სჯობია წინასწარვე გაგაფრთხილოთ, რომ კიდევ ახალი შეცდომა არ ჩაიდინოთ. თქვენ უნდა იკოდეთ, რომ ლარისა დიმიტრიევნასათვის არაფერს არ დაუშერებ. რას იღიმებით?

ოგუდალოვა — მიხარია, მოკი პარმენი, მიხარია, რომ ესეთი კარგი თვალით გვიცებით.

კნუროვი — იქნებ ფიქრობთ, რომ ამგვარ წინადადებას უწევაროდ არ აკეთებენ?

ოგუდალოვა — ას, მოკი პარმენი!

კნუროვი — გეშინათ? გნებავთ, გამაგდეთ აქედან.

ოგუდალოვა — (დარცხვნით). ას, მოკი პარმენი!

კნუროვი — იპოვეთ ისეთები, რომლებიც ათიათასებს ალა-ოლად აღითქვამენ და მაშინ მლანძლეთ. მაგრამ გაფრთხილებთ, ტყუილ-უბრალოდ ნუ ეცდებით მათ გამოძებნას, სულერთის ეტრ იპოვით. უჰ, სულ სხვა რამე საგანმა გამიტაცა. მეკი მშვიდე რამისთვის როდი მოცსულვარ. ეგ რა კოლოფია?

ოგუდალოვა — ეს, მოკი პარმენი... მინდოდა ქალიშვილისთვის საჩუქარი გამემხადებინა...

კნუროვი — (ნივთს სინჯას). დიახ...

ოგუდალოვა — მაგრამ ძეირია. ჩემი ჯიბე ამას ვერ აიტანს.

კნუროვი — (კოლოფს უკანა უბრალებს). ეე, ეს სულ უბრალო რამეთ, არის ამაზე უფრო რთული საქმეები. საჭიროა ლარისა დიმიტრიევნას ტანისამოსი შეუკეროთ. ესე იგი, მხოლოდ კარგი საქმაო როდი იქნება, უნდა იყოს ძლიერ კარგი. საქორწინო კაბა და ამასთანავე ყველაფერი, რაც მას ეკუთვნის.

ოგუდალოვა — დიახ, დიახ, მოკი პარმენი!

კნუროვი — საწყენი იქნება მისი იოლად, სხვათა შორის ჩატანა-დახურვა. მაშ ეგრე, შეუკვეთეთ ტანისამოსი საუკეთესო

მაღაზიაში. შრომას ნუ დაწოვავთ და ნურც ფულს დაიშურებთ, ანგარიში წარმომიდგინეთ, მე გადავიხდი.

ოგუდალოვა — ღმერთმანი, სიტყვა ვერ მიპოვია მაღლობისათვის.

კნუროვი — ამიტომაც შემოვიარე. (დგმა).

ოგუდალოვა — მინდოდა ხეალ მიმერთმია უცაბედი რამ საჩუქარი ჩემი ქალისთვის. დედის გული, ხომ იცით...

კნუროვი — აბა მაჩუქენეთ, რა არის მანდ. რა დაგიჯდათ? (კოლოფს გამოართმევს).

ოგუდალოვა — თქვენ დააფასეთ, მოკი პარმენი!

კნუროვი — რა უნდა დავაფასო! თქმადაც აღარ ლირს. სამასი მანეთი ელირება. (იღეს ჯიბიდან ფულს და აძლევს). ნახვამდის! წავალ, ცოტას კიდევ ვისეტიალებ... კარგი სადილის მოლოდინში გარ. მაშ ეგრე, სადილზე შეგხედებით. (კარისკენ მიდის).

ოგუდალოვა — დიდად, დიდად გმადლობთ, მოკი პარმენის, გმადლობთ ყველაფრისათვის! (კნუროვი მიდის. შემოდის ლარისა კალათით ხელში).

### გამოსვლა 80-8

ოგუდალოვა და ლარისა

ლარისა — (კალათს მაგიდაშე დგამს და კოლოფში ნივთებს სინჯავს). მაშ ეს გასიამ მაჩუქა, არა? არა უშავს რა. რა საყვარელი ადამიანია.

ოგუდალოვა — „არა უშავს რა“! ეითომ ვერ ხედივ, რა ძვირფასი ნივთებია. ვითომც არ გაგეხარდა?

ლარისა — არავითარ განსხვავებულ სიხარულს არ ვგრძნობ.

ოგუდალოვა — მადლობა უთხარი გასიას. ყურში ჩასჩურჩულე: „მაღლობელი ვარ-თქმ.“ აგრეთვე კნუროვს.

ლარისა — კნუროვი რა შეაშია?

ოგუდალოვა — ასე საჭირო; ის მე ვიცი, რა შეაშიცაა.

ლარისა — ეჲ, დედა, რა არის, სულ მუდამ იღუმალებითა და ცბიერებით რომ ხარ მოცული.

ოგუდალოვა — მაშ, მაშ, ცბიერება! უნდა იცოდე, რომ ცბიერების ვარეშე ვერ იცხოვრებ.

ლარისა — (გიტარას იღებს, ფანჯარასთან ჯდება და მღერის):  
„ახ, დედაკო, ჩემთ მტრედო, მხერ ჩემი დღისა,  
შეიბრალე შენი პირზო, მახვერპლი წამებისა“.

ოული კაპიტონის უნდა, რომ მომრიგებელ მოსამართლის ადგილზე იყაროს კენჭი.

ოგუდალოვა — თოდა, მშენიერია! რომელ მაზრაში?

ლარისა — ზაბოლოტიეში.

ოგუდალოვა — უჲ, ეგ ხომ ტყეშია? რა ტკუაში მოუვიდა ას სიშორეზე ადგილის ძებნა?

ლარისა — კანდიდატები იქ ნაკლებია და უსათუოდ აირჩიონ.

ოგუდალოვა — რა უშავს... არავერია, იქაც ხომ ხალხი ცხოვრობს.

ლარისა — მე ტყეშიც წავალ, სადაც გინდა იქ წავალ, ოლონდ აქაურობას თავი დავაღაწიო.

ოგუდალოვა — ხანდახან მიგარდნილ ალაგას ცხოვრება სჯობია კიდეც. ის შენი კარანდიშევიც იქ უფრო საყვარელ აღმიანდ მოგეჩენება. შეიძლება გაზრაში პირველ კაცადაც იქცეს და მას თანდათან შეეჩიო.

ლარისა — ის აქაც კარგი კაცია, ვერაფერს ცუდს მას ვიზ ვამჩნევ.

ოგუდალოვა — უმჯობესნიც არიან!

ლარისა — რასაკეირველია, არიან უმჯობესნიც; ეს მეც კარგად ვიცი.

ოგუდალოვა — არიან, მაგრამ ჩემთვის არ არიან.

ლარისა — ახლა ჩემთვის ეგეც კარგია... რა ბევრი უნდა ვილაპარაკოთ, როცა საქმე გადაწყვეტილია.

ოგუდალოვა — არა, მე მხოლოდ მიხარია, რომ შენის ეგრე მოგწონს. მაღლობა ღმერთს! შენთან მის დაძიხება ხომ არ დავიწყებ. მაგრამ არც პირფერობაა საჭირო, ბრძან ხომ არა ხარ.

ლარისა — ბრძან ვარ, ბრძან. ყველა გრძნობა ერთად დაკარგე და მიხარია. ყველაფერი, რაც ჩემს გარშემო ხდება, კარგების გარეშე ვარ იცხოვრებ.

უნდა წავიდე, თავი ვიხსნა. ჩავაცივდები იული კაპიტონიჩის, რომ აქაურობას მაღლე გავეცალოთ. ზაფხულიც ჩქარა გავა, მე კი ტყეში მინდა ვიარო, სოკოები, კენკრა ვკრიფო... .

ოგუდალოვა — ხედავ, თურმე რისთვის მოგიმზადებია ეს კილათა! ახლა მესმის. თუ ეგრეა, ბარემ ფართო ფარტლიანი ქუდიც შეიკერე, მწყემსის ქალს დაემსგავსები.

ლარისა — რატომაც არა, ქუდასაც შევიკერავ. (მღერის):

„ნუ მშიბლავ გრძობით, ამაო არი“...

იქ სიმშვიდეა, სიჩქმე.

ოგუდალოვა — საცაა სექტემბერიც ჩამოდგება და არც ისეთი სიჩქმე იქნება: ქარი ფანჯარაში დაიგრძოლებს!

ლარისა — მერე რა?

ოგუდალოვა — მელებიც აღმუვლდებიან.

ლარისა — აქაურობას მაინც აჯობებს. სულით ხომ მაინც დავისვენებ.

ოგუდალოვა — მე როდი გეუბნები გადაიფიქრე მეთქი. წადი, გეთაყვა, წადი, დაისკენე, მაგრამ გაფრთხილებ, რომ ზაბოლოტიე იტალია არ არის. მოვალე ვარ ეს გითხრა, თორემ იმედები რომ გაგიცრუედება; მევე გამამტყუნებ, დროშე რათ არ გამაფრთხილეო.

ლარისა — მადლობელი ვარ... დევ, ველური, ყრუ და ცივი ძვეყანა იყოს. აქაური ცხოვრების შემდეგ ყოველი ჩუმი ადგილი ჩემთვის სამოთხეა. რა არის ეს? არ მესმის, იული კაპიტონიჩი ეგრე რათ იგვიანებს.

ოგუდალოვა — სოფლის დარდი აქვს სწორედ! მას თავის გამოჩენა უნდა, ხალხში თავს იწონებს და საკეირველიც არ არის: არარაობა იყო და ახლა ხალხში გაერია.

ლარისა — (მღერის):

„ნუ მშიბლავ გრძნობით, ამაო არი“...

ეს, როგორ მწყინს, ჰანგს ვერაფრით კილო ვერ შევუშვე. (ფანჯარაში გაიხდავს). ილია, ილია, ერთ წუთს აქ მოდი!... თან რომანსებს წავიდებ, დაუუკრავ, ვიმღერებ დარდის გასაჭარებლად. (შემოდის ილია).

## გამოსავლა გვ-4

ოგუდალოვა, ლარისა და ილია

ილია — მოგილოურო დღესასწაულს! ღმერთმა ჯანი და ხელისერება მოგცეთ! (ქუდს კართან სკამე დაძებს).

ლარისა — ილია, ეს სიმღერა: „ნუ მშიბლავ გრძნობით“, აქნებ როგორმე გამიმართო, ა? სულ მერევა. (აძლევს გიტარას).

ილია — ახლავე, ჩემო ბატონო! (გიტარას მართავს). კარგი სიმღერაა. სამ ხმაზე მშვენიერია. გამყივანი ხმაა საჭირო, ის ქრომე მუხლს იკეთებს... ძალზე მშვენიერია. ჩეენ კი თავს უბედურება დაგვატყდა, ნამდეილი უბედურება!

ოგუდალოვა — რა უბედურება?

ილია — ერთი ანტონა გვყავს, გამყივანს მღერის...

ოგუდალოვა — ვიცი, ვიცი.

ილია — ერთადერთი გამყივანია. დანარჩენები ბანებია და ქერქ როგორი ბანები! გამყივანს კი მხოლოდ ანტონა მღერიდა!

ოგუდალოვა — მერე?

ილია — მერე და, გუნდისთვის ველარ გამოდგება, — თუ წინდა, წყალში გადაგიგდია.

ოგუდალოვა — რა? ავალ არის?

ილია — არა, ჯანსაღად არის, სრულიად კარგად.

ოგუდალოვა — მაშ რა დაგემართა?

ილია — წელში ნახევრად მოიკავა, ცალ გვერდზე გადაიხირა, მოკავული დადის... მეორე კვირაა ეგრე დადის... ეს, ნამდვილი უბედურება! გუნდში ყოველი კაცი ძეირად ჩაიღინოს და უგამყივანოდ სულ არ იქნება. დოხტერთან იყო, ეცნება: „ერთი ან ორი კვირის შემდეგ გაგიშვებს, ისევ გამართული ივლი, სწორი იქნებით.“ ჩეენ კი ახლა გვკირდება.

ლარისა — კმარა, იმღერე!

ილია — ახლავე, ქალბატონი... ეს სიმი ტყუის. ეს, რა უბედურებაა, რა უბედურება! გუნდში მუდამ ყოჩალად, სწორი უნდა იდგე, ის კი ცალ გვერდზე გადაიხარა.

ოგუდალოვა — გვეთი რა მოუვიდა?

ილია — სისულელე.

ოგუდალოვა — მაინც რა სისულელე?

ი ლ ი ა — სისულელე და სხვა არაფერი. ვურჩევდი: „თავს ყური უგდე, ანტონ, თავს გაუცროთხილდი“. მას კი გაგონებაც აღარ უნდოდა, არ ესმოდა.

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — ჰოდა, არც ჩემ გვესმის.

ი ლ ი ა — თქვენ ჯვარი გწერიათ და ქეთიფობდა, დროს ატარებდა. ვეუბნებოდი: „ანტონ, თავს ყური უგდე, თავს გაუცროთხილდი მეთქი“, იმას კი არ ესმოდა! ეჭ, გაგლას, გაგლას! კაცი ასეთ დროს ასი მანეთი მაინც გვილის. მერე როგორი საქმე გვაქვს, როგორ ბატონს ველოდებით და ანტონი კი წელში მაინცამაინც ახლა მოიკავა. მერე აა სწორი, წელგამართული ზოში ზოშა იყო და ახლა გვერდელა! (მღერის ბანით). „ნუ მხიბლავ გრძნობით!...“

(ზმა ფანჯარაში: „ილია, ილია, ჩა ოდარიყ! და სეგერ!“<sup>1</sup>).

ნამო? სო ტუკი ტრებე?<sup>2</sup>

(ხმა ქუჩიდან: „მოდი, ბატონი ჩამოვიდა!“).

ხონავესა?<sup>3</sup>

(ხმა ქუჩიდან: „ჩამოვიდა, მართლა ჩამოვიდა!“).

არა მცალია, ქალბატონო, ბატონი ჩამოსულა! (გიტარას მაგიდაზე დებს, ქუდი სქლში იღებს).

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — რომელი ბატონი?

ი ლ ი ა — ისეთი ბატონი, რომ ველით, გული მის მოლოდინში გაგვიწყალდა. მოელი წელიწადი ველით, აი როგორი ბატონი! (მიდის).

გამოსვლა 88-5

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა და ლარისა

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — ნეტავ ვინ ბატონი ჩამოვიდა? უთუოდ მდიდარია, ლარისა, და ვინ იცის, იქნებ უცოლოც. რადგან ბოშებს ეგრე გაუხარდათ, სინს, დროს ბოშებთანაც ატარებს ხოლო. ეჭ, ლარისა, ვინმე ხელსაყრელი სასიძო შემთხვევით ხომ არ გამოვერჩა, ჰა? ეს ქორწილი აბა რაში გეგჩარებოდა?

ლარისა — ეჭ, დედა, განა ცოტა ვეწერე? კრაი ამდენი თავის დაწირება.

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — უმ, რა საშინელი სიტყვა თქვი შენცა! „თავის დამცირება!“! ხომ არ მაშინებს? ჩენ ღარიბი ხალხი გართ და მთელ სიცოცხლეში თავის დამცირება მოგველის. სჯობია თვეი იხალგაზრდობაშივე დაიმცირო, რომ მერე ადამიანურად ცხოვრება შესძლო.

ლარისა — არა, მეტი არ შემიძლია. სამძიმოა ყოველივე ეს ჩემთვის, აუტანელად სამძიმო!

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — უნდა იცოდე, რომ ადვილად ვერაფერს შეიძნე და კვლავ მშრალზე დარჩები.

ლარისა — ისევ პირმოთნობა, სიცრუე...

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — იცრუე კიდეც, თავიც მოიკატუნ! ბედნიერებას თუ გაეძირი, უკან არ გამოგიდგება. (შემოდის კარანტინი).

გამოსვლა 88-6

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა, ლარისა და კარანდიშევი

ო გ უ დ ა ლ ო ვ ა — იული კაპიტონიჩ, ლარისა სოფელში წასევლელად ემხადება. ხედავთ, სოკოსოეის კალათიც გაამზადა.

ლარისა — დიახ, მოილეთ მოწყალება და აქედან ჩქარა წავიდეთ.

კარანდიშევი — მე თქვენი არა გამეგება რა! ეგრე სითონ რისოების მიეჩქარებით?

ლარისა — მე ისე შინდა აქედან წასვლა, გაქცევა მინდა.

კარანდიშევი — (აღდღვებული). ვის გაუტბიხართ, უკან ვინ მოვდევთ? ანდა იქნებ გრცხვენიათ, რომ ჩემი მეუღლე უნდა გახდეთ?

ლარისა — არა, თქვენთან შეუღლებისა როდი მრცხვენია. არ ვიკი შემდეგ რა იქნება და ჯერჯერობით ამის საბაბი არ მოგიყიათ.

კარანდიშევი — მაშ რა საჭიროა გაქცევა, რა საჭიროა დამალება? მომეცით დრო, რომ მოვეწყო, გონს მოვიდე. ხომ ჩემავთ, რომ მიხარია, ბედნიერი ვარ და მომეცით საშუალება კიგრძნო ჩემი მდგომარეობის მთელი სიამოცნება!

ლარისა — მედიდურება, არა?

კარანდიშევი — დიახ, მედიდურება! მე როდი ვმაღავ.

<sup>1</sup> მოდი აქ, ჩქარა მოდი (ბოშური).

<sup>2</sup> რისთვის, რა გინდა? (ბოშური).

<sup>3</sup> ბატუშებ (ბოშური).

შევრი, ძალიან ბევრი გვემა, დამცირება გადავიტანე; ჩემი  
სიამაყე ბევრჯერ იყო შეურაცხყოფილი. ახლა მინდა და უფ-  
ლებაცა მაქვს ვიმაყო, ვიმედიდურო კიდეც.

ლარისა — სოფელში წასელას როდისლა ფიქრობთ?

კარანდიშევი — ქორწილის შემდეგ როდესაც გნებავთ,  
თუნდაც მეორე დღესვე. მხოლოდ ჯერისწერა კი უსათუოდ  
აქ უნდა მოხდეს, რომ არ სთქვინ, თითქოს ვიმალებით, რად-  
გან თქვენ საქმროდ არ ვვარგივარ, შესაფერისი არა ვარ,  
თითქოს ის ხავი ვიყო, რომელსაც წყალწალებული ეჭიდება.

ლარისა — ეგ თქვენი უკანასკნელი სიტყვები თითქმის სი-  
მართლეს შეიცავენ, იული კაპიტონიჩ, ეგ შართალია!

კარანდიშევი — (გულით). ჰოდა, ეგ სიმართლე თქვენთვის  
შეინახეთ! (ცრემლმორეული). ცოტათი მაინც შემიბრალეთ! დევ,  
გარეშებს მაინც ეგონოთ, რომ გრყვარვართ, რომ თქვენი არ-  
ჩევანი თავისუფალი იყო.

ლარისა — რისთვის?

კარანდიშევი — როგორ თუ რისთვის? განა აღამიანის  
თავმოყვარება თქვენთვის არაფერია?

ლარისა — თავმოყვარება! სულ საკუთარ თავშე ფიქ-  
რობთ!.. ყველას თავისი თავი უყვარს! მე როდისლა შემიყვა-  
რებს ვინძე? დალუპვამდე მიმიყვანთ ეგრე!

ოგუდალოვა — კარვი, ლარისა, რა დაგეპართა?

ლარისა — მეშინია, დედა, რაღაცის მეშინია! მაშ, უური  
დამიღდეთ: თუ მაინცდამაინც ქორწილი აქ იქნება, მაშინ, უ-  
თავვა, ბევრი ხალხი არ არის საჭირო. რაც შეიძლება ჩუმად  
და სადაც ჩაეაზროთ ჩვენი ეს შეულება.

ოგუდალოვა — შენ აქ ხუშურებს კი ნუ დამიშეებ! რა-  
კი ქორწილია, ქორწილი იყოს! მე ოგუდალოვა ვარ, სილტა-  
კეს შინ არ დავუშვებ! ისეთნაირად უნდა გაბრწყინვალდე,  
რომ მსგავსი რამ თვალით არავის ენახოს.

კარანდიშევი — არაფერს, არაფერს ამისათვის არ დავი-  
შურებ.

ლარისა — იძულებული ვარ ხმა ჩავიწყვიტო. გხედავ, კარ-  
გად ვხედავ, რომ მე თქვენთვის ტიკინა ვარ. გაითამშებთ,  
თავს ჩემით გაირთობთ, მერე დამამტვრევთ და გადამაგდებთ.

კარანდიშევი — აი, თუნდაც დღევანდელი სადილი, იაფი  
როდი მიჯდება.

ოგუდალოვა — ეგ სადილი მე სულ ზედმეტად მიმაჩნია,  
ტუშილი ხარჯია.

კარანდიშევი — არა, ორ-სამჯერ მეტიც რომ დირდეს  
შინც არ ვინანებდი.

ოგუდალოვა — არავისთვის ის საჭირო არ არის.

კარანდიშევი — ის ჩემთვის არის საჭირო.

ლარისა — ნეტავ რისთვის, იული კაპიტონიჩ?

კარანდიშევი — ლარისა დომიტრიევნა, სამი წელიწადი  
კომინი დამცირება, სამი წელიწადი ვიტანდი პირში დაცუნ-  
დეს თქვენი ნაცნობებისაგან; ახლა ჩემი ჯერია, სამაგიერო  
შეს დაცინვითვე უნდა მივუშლო.

ოგუდალოვა — ეს რა მოგიფიქრებიათ? ჩხუბი, აყალ-  
შევლი ხომ არ გინდათ გამართოთ? მე და ლარისა ვერ წამოვალთ.

ლარისა — ნურავის ნუ აწყენინებთ, გეთაყვა.

კარანდიშევი — ნურავის აწყენინებთ! ჩემი განაწყენება  
კი თითქოს არაფერია, არა? დამშვიდდით, არავითარი ჩხუბი  
არ მოხდება, ყელასუერი მშეიდად ჩაიგლის. თქვენს საღ-  
რებელების საჯაროდ ვიტყვი და მაღლობასაც საჯაროდევე  
გამოყენებულებათ, მაღლობას იმ ბელიერებისათვის, რომელსაც  
ოქენის არანებას მანქებათ, ერტყვი იმასაც, რომ თქვენ სხვე-  
ბიერი არ მოშეცარით, დამატასეთ, დაიჯერეთ ჩემი გულწრ-  
ყველი გრძნიობით, გათავდა, აი ჩემი შეტონისძება.

ოგუდალოვა — ყოველივე ეს საჭირო არ არის.

კარანდიშევი — საქმე გავიპირეს იმ ქარაფშუტებმა თა-  
ვისი ნაქომბოთ. მათ ხომ არ შეუძნიათ ეს სიძილერე? მაშ  
ჩის ტრანზისობენ? ერთ ჭიქა ჩაიში თხუთმეტ მანეთს რატომ  
ისერიონ.

ოგუდალოვა — თქვენ სულ იმ საწყალი ვასიას ჯავრი  
ეჭირთ.

კარანდიშევი — მარტო ვასიას არა, ყველანი კარგი  
არიან! ხედავთ, რა ხდება ქალაქში, რა სიხარული უბრწყი-  
ნებით სახეშე! ყველა მეტლე გახარებული მიპქრის ქუჩაზე, ერთ-  
ხელის ეძინება: „ბატონი ჩამოვიდა, ბატონი“... სამიკიტონს

მსახურნიც კი ბრწყინვენ, გარეთ გამორბიან, გაჰყვირიან: „ბატონი ჩამოვიდა, ბატონიო!“ ბოშეპა ხომ სულ დაგიედნენ, ყაყანებენ, ხელებს იქნევენ. სასტუმროსთან ბრბო ირევა, ახლა თხი მორთულ-მოქაზმული ბოშა ქალი ეტლით მიიღიდა ჩამოსულთან შისალოცად. საკვირველია, რა სურათი იყო! ბატონს კი, როგორც გავივონე, ქონება გაუფლანგაეს, უკანასკნელი გვმიც გაუყიდია. ვინ ჩამოვიდა? გაკოტრებული მოქეიფე, გარწყნილი კაცი და მთელი ქილაჭი გახარებულია! მშენიერი წენ-ჩვეულებაა სწორედ.

ოგუდალოვა — შერე და ვინ ჩამოვიდა?

კარანდიშევი — თქვენი სერგეი სერგეიის პარატოვი, (ლარის შესინებული წამოდება).

ოგუდალოვა — ხედავ თურმე ვინ ჩამოსულა.

ლარისა — წავიდეთ სოფელში, ახლავ წავიდეთ!

კარანდიშევი — სწორედ ახლა არაა საჭირო წასელა.

ოგუდალოვა — რას ამბობ, ლარისა, რათ უნდა დაემალო? აგაზავი ხომ არ არის!

ლარისა — რათ არ მიჯერებთ! წყალში მაგდებთ, უფსკრულში ჩეხავთ!

ოგუდალოვა — შენ ხომ არ გაგიძდი?

კარანდიშევი — რის გეშინიათ?

ლარისა — ჩემთვის არ ვშიშობ.

კარანდიშევი — ზაშ ვისოფის?

ლარისა — თქვენთვის.

კარანდიშევი — ოთ, ჩემთვის ნუ გეშინიათ! მე თავს არ შეაგებ. აბა, ერთი სცადოს შეხება და მაშინ ნახავს...

ოგუდალოვა — რას ამბობთ, ლერთმა დავითაროთ! ეს ხომ ვასია არ არის. ფრთხილად იყავით მასთან, თორეშ სიკვდილს მოინატრებთ.

კარანდიშევი — (ფანჯარასთან). აგერ, ინებეთ და თქვენი თვალით ნახეთ, როგორ მობრძანდა იგი თქვენთან, ეტლში შებმულ თხი იორლა ცხნით. ქოფოზე კი, მეეტლის გვერდით, ბოშა მომღერალი უხის. ხედავთ, რა ქარბუქს და კორიანტელს აყნებს! რა თქმა უნდა, ამით არავინ ზარილობს, დევ, იღალობოს; ნამდვილად კი ყოველივე ეს სისულელეც არის და სიბილშეც!

ლარი ისა — (კარანდიშევეს). წავიდეთ, წავიდეთ ჩემს ოთახში. დედა, აქ მიიღე; თავი როგორმე იხსენ მისი დარჩაზობისგან! (ლარისა და კარანდიშევი გადიან. შემოდის პარატოვი).

## გამოსვლა ვვ-7

ოგუდალოვა, პარატოვი

პარატოვი — (მოელ სცენას ხან ზუმრობისა და ხან სერიოზული კლოთი ატარებს). ძალუა, თათები! მომეცით თათები, დაგიკუცნოთ.

ოგუდალოვა — (ხელს გაუწვდის). აჲ, სერგეი სერგეი! აჲ, მეირგასო ჩემი!

პარატოვი — გულში გინდათ ჩამიქრათ? შეიძლება. (ერთ-მანეოს ებებებან და ჰკოცნან).

ოგუდალოვა — რომელმა ქარმა გადმოგაგდოთ? გავლით, უთუოდ?

პარატოვი — საგანგებოდ გეახელით, პირველი ჩემი დარჩაზობა თქვენ გეეუთვით, ძალუა!

ოგუდალოვა — გმადლობთ. როგორა ხართ, როგორ არის თქვენი საქმეები?

პარატოვი — ლეთის წყალობით და შეწევნით ვცხოვრობ, ძალუა ჩემო, მხიარულად. საქმეები კი მაინც დამაინც სახარბიელოდ როდი მაქეს.

ოგუდალოვა — (შეხედავს პარატოვს). სერგეი სერგეიის, მითხარით, ჩემო კარგო, რა იყო მაშინ, ისე უცებ რომ გაქრით?

პარატოვი — უსიამოვნო დეპეშა მივიღე, ძალუა!

ოგუდალოვა — როგორი?

პარატოვი — ჩემთა მმართველებმა და მოურავებმა უჩემდო ჩემი სახლი გაანიაგეს. თავიანთი ხრიებით ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება და გემები აუკციონამდე მიიყენეს. და ის, მაშინ მოექუსლე, გავიქეცი, რომ ჩემი გვამი როგორმე მეტნა.

ოგუდალოვა — და, რა თქმა უნდა, კველაფერი დაიხსენით, კველაფერი მოაწესრიგეთ, არა?

პარატოვი — ვერა, ვერაური. თავი კველაფერს ვერ გააჩინო. მინგრეულ-მონგრეული საქმე ბლობად დამრჩა. თუმცა,

ჩემი ძალუაყ, სულით როდი ვეცემი, კარგ გუნებახე მაინც  
ვარ.

ოგუდალოვა — ვხედავ, რომ ხართ.

პარატოვი — ერთხელ წავაგებთ, მეორედ მოვიგებთ, ძა-  
ლუა, აი ჩენი საქმე როგორია.

ოგუდალოვა — რით გინდათ მოიგოთ? ახალი საქმეები  
ხომ არ დაიწყეთ?

პარატოვი — რა ჩენია საქმეა, მსუბუქ ჯენტლენების-  
თვის, ახალი საქმეების წამოწყება! ამისთვის საფალო განყო-  
ფილება არსებობს, ძალუა! მინდა გაეყიდო ჩემი თავისუფლება.

ოგუდალოვა — მესმის, სარგებლით გინდათ ცოლი შეირ-  
თოთ, არა? მერე. რამდენად აფასებთ მაგ თქვენს თავისუფ-  
ლების?

პარატოვი — ნახევარ მიღიონად.

ოგუდალოვა — ძეირად დაგიფასებიათ.

პარატოვი — უფრო იაფად, ძალუა, არ შეიძლება, სარფა  
არ არის. თქვენც კარგად იცით, რა ძეირად მიღირს იგი.

ოგუდალოვა — ყოჩალ, გაეყაცო!

პარატოვი — მიმიღეთ ისეთი, როგორიცა ვარ!

ოგუდალოვა — პოი, შევარდენო! გიყუროს კაცმა და გული  
იხარის.

პარატოვი — ძალიან სასიამოვნოა თქვენგან ამის გაგო-  
ნება. თათები მიბოძეთ! (კონის ხელზე).

ოგუდალოვა — მყიდველები არიან? ესე იგი, მყიდველი  
ქალები?

პარატოვი — თუ მოიძები, შეიძლება იპოვო.

ოგუდალოვა — მომიტევეთ ერთი უხერხული კითხვა.

პარატოვი — თუ ძალიან უხერხულია, ნუ მყითხავთ, — ხომს  
იცით, როგორი მორცხვი კაცი ვარ.

ოგუდალოვა — დაიცა ერთი, ნუ ხუმრობ! საცოლე გყავს  
თუ არა? თუ გყავს, ვინ არის?

პარატოვი — რომ მომქალათ, მაინც არ ვიტყვი.

ოგუდალოვა — მაშ, როგორც გინდა.

პარატოვი — მინდა ჩემი პატივისცემა გამოვუცხადო ლა-  
რისა დიმიტრიევნას. მისი ნეხვა თუ შეიძლება?

ოგუდალოვა — რატომაც არა... ახლავე თქვენთან გამოვ-  
წევინ. (იღებს კოლოფს ნივთებით). ჰო, მართლა, სერგეი სერგეიჩ,  
ხეილ ლარისას დაბადების დღეა, მსურდა მისთვის ეს ნივთები  
შეფერებინა, მაგრამ ფული ბლომად მაკლდება.

პარატოვი — ძალუა, ძალუა! საში კაცისგან ხომ მიიღეთ?  
იცოდეთ, თქვენი ფანდები ისეე მახსოვს.

ოგუდალოვა — (პარატოვს ყურს აუჭებს). ოჰ, შე ოინბაზო,  
ონიგარო!

პარატოვი — ხეალ ამაზე უკეთეს საჩუქარს თვითონ შო-  
კურან.

ოგუდალოვა — წავალ, ლარისას დავუძახებ. (გადის. შემოდის  
ლარისა).

### გამოსვლა 88-8

პარატოვი და ლარისა

პარატოვი — არ შეღოდით?

ლარისა — მეგამად არა. დიდხანს გელოდეთ, მაგრამ კარ-  
გა ხანა რაც შევწყვიტე.

პარატოვი — რატომ შეწყვიტეთ?

ლარისა — თქვენი დაბრუნების იმედი აღარ მქონდა. რა-  
ღაც მოულოდნერდ გაქრით, ერთი წერილიც არ მაღირსეთ...

პარატოვი — წერილს არ გწერდეთ იმიტომ, რომ ვერა-  
ურ სასიამოვნო ამბავს შევატყობინებდით.

ლარისა — მეც ასე ვფიქრობდი.

პარატოვი — ჰიდა, თხოვთებით?

ლარისა — დიახ, ეთხოვთებით.

პარატოვი — ნება მიბოძეთ გყითხოთ, დიდხანს შელოდით?

ლარისა — მაგის ცოდნა თქვენთვის რა საჭიროა!

პარატოვი — ცონბისმოყვარეობისათვის კა არა, ლარისა  
დიმიტრიევნა, მე მხოლოდ თეორიული მოსაზრებანი მაინტე-  
რესებენ. მინდა ვიცოდე, ქალს ეგეთი ვნებით შეყვარებული  
იდამიანი მალე ავიწყდება თუ არა. თუ ავიწყდება, განშორე-  
ბის მეორე დღეს, ერთი კვირის, თუ ერთი თვის შემდეგ...

მქონდა თუ არა ჰატივისცემა გუნდა დედისათვის, რომ  
შეს „არ გასცევთია ჯერაც ფეხსაცმელი“ და სხვა.

ლარისა — თქვენს კითხვაზე პასუხს არ გაგცემთ, სერგეი სერგეი. შეგიძლიათ იფიქროთ ჩემსე რაც გნებავთ.

პარატოვი — თქვენზე მე ყოველთვის პატივისუმით ვიფიქრებ, მაგრამ თქვენი საქციელის შემდეგ ჩემს თვალში ქალი ბეკის ჰკარებას.

ლარისა — მერე და როგორია ჩემი საქციელი? ამის გამო თქვენ ხომ არაფერი არ იცით.

პარატოვი — ეს წყნარი, ნაზი ცქერა“, ის ტკბილი, სასიყარულო ჩურჩული, როდესაც ყოველ სიტყვას სცელის ღრმა ამონხერა, ის შეფიცვანი!.. და ყველა ეს, ერთი თვის შემდეგ, მეორდება სხვისთვის, როგორც გაზეპირებული გაცემილი. ჰით, დედაქაცნო!

ლარისა — რა „დედაქაცნო“?

პარატოვი — არარაობა უნდა გერქვათ თქვენ!

ლარისა — როგორ ბედავთ ჩემს ასეთ შეურაცხყოფას. განა თქვენ იცით, რომ თქვენს შემდეგ სხვა შევიყვაჩე? ნუთუ ამა-ში დარწმუნებული ხართ?

პარატოვი — არ ვარ დარწმუნებული, მაგრამ ვფიქრობ.

ლარისა — როდესაც ასე შეაცრად სჯით, ნამდვილი უნდა იცოდეთ ყველაფერი და არა ვარაუდობდეთ.

პარატოვი — თქვენ თხოვდებით.

ლარისა — მერე რამ მაიძულა?.. შინ ცხოვრება თუ არ შეიძლება, სიკედილზე საშინელ სევდას თუ განიცდი და ამ დროს გიბრძანებენ იარშიყო, იცინო და თავს განვევენ ისეთ საქმროებს, რომელთაც მხოლოდ ზიზღით უყურებ, თუ შინ აუგრძელია, თუ შინიდან უნდა გაიძევ და არამც თუ შინიდან, ქალაქიდანაც!..

პარატოვი — ლარისა, მაში თქვენ?

ლარისა — რა „მე“? რა გინდოდათ რომ გეთქვათ?

პარატოვი — მომიტევეთ! მე იქვენს წინაშე დამნაშავე ვარ. მაში თქვენ არ დაგავიწყდით, კიდევ... გრყვარვართ? (ლარისა სდგმს). მითხარით, იყალით ჩემთან გულახდალი!

ლარისა — რა თქმა უნდა, ჰო. საკოთხვი აქ არაფერია.

პარატოვი — (ნახად აკცებს ხელშე). გმადლობთ, ლარისა, გმადლობოთ.

ლარისა — თქვენთვის მხოლოდ ეს იყო საჭირო, თქვენ მეტად ამაყი კაცი ხართ.

პარატოვი — თქვენი დათმობა მხოლოდ საქმის მდგომა-რების გამო შემძლია, მოვალეობა ვარ. მაგრამ თქვენი სიყა-რულის დათმობა ჩემთვის ძნელია.

ლარისა — ნუთუ?

პარატოვი — ვინმე რომ გემჯობინებინათ, ლრმა შეუ-რაცხყოფას მომაყნებდით და ერთ ადვილად მოგიტევდით.

ლარისა — ახლა?

პარატოვი — ახლა მთელი სიცოცხლის მანძილზე ძვირ-ფას მოგონებად დამრჩებით და ერთმანეთს როგორც სუკე-თეს მეგობრები ისე გავშორდებით.

ლარისა — შაშასადამე, ქალმა გინდ იტიროს, გინდ ივაგ-ლობოს, ოლონდ უყვარდეთ, არა?

პარატოვი — რას ისამთ, ლარისა დიმიტრიევნა! სიყა-რულში თანასწორობა არ არსებობს და არც ჩემგან არის ყო-ვილივე ეს დაწესებული. სიყვარულს ხანდახან ტირილიც მოს-დევს.

ლარისა — და უსათუოდ ქალმა უნდა იტიროს, არა?

პარატოვი — რასაკირეველია არა მამაქაცმა.

ლარისა — მერე რატომ?

პარატოვი — სულ უბრალოდ, — იმიტომ რომ, თუ მამა-კაცმა იტირა, მას ქალაჩუნას შეარქმევენ; ეს სახელი კი მამა-კაცისთვის ყველაფერზე უარესია, რაც კი ადამიანის პეტას შეუძლია მოიციქოს.

ლარისა — თუ ორთავე მხრივ თანასწორი სიყვარული იქ-ნება, მაშინ ცრემლებსაც ადგილი არ ექნება. ხდება კი ეს ოდესშე ასე?

პარატოვი — ხანდახან ხდება. თუმცა ეს რაღაც საშა-ქარილამო ნამცხვარს ემსგაესება, რაღაცა „ბეზე“ გამოდის.

ლარისა — სერგეი სერგეი, მე გითხარით ის, რაც არ უნდა მეთქვა; დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს გულახდილობას მორიტად არ გამოიყენებთ.

პარატოვი — მოიღეთ მოწყვალება, განა ვინა გგონიერთ? თუ ქალი თავისუფალია, მაშინ კიდევ ჰო, სხვა საქმეა... ლა-

რისა დიმიტრიევნა, მე წესრიგის კაცი გახლავართ და ქორწინება წმინდა საქმედ მიმიანია; ალირიასხსნილი თავისუფლება ჭირივით მეჯავრება. ნება მიბოძეთ ვიცოდე, თქვენი მომავლი მეულლე ბევრი ღირსებით არის დაჯილდობული?

ლარისა — არა, მხოლოდ ერთით.

პარატოვი — ცოტაა.

ლარისა — სამაგიეროდ ძეირფასია.

პარატოვი — სახელდობრი?

ლარისა — მე მას ვუყვარვაორ.

პარატოვი — ეს მართლაც ძეირფასია, ოჯახის კეთილმოწყობისათვის ეს კარგია.

(შემოდიან თგუდალოვა და კარანდიშევი).

### გამოსხლა 80-9

პარატოვი, ლარისა, თგუდალოვა, კარანდიშევი,  
შემდეგ მსახური

თგუდალოვა — ბატონებო, ნება მიბოძეთ ერთმანეთი გაგაცნოთ! (პარატოვს). იული კაპიტონიჩ კარანდიშევი. (კარანდიშევს). სერგეი სერგეიჩ პარატოვი.

პარატოვი — (ხელს ართმევს კარანდიშევს). ჩენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს. (თავს უქრავს). კაცი დიდი ულვაშებით და პაწია ნიჭიერებით. გთხოვთ გიყვარდეთ და სცნობდეთ ხარიტა იგნატიევნასა და ლარისა დიმიტრიევნას ძველ მეგობარს.

კარანდიშევი — (თავშეაცებით). ძალიან სასიამოვნოა.

თგუდალოვა — სერგეი სერგეიჩი ჩენსა ისეა, როგორც მახლობელი.

კარანდიშევი — ძალიან სასიამოვნოა.

პარატოვი — (კარანდიშევს). ეჭვიანი ხომ არა ხართ?

კარანდიშევი — მე მეონია, რომ ლარისა დიმიტრიევნა არავითარ საბუთს არ მომცეს ეჭვიანობისათვის.

პარატოვი — მერე და, ეჭვიანები ხომ უსაბუთოდაც ეჭვიანობენ.

ლარისა — მე ვარ თავდები, რომ იული კაპიტონიჩ არ იკვიანებს.

კარანდიშევი — რასაკეირველია, პო, მაგრამ თუ...

პარატოვი — დიახ, დიახ, სწორედ ეგ იქნებოდა საშინელი.

თგუდალოვა — რაა, ბატონებო, ეს რა წამოიწყეთ? განა ეჭვიანობის გარდა სათქმელი სხვა არა გაქვთ რა?

ლარისა — ჩეუნ, სერგეი სერგეიჩ, სულ მალე სოფლად მიყდივართ.

პარატოვი — აქეურ შევენიერ მიღამოებიდან?

კარანდიშევი — რას ხედავთ აქ მშევნიერს?

პარატოვი — ეგ ვის როგორ ეპრიანება. მოგეხსენებათ, ფერსა და გემოვნებაში თანხმობა არ არსებობს.

თგუდალოვა — მართალია, მართალი, ზოგს ქალაქი მოსწონს და ზოგს სოფელი.

პარატოვი — ძალუა, ყველას თავისი გემოვნება აქვს: ზოგს ყარფული უყვარს და ზოგს გოჭის კანატელა.

თგუდალოვა — ახ, შე ცელქო და ოინბაზო, ამდენი ანდაზები საიდან იცი?

პარატოვი — ბურლაკებთან დავიარებოდი, ძალუა, და იქ დავეუფლე რუსულ ენის.

კარანდიშევი — რუსული ენის სწავლა ბურლაკებთან?

პარატოვი — მერე და, რატომ არ შეიძლება იმათგან სწავლა?

კარანდიშევი — იმიტომ, რომ ჩენ იმათ ვთვლით...

პარატოვი — ვინ არიან ეგ თქვენი „ჩვენ“?

კარანდიშევი — ჩენ, ესე იგი, განათლებული ხალხი და არა ბურლაკები.

პარატოვი — მაშ, თქვენის აზრით, რას წარმოადგენენ ბურლაკები? მე გემის პატრონი ვარ და მათ ვექომიაგები; მეც ბურლაკი ვარ.

კარანდიშევი — ჩენ ისინი სიბრიუნვისა და სიტლანეების ნიშვნად მიგვიჩინია.

პარატოვი — დიახ, შემდეგ, ბატონო კარანდიშევ!

კარანდიშევი — შემდეგ არაფერი.

პარატოვი — არა, მაგ სიტყვებს ერთი უმთავრესი რამ დააკელით: თქვენ ბოდიში უნდა მოიხადოთ.

კარანდიშევი — მე ბოლიში?

პარატოვი — დიახ, რა გაეწყობა, საჭიროა.

კარანდიშევი — ვითომ რატომაო? ეს ჩემი რწმენაა.

პარატოვი — აბა, აბა! თავის დაძვრენა აქ შეუძლებელია.

ოგუდალოვა — ბატონებო, ბატონებო, რა დაგემართათ?

პარატოვი — ნუ სწუხართ, დუღუში არ გავიწვევ; თქვენი სასიძო საღსალამათი დარჩება; მე მას მხოლოდ ჰქუას ვასწავლი. წესად მაქეს დაბებული, არავის არაფერი მიღურევო, თორებ შიში და რიცი ავტუდებათ და თავხედებიან.

ლარისა — (კარანდიშევს). რას ჩაღიხართ? მე თქვენ გიბ-რძანებთ, ახლავე ბოლიში მოიხადოთ!

პარატოვი — (ოგუდალოვას). მგონია, დროა რომ მიცნობ-დეთ, თუ მინდა ვინმეს ჰქუა ვასწავლო, მთელი კვირით შინ ვაკეტები და მისთვის სასჯელს ვიღონებ.

კარანდიშევი — (პარატოვს). არ მესმის...

პარატოვი — პოდა, უწინარეს ყოვლისა გაგება ისწავლეთ და მერე ილაპირაკეთ.

ოგუდალოვა — სერგეი სერგეიის, თუ გინდათ დავიჩო-ქებ და ისე გთხოვთ, ჩემი გულისთვის აპატიოთ!

პარატოვი — (კარანდიშევს). ხარიტა იგნატიევნას დაუშად-ლეთ. მიპატიებია. მხოლოდ, ჩემი კარგო, ადამიანების ვარ-ჩევა უნდა იცოდეთ. ხომ გაგიგონიათ ცხვარი — ცხვარიათ და თუ გაცხარდა — ცხარიოთ!

(კარანდიშევს უნდა პასუხი გასცეს).

ოგუდალოვა — ნურატერს ეტყვით, ხმა არ ამოილოთ, თორებ, იცოდეთ, წაგერჩეულებით! ლარისა, უბრძანე შამპა-ნური მოგვართვან და დაუსხი თითო ჭიქა, დაუსხი, შერიგე-ბის დალიონ. (ლარისა გადის). ბატონებო, გეთაყვათ, ნუ წაიჩ-ხებებთ, მე ერთი მშეიდობიანი ხასიათის დედაქაცი ვარ და მიყვარს, როცა ჩემთან ყველანი მშეიდად, შეთანხმებულად არიან.

პარატოვი — მე თვითონ მშეიდი ხასიათის კაცი ვარ, ქათამს არ ვაწყენინებ. აყალ-შაყალს პირველი თავის დღეში არ დავიწყებ, სიტყვას ვაძლევთ.

ოგუდალოვა — იული კაპიტონიჩ, თქვენ ჯერ კიდევ ახალ-გაზრდა ხართ, სიმშევიდე გმართებთ, აპილპილება როდი ვარგა. კეთილ ინებეთ და სერგეი სერგეიის სადილად უსათუოდ და-პატიულეთ. ჩენ დიდად გვესიამონება მასთან ერთად ყოფნა.

კარანდიშევი — მეც მინდოდა. სერგეი სერგეიის, ხომ არ ინებეთ, რომ დღეს ჩვენთან ერთად ისადილოთ?

პარატოვი — (ციფად). სიმონებით. (შემოდის ლარისა, მას მისდევს მსახური ლანგარით ხელში, ზედ შამპანურის ბოთლი და ჭი-ქები აწყვად).

ლარისა — (შამპანურს ასხამს). ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ. (პარატოვი და კარანდიშევი ვიქებს იღებენ). გთხოვთ მე-გობრები იყოთ.

პარატოვი — თქვენი თხოვნა ჩემთვის ბრძანებას უდრის.

ოგუდალოვა — თქვენც სერგეი სერგეიისაგან აიღოთ მაგალითი!

კარანდიშევი — ნე ხომ თქმაც არ შეირდება, ჩემთვის ლარისა დიმიტრიევნას ყოველი სიტყვა კანონია. (შემოდის ვოლფატოვი).

### გამოსავალი 88-10

ოგუდალოვა, ლარისა, პარატოვი, კარანდიშევი, ვოლ-ფატოვი და მერე რობინ ზონი

ვოლფატოვი — საღაც შამპანურია, ჩენც იქა ვართ. რო-გორი ყნოსვა მაქეს, ჰა? ხარიტა იგნატიევნა. ლარისა დიმიტ-რიევნა, ნება მიეცით იმ ქერას თახახში შემოფიდეს!

ოგუდალოვა — რომელ ქერას?

ვოლფატოვი — ახლა იხილოვთ. შემოდი, ქერა! (რობინ-ზონი შემოდის). ჩაქეს პატიე წარმოგიდგინოთ, ჩემი ახალი მეგობარი, ლორდ რობინზონი.

ოგუდალოვა — ძალიან სასიმოვნოა.

ვოლფატოვი — (რობინზონს). ემთხვევ თაოებზე! (რობინზონი შეკრის ულესხე ოგუდალოვას და ლარისას). ახლა, მილორდ, აქ მოდი!

ოგუდალოვა — რა არის ეგ, როგორ ბრძანებლობთ თქვენს მეგობარზე?

ვოლფატოვი — მანდილოსანთა საზოგადოებაში თითქმის

არასოდეს არ ყოფილა და ძალზე მორცხვია. მეტწილად  
მოგზაურობდა—ხმელეთზე, წყალზე; ამას წინათ კი სადღაც  
უდაბურ კუნძულზე იყო და თათქმის გაველურდა. (კარანდი-  
შეეს). წება დამრთეთ გაგაცნოთ ერთმანეთი! ლორდ რობინ-  
ზონი, იული კაპიტონის კარანდიშეეს!

კარანდი შევი — (ხელს ართმევს რობინზონს). დიდიხანია რაც  
ინგლისილან ჩამოხვედით?

რობინზონი — Yes. (იეს)<sup>1</sup>.

კოშვევატოვი — (პარატოვს). სიშიოდ სიტყვა ძლევს ვას-  
წავლე ინგლისურად, აუმც გამოვტყდები და მე თვითონაც  
ცოტათი მეტი ვიცი. (რობინზონს). რა არის ღვინოს რომ შეს-  
ტერი? ხარიტა იგნატიევნა, შეიძლება?

ოგუდალოვა — კეთილ ინტერეს.

კოშვევატოვი — ინგლისელები ხომ მთელი დღე დილი-  
დანეე სვამენ.

ოგუდალოვა — ნუთუ თქვენც მთელი დღე სვამი?

რობინზონი — Yes.

კოშვევატოვი — ეგნი სამჯერ საუზმობენ და მერე ექვსი  
საათიდან თორმეტ საათამდე სადილობენ.

ოგუდალოვა — განა ეგ შესაძლებელია?

რობინზონი — Yes.

კოშვევატოვი — (რობინზონს). ავა დაასხი!

რობინზონი — (დაასხამს ჭიქებში შამაანუს). If you please!  
(თუ იუ პლიზ).<sup>2</sup> (სვამენ).

კარატოვი — (კარანდიშეეს). ეგეც დაპატიჟეთ სადილად. მე.  
ყოველთვის მასთან ერთად ეარ, უმაგისოდ არ შემიძლია  
კარანდი შევი — სახელი რა ჰქვია?

კარატოვი — სახელის დაძახება მაგათ წესად როდი აქვთ!  
ლორდ, მილორდ...

კარანდი შევი — განა ეგ ლორდია?

კარატოვი — რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მაგათ ასე  
უყვართ. უბრალოდ კი, სერ რობინზონ!

კარანდი შევი — (რობინზონს). სერ რობინზონ, უმორჩილე-  
სად გთხოვთ დღეს სადილად გვეწვიოთ.

რობინზონი — I thank you. (აი სენ იე).

კარანდი შევი — (ოგუდალოვას). ხარიტა იგნატიევნა, შე შინ  
მივდივარ, მინდა სადილის თაღარიგი დავიჭირო. (თავს უკრავს  
შველას). მაშ ეგრე, ბატონებო, ყველას შინ გელით. მაქვს პატივი  
გამოვეთხოვთ. (მიდის).

კარატოვი — (ქუდს აიღებს). ჩვენთვისაც დროა, ნამგზავრზე  
ცოტა უნდა დავისვენო.

კოშვევატოვი — სადილისათვის მოვემზადოთ.

ოგუდალოვა — მოითმინეთ, ბატონებო, ყველა ერთად  
სად მიიჩქარით? (ოგუდალოვა და ლარისა კარანდიშეეს დერეფანში  
გააცილებენ).

### გამოსვლა ვე-11

კარატოვი, კოშვევატოვი, რობინზონი

კოშვევატოვი — სასიძო როგორ მოგეწონათ?

კარატოვი — რის მომეწონა, რა მომეწონა! ეის შეიძლე  
ბა ეგ მოეწონოს? ბევრსაც რომ ლაპარაკობს, ეგ ბატისცება!  
კოშვევატოვი — განა მოხდა რამე?

კარატოვი — ცოტა წავლაპარაკდით. რაღაცას იუხორე-  
ბოდა, ყოყლოჩინობა დამიწყო. დაიცა, მეგობარო, შენი გამას-  
ხარავებით კიდევ შევიტევ თავს. (შებლე ხელს გაირტყამს). აჲ!  
ეს რა ბრწყინვალე აზრი მომიერდა! რობინზონ, აბა დატრი-  
ალდი, მძიმე სამუშაო მოგელის, ეცადე!

კოშვევატოვი — რა საქმე?

კარატოვი — აი რა... (რაღაცას მიაყურებს). შოდიან! მერე  
გიტყვით, ბატონებო. (შემოდიან თვეუდალოვა და ლარისა). მაქვს პა-  
ტივი გამოვეთხოვთ!

კოშვევატოვი — ნახვამდის! (თავს უკრავს).

<sup>1</sup> ჰო, დიახ. (ინგლ.).

<sup>2</sup> ბატონი ბრძანდებით. (ინგლ.).

## მოძალება მესამე

კარანდიშევის კაბინეტი. პრეტენზით, მაგრამ უგემოვნოდ მორთული ოთაში. ერთ კედელზე დივანის წინ ხალიჩა ჩამოჟენილი და ზედ იარაღი კიდა. სამი კარი: ერთი შუაში, ორი გვერდებზე.

### გამოსვლა 1-ლი

ევფროსინია პოტაპოვნა და ივანე (გამოდის მარცენა კარებიდან)

ივანე — ლიმონები მიბომეთ.

ევფროსინია პოტაპოვნა — რა ლიმონები, ასპიტო? ივანე — მესინური.

ევფროსინია პოტაპოვნა — რაში დაგჭირდა?

ივანე — ნასაღილევს ზოგი ბატონი ყავას მიირთმევს, ზოგიც ჩაის და აი სწორედ ჩაისთვისაა საჭირო.

ევფროსინია პოტაპოვნა — დღეს თქვენ სწორედ ჯვარს მაცით! შტოშის მორის მიირთვან, სულერთი არ არის? იქ ჩემს ოთახში სურაა. მხოლოდ ფრთხილი იყავი, სურა ძეველია, საცობი ლუქით აქეს დაწებებული და არ მოტყდეს. ანდა წამო, მე თვითონ მოგცემ. (გადის შუა კარებით. ივანე თან გაჰყება. მარცენა კარით თუდალოვა და ლარისა შემოდიან).

### გამოსვლა მე-2

ოგუდალოვა და ლარისა

ლარისა — ახ, დედა, სირცეილით აღარ ვიცოდი საღწევსულიყვავი.

ოგუდალოვა — მისგან ასეც მოველოდი.

ლარისა — ეს რანაირი საღილია! მერე მოყი პარმენიჩ. საც რომ ეპატიუება! რათ სჩადის ამას?

ოგუდალოვა — დიახ, სწორედ რომ კარგად გაგვიშას. პინძლდა, იმდენი იმას რა ვუთხარი!

ლარისა — ოჲ, რა საძაგლობა! იმაზე დიდი სირცეილი არის არის რა, როდესაც სხვის მაგიერ გრცევნია... ია, ჩენ ხომ არაფერში დამნაშავე არა ვართ, მაგრამ მინც მრცევნია, მრცევნია ისე, რომ საღმე გადავიგარებოდი. ეგ კი თითქოს ვერაფერს ამჩნევს. მხიარულიდაც რომ არის!

ოგუდალოვა — ვერც ვერაფერს შეამჩნევს, რა იცის, ან რა უნახავს. აბა სად უნახავს, როგორ საღილობენ ქეთილ-შობილნი. ჰელინია ყველა გააკირვა თავისი მასპინძლობით და სიძიდრით; ჰოდა, მხიარული აკი იმიტომაც არის. განა ვირ ატყობ, განზრის როგორ ათრობენ?

ლარისა — ოჲ, მა, შეაჩერე, როგორმე შეაჩერე!

ოგუდალოვა — როგორ შეაჩერო! მცირეწლოვანი ხომ არ არის? დროა უგადიოდ იცხოვეროს.

ლარისა — სულელი ხომ არ არის, როგორ ვერ ამჩნევს?

ოგუდალოვა — სულელი კი არა, თავმოყვარეთ. მასხარად იგდებენ, ხოტბას განზრის ასხამენ და ვერ ამჩნევს, უხარია-ლვინოს თვითონ იპარავენ, არ სვამენ, იმას კი აძლევენ.

ლარისა — მეშინია, ყოველივე ამის მეშინია. რათ სჩადიან ამას? ეგრე რათ იქცევიან?

ოგუდალოვა — სულ უბრალოდ, მისი გამასხარავება უნდათ.

ლარისა — ამითი ხომ მე მტანჯავენ?

ოგუდალოვა — მერე და ვის რა დარდი აქეს იტანჯები თუ არა. ხედავ, ლარისა, ჯერ არაფერი არ მომზდარა და უკე იტანჯები. შემდეგ ვინ იცის რა იქნება?

ლარისა — ეჲ, საქმე გათავებულია, სინანულით რა გაკეთ-ება! (შემოდის ეფტოსინია პოტაპოვნა).

### გამოსვლა მე-3

ოგუდალოვა, ლარისა და ევფროსინია პოტაპოვნა

ევფროსინია პოტაპოვნა — საღილი მიირთვით? ჩაის ხომ არ ინებებთ?

ოგუდალოვა — არა.

ევფროსინია პოტაპოვნა — მამიეაცები საღლა არიან?

ოგუდალოვა — იქ სხედან, საუბრობენ.

ეფუროსინია პოტაპოვნა — სადილი ხომ შინორთვეს, ადგნენ და წავიღნენ, რაღას ელიაზი გადამიტანა ამ სადილმა: ამდენი ზრუნვა, ფაცი-ფუცა! მხარეულები სულ ავაზები არიან, საჭარეულოში თითქოს მბრძანებელი ვინმე შემოსულიყოს, ხმის ამონუებაც ვერ გამიბედავს.

ოგუდალოვა — მერე, რა საჭიროა ხმის გაცემა ან რაიმეს თქმა? კარგ მხარეულს თქმა ან სწავლება რაში სჭირდება?

ეფუროსინია პოტაპოვნა — სწავლებაში როლია საქმე, საქმე ის არის, რომ დოკუმენტს, ქნებას ინიციებენ. ჩენი სანოვაგე რომ იყოს, — შინაური, სოფლიდან ჩიმოტანილი, არას ვიტყოდი, მაგრამ უფლაფერი მამასისხლად არის ნაყიდი, ავთ იმიტომც შენანება. შაქარს თხოულობს, ვანილს, თევზის წებოს; ვანილი ძვირია, თევზის წებო კი უფრო ძვირი. პოდა, რა უშავს ჩასდოს ქვებში ერთი ციცქა, — სურნელებისთვის, ის კი უთაფბოლოდ ყრის. გული გისკდება იმის შემცურეს.

ოგუდალოვა — დიახ, ხელმოჭერილ იდამინისთვის, რა თქმა უნდა, ყოველიყო ეს ძნელია...

ეფუროსინია პოტაპოვნა — ხელმოჭერილობა რას მიქვია, იდამინი თუ გაგიღდა? ავიღოთ თუნდაც ეს ტარაღანა. დიდია და პატარის განა გემო ერთი არა აქვს? ფასში კი განსხვავებაა, შერე როგორი! ათი შაური ათეულზე თავს გადავა, იმან კი თითოში მისცა ათი შაური.

ოგუდალოვა — იმ თევზებს, წელან სადილად რომ მოგვართვით, ცოლგაში ცურება და წამოსირდა აქლიათ.

ეფუროსინია პოტაპოვნა — პო, დიახ, არის მანეთიანიც; ორი მანეთიც გადაიხადეთ, ფული თუ თხრად გაქვთ. ვინმე დიდი უფროსისათვის, ან მაღალი სამოვლელო პირისათვის რომ იყოს, მაშინ, რასაკვირველია, შეიძლება, თორემ ვისთვის? ღვინოც უფრო ძვირფასი უნდოდა რომ ეყიდნა, ბოთლი მანეთიანი, თუ უფრო მეტი, მაგრამ გაჭარი პატიოსანი კაცი აღმოჩნდა: ბოთლს სამ-სამ აბაზად მოგცემთ, ოლონდ ნარდად წაიღოთ. იარღის კი როგორსაც გნებავთ, ისეთს მივარავო! მერე რა ღვინონ გამოგზავნა! საგანგებო! პაწია ქიქით ცოტა გავინჯე, მიხავის, გარდის და კიდევ რაღაცის სუნი დაპკრავს და იაფი აბა საიდან იქნება? იაფი საიდან იქნება როცა

ამდენი ძვირფასი სურნელება აქვს გარეული! ფასიც არ არის პატარა, ბოთლი სამი აბაზი. უფრო ძეირს კი ვერ გადავისძით, რა ვენათ, ჯამაგირით უცხოვრობთ. აი, ჩენმა მეზობელმა ცოლი შეირთო; რამდენი ბუშბულის რამ გაღმოხიდეს, — ლეიბები, ბალიშები, გაღმოჰქონდათ და გაღმოჰქონდათ, ყველაფერი სუფთა იყო. მერე ბეჭვეულიო, — მელია, წავი, სიასამური! სახლი აიგსო. მათთვის, რასაკვირველია, აღვილია ხარჯის გაწევა. აგრე, ჩენ გვერდით ერთმა მოხელემაც შეირთო ცოლი, მზითვად მარტო ძველი ფორტოპანო მოუტანეს. აბა ამით ვინ აშენდება? თავის გამოდება არც ჩენ შეგვერის.

პარისა — (ოგუდალოვა). გვიგეცუოდი, ცხრა მთას იქით გადავვარდებოდი რომ შემეძლოს.

ოგუდალოვა — საზუბედუროდ არ შეიძლება.

ეფუროსინია პოტაპოვნა — პოდა, თავს უხერხულად თუ გრძნობთ ჩემთან წამობრძანდით, თორემ აქ მამაკაცები შემოვლენ და ისე აახრიოლებენ აქაურობას, რომ სულს ვერ მოითქვამ. ნეტივ აქ რას უფლგვერი? გავიცე ერთი და ვერცხლიული დაფთვალო, სკივრში ჩავკერო, თორემ ეხლადელ ხალხს არც ხატი სწავებს და არც ჯვარი. (ოგუდალოვა და ლარისა მარჯვენა კარით გადაინ, ეკურისინა შეუა კარით გადის. მარცხნიდან პარატოვი, კნუროვი და ცოლევატოვი შემოღიან).

#### გამოსპლა გე-კ

პარატოვი, კნუროვი და ცოლევატოვი

კნუროვი — მე, ბატონებო, კლუბში მივდივარ სასადილოდ, არაფერი არ მიგმია.

პარატოვი — ცოტაც მოიცადეთ, მოკი პარმენი!

კნუროვი — ჩემს სიცოცხლეში პირეელად მაქვს ასეთი შემთხვევა. სადილად ცნობილ პირებს ეპატიუება და საჭმელი კი არ გააჩნია... სულელია ეგ კაცი, ბატონებო.

პარატოვი — არ გეკარათებით, სიმართლე უნდა ვალიაროთ, რომ იგი მართლაც სულელია.

კნუროვი — მერე ყველაზე უწინ თვითონ დაითხო.

ცოლევატოვი — ეს ჩენ მოუწყვეთ.

პარატოვი — დიახ, ჩემი აზრი სისრულეში მოვიყვანე. ჯერ

კიდევ წელან თავში ფიქრმა გამიელვა, ღვინით ერთი კარგად  
გაფშუიპოთ და სეირს ვუყროთ მეტქი.

კნუროვი — შემ ყოველივე ეს თქვენ წინასწარვე გქონდათ  
მოფიქრებული?

პარატოვი — წინასწარვე შევთანხმდით. ბატონებო, ასეთ  
შემთხვევისათვის რობინზონები ზედგამოჭრილი რამ არიან.

ვოშვევატოვი — კაცი კი არა, ოქროი!

პარატოვი — შასპინძლი რომ დათრო, მასთან ერთდ  
უნდა სვა, მაგრამ სად არის იმის შესაძლებლობა, რომ ყლაბო  
ეს რაღაც მიქსტურა, რომელსაც ის ღვინოს უწოდებს? რო-  
ბინზონი კი ასეთ საქმეში ნაწილობია, იაროსლავში დაყენე-  
ბული საზღარგარეთული ღვინო მისთვის არაერთია. სვამს და  
თან აქებს, ხან ერთს გასინჯავს, ხან მეორეს, ჰითის ილებს  
ღვინის მცოდნე. კაცივით, თან პირს იტქბარუნებს, მაგრამ  
უასპინძლოდ როდი სვამს, იმასც ასმებს; ისიც გაება. ღვი-  
ნოს შეუჩეველი კაცია და მის დათრობას განა ბევრი სვირ-  
დება? ჰოდა, აკი ჩერაც მოვიდა აღტაცებაში.

კნუროვი — ყოველივე ეს თავშესაქცევი რამ არის, მაგრამ,  
ბატონებო, ხუმრობის გარეშე გეუბნებით, რომ მშაა.

პარატოვი — მაგასაც მოესწრებით, ცოტა მოიცადეთ.  
ლარისა დიმიტრიენას ვთხოვთ გვიმღეროს რამე.

კნუროვი — ეგ სხვა საქმეა. რობინზონი სადღაა?

ვოშვევატოვი — ისევ სვამენ. (შემთხვევის რობინზონი).

### გამოსვლა ვე-5

პარატოვი, კნუროვი, ვოშვევატოვი და რობინზონი

რობინზონი — ხალხო, მიშველეთ! უკ, სერე, ღმერთს  
ჩემს მაგირ პასუხს შენ გასცემ.

პარატოვი — რა იყო, მთვრალი ხომ არ ხარ?

რობინზონი — მთვრალი! განა მე მაგას ოდესმე გჩივი?  
ნეტავი მთვრალი მაინც ეყიყო, ეს ხომ მშევნიერება იქნებოდა,  
სხვას უკერესს რას ვისურვებდი. ამ კეთილი სურვილით მოვ-  
დიოდი აქ და, უნდა გთხოვთ, რომ ამ სურვილითვე ვცხოვ-  
რობ ქვეყანახე.

პარატოვი — მაშ რა მოგივიდა?

რობინზონი — მოწამლული ვარ, ყარაულს უნდა დავუძახო.  
პარატოვი — მერე რას სვამდი, რომელ ღვინოს?

რობინზონი — აბა ვინ იყის რას გვამდი! ქიმიკის ხომ  
არა ვარ? ვერც ერთი აფთიაქის მუშავი ვერ გაარცვეს რა იყო  
ის, რაც მე დავლიყ.

პარატოვი — ბოთლზე რა ეწერა, ან რომელი იარლიყი  
ჰქონდა მიკრული?

რობინზონი — ბოთლზე „ბურგუნდული“ ეწერა, ბოთლზი  
კი რაღაც „გნდერ-ბალზამი“ იყო ჩასხმული. არა, ამ სპეციის  
სმა მე ტყუილად არ ჩამივლის.

ვოშვევატოვი — ეს ეგრე ხდება: როდესაც ღვინოს აზა-  
ვებენ, შეიძლება რომელიმე ნაწილი მეტი მოუკიდეთ. ასეთ  
შემთხვევაში შეცდომის დაშვება ადვილია; ადამიანი მანქანა  
ხომ ირ არის. ნეტავ ბუზების საჭამლივი ხომ არ შეურიცეს?

რობინზონი — შენ ძალიან მხიარულად ხარ. აქ ადამიანი  
იღუპება და შენ გიხარია.

ვოშვევატოვი — შაბაშ! მოქვდები, რობინზონი!

რობინზონი — აი, გი გი სისულელეა. უნდა იცოდეთ,  
რომ სიკედილზე ვერ დაგთანხმდებით... უკ, ნეტავ ვიცოდე  
მაინც, რა ზიანს მომიტანს ეს ღვინო!

ვოშვევატოვი — ცალი თვალი უსათუოდ წამოგვარდე-  
ბა, ამას ნამდვილად ელოდე. (სცნის იქიდან კარანდიშვილის ხმა მოის-  
მის: „ეი, მოგართვით „ბურგუნდისა“...“).

რობინზონი — აპა, ინებეთ, კიდევ „ბურგუნდისა“... მის  
სენით, ვიღუპები! სერე, შენ მაინც შემიპრალე! მე ხომ სი-  
ცოცხლით ხესე ახალგაზრდა ვარ, ბატონებო, დიდ იმედებს  
ვიძლევი. რას გულისთვის უნდა დაკარგოს ხელოვნებამ...

პარატოვი — ნუ სტირი, ხელად მოგარჩენ, მე ვიცი მა-  
გის უებარი წამალი.

(შემთხვევის კარანდიშვილი, ხელში სიგარების კოლოფი უშირავს).

### გამოსვლა ვე-6

პარატოვი, კნუროვი, ვოშვევატოვი, რობინზონი და  
პარატოვი შემთხვევის გი

რობინზონი — (ზალისა დახდავს). ეს რეები გაქვთ?

პარატოვი — სიგარები.

რობინზონი — არა, აი ეს რა გირიდიათ? ბურტაფორის  
ნივთებია?

კარანდიშევი — რომელი ბუტაფორის, ისმალური იარაღია!

პარატოვი — აი, თურმე ვინ არის დაშნაშავე, რომ ავსტრიელები ისმალობს ვეღარ სჯობნიან.

კარანდიშევი — როგორი? ეს რა ხუმრობაა! რა სისულელე!  
რაში ვარ შე დამაზავე?

პარატოვი — რაც უვარგისი და გამოუსალევარი იარაღი  
ყოფილა, ყველა თქვენ წამოგილიათ და იმათაც გაბოროტებულება სულ ინგლისური იარაღი შეუძნიათ.

ვოშვევატოვი — დიახ, დიახ, აი ვინ არის თურმე დამნა-  
შავე, დამნაშავე ახლა აღმოჩნდა. აქსტრიელები თქვენ მაღლო-  
ბას ვეღარ გეტყვიან.

კარანდიშევი — მერე რით არის ეს უვარგისი? აი, მაგა-  
ლითად, ეს დამბაჩა? (კედლიდან დამბაჩას ჩამოიღებს).

პარატოვი — (დამბაჩას გამოართმევს). ეს დამბაჩა?

კარანდიშევი — ფრთხილად, გატენილია!

პარატოვი — ნუ გეშინიათ, გატენილია თუ არა, საშიშ-  
როება მისგან ერთია — სულერთია არ გავარდება. წებას გა-  
ლევთ ხუთი ნაბიჯის სიშორიდან მესროლოთ.

კარანდიშევი — არა, ეს დამბაჩა ვარგისია.

პარატოვი — დიახ, ლურსმნების ჩასარჭობად.  
(დამბაჩას მაგიდაზე მიაგდებს).

ვოშვევატოვი — მაგას ნუ იტყვით, რუსული ანდაზისა არ  
იყოს, „საბედისწერო ჯოხიც გავარდებაო“.

კარანდიშევი — (პარატოვს). სიგარას ხომ არ ინებებთ?

პარატოვი — ალბათ ძეირფასი სიგარაა. ვფიქრობ, ასი  
ცალი შეიძიდ მანეთი მაინც ეღირება.

კარანდიშევი — დიახ, დაახლოებით. მაღალი ხარისხი-  
სა, ძალიან მაღალი ხარისხის.

პარატოვი — მაგ ხარისხს ვიცნობ: ჩეგალია კომბოსტო-  
სიმა dos amigos<sup>1</sup>, მე მას ჩემ არიფ-მეგობრებისთვის ვინა-  
ხავ, თვითონ როდი ვეწვიო.

კარანდიშევი — (კუროვს). ხომ არ ინებებთ?

კნუროვი — არა, არ მინდა თქვენი სიგარები, ჩემსას ვე-  
წვი.

კარანდიშევი — მშენიერი სიგარებია, შესანიშნავი.

კნუროვი — მშენიერია და თვითონ მოსწიეთ.

კარანდიშევი — (ოვალის). თქვენ? თქვენ არ გნებავთ?  
ვოშვევატოვი — ჩემთვის ეგ ძალზე ძეირფასია, მეშინია  
არ განებივრდე.

კარანდიშევი — თქვენ, სერ რობინზონ? პაპიროსს არ  
ეწევით?

რობინზონი — მეე? უცნაური კითხვაა! მიბოძეთ ხუთიოდე!  
(ამოირჩევს ხუთიოდეს, ჯიბიდან ქალალს ამოიღებს და საგულდაგუ-  
ლოდ გახვევი).

კარანდიშევი — მერე და, ახლა რათ არ ეწევით?

რობინზონი — როგორ იქნება! ეს სიგარა ბუნების წიაღში  
უნდა გააბოლო, იქ, სადაც წარმტაცი მდებარეობა.

კარანდიშევი — მერე და რატომ?

რობინზონი — იმიტომ, რომ პატიოსან ოჯახში შეისი გა-  
ბოლებისთვის შეიძლება კარგად მიგბეგვონ, მე კი ამის ვერ  
ვიტან.

ვოშვევატოვი — არ გიყვარს როცა გცემენ?

რობინზონი — არა, ბავშვობიდანეე მეჯავრებოდა.

კარანდიშევი — რა უცნაურია! ხედავთ, ბატონებო, ხე-  
დავთ, რა უცნაური ვინმეა! ზედევ ეტყობა, რომ ინგლისელია.  
(ხმამ-ლლა). სად არიან ჩვენი მანჭილოსნები? (უფრო ხმამ-ლლა).  
სად არიან მანდილოსნები? (უფრო ივუდალოვა).

### გამოსვლა ვე-7

პარატოვი, კნუროვი, ვოშვევატოვი, რობინზონი,  
კარანდიშევი და ოგუდალოვა

ოგუდალოვა — მანდილოსნები აქ არიან, მათთვის ნუ  
სწერართ. (კარანდიშევს ჩუმად). რას სჩადიხართ? ერთი თქვენს  
თავს დახედეთ!

კარანდიშევი — ჩემს თავს, გეთაუეა, მე კარგად ვცნობ. მე  
ხედავთ, ყველა მოერალია, მხოლოდ მე ვარ მხიარული. მე  
დღეს ძედნიერი ვარ, ვზეიმობ.

ოგუდალოვა — იზეიმეთ, მაგრამ ეგრე ხმამ-ლლა როდი  
იქნება. (პარატოვს მიუახლოვდება). სერგეი სერგეიჩ, გეყოფათ  
15. ალ. ოსტროვსკი.

<sup>1</sup> მეგობრისათვის.

იული კაპიტონიჩის გარე აგდება! გული გვტკივა, ეს ხომ ჩემი  
და ლარისას შეურაცხოფაა.

პარატოვი — ას, ძალუავ, მაგას როგორ გავგედავ!

ოგუდალოვა — წუთუ ჯერ კიდევ არ დაგვიწყდათ ის  
წელანდელი აყალ-მაყალი? სირცეელია!

პარატოვი — რას ბრძანებთ, ძალუავ, მე ეგეთი გულლრძო  
როდი ვარ! ინებეთ, თქვენი გულისთვის ყველაფერ ამას ერ-  
თის მოქნევით მოვათვებ. იული კაპიტონიჩ!

კარანდიშევი — რა გნებავთ?

პარატოვი — გინდათ, ბრუდერშაფტი დავლიოთ?

ოგუდალოვა — აი, ეს მომწონს, გმაღლობთ!

კარანდიშევი — თქვენ ამბობთ ბრუდერშაფტიო? ინე-  
ბეთ, სიამოვნებით.

პარატოვი — (ოგუდალოვას). რა არის, თხოვეთ ლარისა  
დამიტრიევნის. რას გვემალება?

ოგუდალოვა — კარგი, მოვიყვან. (გადის).

კარანდიშევი — რომელი ლვინო დავლიოთ? ბურგუნ-  
კისა?

პარატოვი — არა, ბურგუნსკისაგან გამანთავისუფლეთ! მე  
ერთი უბრალო კაცი ვარ.

კარანდიშევი — მაში რომელი?

პარატოვი — იცით რა? სეირი ის იქნება, კონიაკი რომ  
დავლიოთ. კონიაკი არ არის?

კარანდიშევი — როგორ თუ არ არის! ყველაფერი მაქვს.  
ეი, ივან, კონიაკი!

პარატოვი — აქ რა საჭიროა, მოუდი, იქ დავლიოთ; მხო-  
ლოდ უბრძანეთ მოზრდილი ჭიქები მოგვიტანონ, პატარა ჭი-  
ქები არ მწამს.

რობინზონი — რატომ წინათვე არ მითხარით, რომ კო-  
ნიაკი გქონიათ? ობ, რამდენი ძვირფასი წუთი დაიკარგა!

ოგუდევატოვი — ხედავ, როგორ ხელდახელ გამოცოცხლდა!

რობინზონი — ამ სასმელთან ძალზე შეხმატებილებული  
ვარ, კარგახანია რაც შევეგუე. (პარატოვი და კარანდიშევი მარც-  
ხენა კართ გადიან.)

### გამოსვლა ვე-8

კანუროვი, ვოჭევატოვი და რობინზონი

რობინზონი — (მარცხენა კარგბს გაჰყურებს) სულ დაიღუპა  
კარანდიშევი. მე დავიწყებ და ახლა სერეი სულ მოუთავებს.  
ხედავთ დაასხეს, გაემზადნენ; მართალი გითხრათ, ცოცხა-  
ლი სურათია. ხედავთ, სერეი როგორ იღიმება! ნამდევილი  
ბერტრამია. (მღერის „რობერტიდან“). „შენ ჩემი მხსნელი ხარ;  
მე შენი მხსნელი ვარ! და მოსარჩელე, და მოსარჩელე“. უჲ, გა-  
დაულაპეს, ეროვნების კოცნიან. (ისევ მღერის). „რა ბედნიერი  
ვარ! ზვარაკო ჩემო!“ ლმერთო ჩემო, ივანეს კონიაკი მიაქვს,  
კონიაკი მიაქვს! (ჩამაღლა). რას სჩადი, რას სჩადი, მანდვე  
დასტოვე! რაცა ხანია მაგას ველოდები. (გარბის. შეა კარიდან  
შემოდის ილია).

### გამოსვლა ვე-9

კანუროვი, ვოჭევატოვი, ილია, შემდევ პარატოვი

ვოუევატოვი — რა გინდა, ილია?

ილია — ჩენები მზად არიან, ყველა შეიკრიბა, ბულვარში  
გელოდებიან. როდის გებბრძანებთ გამგზავრებას?

ვოუევატოვი — ახლავე, ყველანი ერთად წამოვალთ, ცო-  
ტა მოიცადეთ.

ილია — როგორც გვიბრძანებთ ყველაფერი ისე იქნება!  
(შემოდის პარატოვი).

პარატოვი — ა, ილია, მზად ხართ?

ილია — მზად ვართ, სერგეი სერგეიის!

პარატოვი — გიტარა თანა გაქვს?

ილია — არ წამომიღია, სერგეი სერგეიის.

პარატოვი — გიტარაა საჭირო, გესმის?

ილია — ახლავე მოგართმევთ, სერგეი სერგეიის! (მიდის).

პარატოვი — მინდა ლარისა დამიტრიევნას ვთხოვთ, გვიმ-  
ლეროს რამე და გოლგაზე მერე წავიდეთ.

კანუროვი — ჩენი გასეიონება ყოველგვარ მხიარულებას  
იქნება მოკლებული, თუ ლარისა დამიტრიევნა არ წამოვიდა.  
აი რომ... ისეთ სიამოვნებისათვის არავითარ საფასურს არ  
დაერიდება კაცი.

ვოუევატოვი — ლარისა დამიტრიევნა რომ წამოვიდო-

დეს, სიხარულისაგან ყველა მენავეს ვტრცხლის მანეთიანებით დავასაჩუქრებდი.

პარატოვი — წარმოიდგინეთ, ბატონებო, მეც მაგასვე ვფიქრობ; როგორ უსიტყვოდ შევთანხმებულებართ.

კნუროვი — მერე და არის მაგისი შესაძლებლობა?

პარატოვი — როგორც ფილოსოფოსები ამბობენ, ქვეყნად შეუძლებელი არა არის რა.

კნუროვი — რობინზონი კი, ბატონებო, სულ ზედმეტია. ხომ იხუმრეთ? ახლა გეყოფათ. პირუტყვულ მდგომარეობამდე გარეუშება და აბა რა არის ამაში კარგი? ეს გასეირნება სერიოზული საქვეა, ეგ კი ჩემი ტოლი არ არის. (კარზე მიუთოთებს). აგრე, ხედავთ, როგორ დააკვდა კონიაქს.

ვოშევატოვი — ჰოდა, ნუ წავიყვანთ.

პარატოვი — რომ აგვეკვიატოს?

ვოშევატოვი — მოითმინეთ, ბატონებო, მე ივთესავ. (უკიდის კარებში). რობინზონ! (შემოდის რობინზონი).

#### გამოსვლა 80-10

პარატოვი, კნუროვი, ვოშევატოვი და რობინზონი

რობინზონი — რა გინდა?

ვოშევატოვი — (ჩუმად). პარიზში წისვლა გინდა?

რობინზონი — როგორ თუ პარიზში, როდის?

ვოშევატოვი — დღეს საღამოს.

რობინზონი — ჩენ ხომ ვოლგაზე ვაპირებდით?

ვოშევატოვი — როგორც გინდა; შენ ვოლგაზე წადი, მე კი პარიზს გავემგზავრები.

რობინზონი — მერე პასპორტი?

ვოშევატოვი — ეგ ჩემსე იყოს.

რობინზონი — ჰოდა, რატომაც არა!

ვოშევატოვი — მაშ, აქედან ერთად წაყიდეთ; ჩემსა შევიაროთ. იქ მომიცადე, მოისევნე, გამოიძინე. მე კი ერთორ ალაგას უნდა შევიარო საქმეზე.

რობინზონი — კარგი კი იყო ბოშების მოსმენა.

ვოშევატოვი — მსახიობი მაინც არ იყო! გრცევენოდეს! ბოშების სიმღერა, ეს ხომ სიბრიყევა. იტალიანურ თპერის რა

სჯობია, ანდა მხიარულ თპერეტას! აი, რას უნდა უსმენდეობერეტაში, ალბათ, თეითონაც გითამაშნია.

რობინზონი — როგორ არა! „მგალობელ ჩიტუნიებში“.

ვოშევატოვი — რომელ როლს ასრულებდი?

რობინზონი — ნოტარიუსისას.

ვოშევატოვი — ჰოდა, ასეთმა მსახიობმა პარიზი როგორ არ უნდა ნახოს! პარიზს შემდეგ კი, ჰაი, რა ფასი დაგედება!

რობინზონი — მოიტა ხელი.

ვოშევატოვი — მოდიხარ?

რობინზონი — მოვდივარ!

ვოშევატოვი — (პარატოვს). რომ იცოდე, როგორ მლე. როდა წელან „რობერტიდან“! რა ხმა აქვა!

პარატოვი — ას, რა ამბებს დავაწევთ ნიერი ნოვგორიდის ბაზრობაზე!

რობინზონი — წაშოგალ თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია.

პარატოვი — ვითომ რატომაო?

რობინზონი — სიბრიყეს უბაზრობოდაც საქმაოდ ვხედავ.

პარატოვი — ოჭო, ხედავთ როგორ ამოიდგა ენა?

რობინზონი — განათლებული ხალხი ახლა ბაზრობაზე კი არ დაწეტიალობს, — ეკროპაში მიემგზავრება.

პარატოვი — უკაცრავად, ეკროპის რომელი ქალაქის ან სახელმწიფოს გამედნიერებას აპირებთ თქვენის ჩსვლით?

რობინზონი — რასაკვირველია, პარიზისა. დიდიხანია რაც იქ ვაპირებ.

ვოშევატოვი — მე და ეს დღეს საღამოსევ მივემგზავრებით.

პარატოვი — ხედავთ თურმე რაშია საქმე! გზა მშევიდობისა! პარიზს მართლაც უნდა წახვიდე, შენ ლა აკლიხარ. მასპინძელი როლი იქნა?

რობინზონი — იქ არის, ამბობს, უცხო რაიმეს ვამზადებო. (შემოდიან მარჯვენა კარით ოფუდალოვა და ლარისა, მარცხენა კარით კარანდიშევი და ივანე).

გამოცვლა გვ-11

ოგუდალოვა, ლარისა, პარატოვი, კნუროვი, ვოევია-  
როვი, რობინზონი, კარანდიშევი, ივანე, მერუ ილია და  
ევფრონიი პოტაპოვნა

პარატოვი — (ლარისას). რათ მიგვატოვეთ?

ლარისა — როგორლაც ვერა ვარ კარგად.

პარატოვი — ჩვენ კი თქვენ საქმიოსთან ერთად ბრუდერ.  
შაფტი დავლიეთ. ახლა სამუდამო მეგობრები ვართ!

ლარისა — გმადლობთ. (ნელს ჩამოართმევს პარატოვს).

კარანდიშევი — (პარატოვს). სერე!

პარატოვი — (ლარისას). ხედავთ, რა მახლობლობა! (კარან-  
დიშევს). რა გინდა?

კარანდიშევი — ვიღაც გყითხულობს.

პარატოვი — ვინ არის?

ივანე — ბოშა მომლერალი ილია.

პარატოვი — ჰოდა, აქ დაუძახე. (ივანე ვადის). ბატონებო,  
ბოდიშს ვიხდი, რომ ილია აქ, ჩვენს საზოგადოებაში, მოვიწ-  
ვიე. ჩემი საუკეთესო მეგობარია. სადაც მე მიმესვლება, იქ ჩემი  
ჩეგობრებიც უნდა მიიღონ. ჩემი წესი ეგეთი არის.

ვოევატოვი — (ლარისას ჩუმად). ერთი ახალი სიმლერა  
ვიცი.

ლარისა — კარგია?

ვოევატოვი — „შეუდარებელი! „ვერევიუპკი ვერევი,  
ას ბარყაშე ბაშმატკი“.

ლარისა — რა ხასაცილო!

ვოევატოვი — გინდათ, გასწავლით.  
(ილია ვიტარით შემოდის).

პარატოვი — (ლარისას). ნება მიბოძეთ, ლარისა დიმიტ-  
რიენა, გთხოვთ, რომ გაგვაბელნიეროთ და გვიმლეროთ რამე!  
წელიწადი იქნება, რაც თქვენი სიმლერა არ მომისმენია და,  
ალბათ, ვერც ვერასოდეს მოვისმენ.

კნუროვი — ნება მიბოძეთ იგივე თხოვნა მეც გაემეორო!

კარანდიშევი — არ შეიძლება, ბატონებო ლარისა დი-  
მიტრიენა არ იმლერებს!

პარატოვი — მერე და შენ საიდან იცი, რომ არ იმლე-  
რებს? იქნებ იმლეროს.

ლარისა — შომიტევეთ, ბატონებო, დღეს არც გუნებაზე  
ვარ და ხმაც მოალატობს.

კნუროვი — ცოტა იმლერეთ, იმლერეთ რაც თქვენ გენებოთ!

კარანდიშევი — რაცი ვაშბობ არ იმლერებს მეთქი, მა-  
შისადამე, არ იმლერებს.

პარატოვი — ვნახოთ, შევეხვეწებით, დავუჩიქებთ.

ვოევატოვი — ახლავე იგრე მოვიქცევი. ამისთვის საკმა-  
ოდ მოქნილი ვარ.

კარანდიშევი — არა, არა, ნუ სთხოვთ, არ შეიძლება; მე  
ვუკრძალავ!

ოგუდალოვა — რას ამბობთ? მაშინ აუკრძალეთ, როცა ამის  
უფლება გვქნებათ; ახლა კი თავი შეიკავეთ აკრძალვისაგან, ნა-  
აღრევია.

კარანდიშევი — არა, არა! გადაჭრით გუკრძალავ!

ლარისა — თქვენ მიკრძალავთ? მაშ, ვიმლერებ, ბატონებო!  
(კარანდიშევი კუთხეში ვაბუტული ჯდება).

პარატოვი — ილია!

ილია — რა ვიმლეროთ, ქალბატონი?

ლარისა — „ნუ მხიბლავ გრძნობით“.

ილია — (გიტარას აწყობს). ეჭ, მესამე ხმა უნდა! ხათაბალა!  
რა გამყიდან ხმა იყო! თავისი სისულელით გაიფუჭა თავი.  
(ორნმად მდერიან):

ნუ მხიბლავ გრძნობით, ამაო არი  
ნაზი ალერის და სალბუნება!

აწ გულგატებილს ვერ დამიშონებს

წარსულთა დღეთა ფუძი ცდუნება.

(ყველა სხვადასხვანაირად გამოხატავს თავის აღტაცებას. პარატოვი თქებში  
ხელებჩავლებული ხის. მეორე ტაეპზე რობინზონი წყნარად უერთებს თავის  
ხმას).

აღარა მჯერა აღთქმი და ფიცი,  
აღარც სიყვარულს იწამებს გული,  
არც მსურს მოვენდო დაპარხულ სიზმრებს,  
მე მათგან ერთხელ მოტყუებული.

0 ლ 0 9 — (რობინზონს). მადლობელი ვარ, ბატონი, დროშე  
მიხსენით.

კნუროვი — (ლარისას). დიდია ნეტარება თქვენი ხილვისა,  
მაგრამ უფრო დიდი ნეტარებაა თქვენი მოსმენა.

პარატოვი — (მოღუშული საპის). ასე მგონია, გავგიუდეში!  
(ლარისას ხელშე ჭიკცნის).

ვოშვატოვი — მოსმინე და მერე თუ გინდა! მოკვდი!  
(კარანდიშვილი). თქვენ კი გინდოდათ ჩვენთვის ეს სიამოვნება  
აგევყეთათ.

კარანდიშვილი — ბატონებო, მე თქვენზე ნაკლებ როდი  
ვარ ალტაცებული ლარისა დიმიტრიევნას სიმღერით. ახლავე  
დავლევთ შამპანურს მის საღლეგრძელოდ.

ვოშვატოვი — გონიერი სიტყვის მოსმენა სასიამოვნოა.  
კარანდიშვილი — (ხმამაღლი). შამპანური მოგვაროთვით!

ოგუდალოვა — (ჩუმად). ცოტა წყნარად! რა გაყვირებთ?  
კარანდიშვილი — ღმერთო ჩემო, ჩემ სახლში გარ და ვიცი  
რასაც ვაკეთებ. (ხმამაღლი). მოგვაროთვით შამპანური! (შემოდის  
შვეროსინია პოტაპოვნა).

ევფროსინია პოტაპოვნა — რომელი შამპანური გინ-  
და! ყოველ წუთს ხან ამას მოითხოვ, ხან იმას.

კარანდიშვილი — სხვის საქმეში ნუ ერევით! მოიტათ რა-  
საც გიბრძანებენ!

ევფროსინია პოტაპოვნა — რახან ეკრეა, შენ თეითონ  
ადეკი და მოიტანე! ფეხები ჩამომწყდა ამდენი ტრიალით. ამ  
დილას აქეთ იქნებ არაფერი არ მიჰამია. (მიდის. კარანდიშვილი გა-  
დის მარცხნა კარით).

ოგუდალოვა — გამიგონეთ, იული კაპიტონიჩ!.. (კარანდი-  
შვის გაედევნება).

პარატოვი — ილია, წადით! კატარლები მზად იყოს! ჩვენც  
ახლავ მოვალთ. (ილია შეა კარით გადის).

ვოშვატოვი — (კნუროვი). დავტოვოთ ლარისა დიმიტ-  
რიევნასთან. (რობინზონს). რობინზონ, ხედავ, ივანეს კონიაკი  
მიაქვს.

რობინზონი — პოდა, მოვკლავ. მირჩევნია სიცოცხლეს  
გამოვეთხოვთ! (გადიან მარცხნივ ჭურუოვი, ვაჟვეატოვი და რობინზონი).

გამოსვლა გვ-12

ლარისა და პარატოვი

პარატოვი — მომხიბელელო! (გნუბით უყურებს ლარისას).  
როგორ გწყველიდი ჩემს თავს, როცა მღეროდით!

ლარისა — რისთვის?

პარატოვი — ხე ხომ არა ვარ? ისეთი საუნჯის დაკარგვა,  
როგორიც თქვენ ხართ, განა ადვილია?

ლარისა — მერე და ვისი ბრალია?

პარატოვი — რასაცირიველია, ჩემი. მეგაცილებით უფრო  
დამნაშავე ვარ, ვიდრე გვონიათ. ჩემი თავი მევე უნდა მეზიზ-  
ლებოდეს.

ლარისა — რისთვის? არ იტყვით!

პარატოვი — რათ გაგეეცით? რაზე გაგცალეთ?

ლარისა — მერე და რისთვის ჩაიდნეთ ყოველივე ეს?

პარატოვი — ეჭ, რისთვის! რასაცირიველია, სულმოქლეო-  
ბისათვის. ჩემი ქონების საქმები უნდა გამომეკეთებინა. ჯა-  
ნაბას ქონება! მე უფრო მეტი წავაგე ვიდრე ქონება, მე თქვენ  
დაგვარგეთ! მე ხომ საშინლად ვიტანჯები, ახლა თქვენც გაგ-  
რანჯეთ.

ლარისა — დიახ. მართალი უნდა ითქვას, კარგახნით მო-  
მიშამეთ სიცოცხლე.

პარატოვი — მოითმინეთ, ჩემს გამტყუნებას მერეც მოესწ-  
რებით. ჯერ კიდე ისე არ გავთახსირებულვარ, ჯერ ისე არ  
გავტლანებულვარ; მე ბუნებით ჩარჩი როდი ვარ, კეთილ-  
შობილი გრძნობები გულში ისევ ბუდობენ. რამდენიმე ასეთი  
წუთი კიდევ, დიახ... რამდენიმე ასეთი წუთი და...

ლარისა — (ჩუმად). სთქვით!

პარატოვი — შორს გაეტყორცნიდი ჩემს ანგარებას და  
ვერაეცითარი ძალა თქვენ თავს მაშინ ვერ წამართმევდა, თუ  
წამართმევდა, სიცოცხლესთან ერთად.

ლარისა — მერე და რა გსურთ?

პარატოვი — თქვენი ხილვა, თქვენი მოსმენა... ხეალ მივ-  
დიგარ.

ლარისა — (თავს ჩაღუნავს). ხეალ.

პარატოვი — მინდა მესმოდეს თქვენი მომხიბლავი ხმა,  
დავივიწყო ქვეყნიერება, ეიოცებო მხოლოდ ნეტარებაზე.

ლარისა — (წუმად). რომელშე?

პარატოვი — თქვენს მონა-მორჩილ ყმობის ნეტარებაზე,  
თქვენს ფერხთა ქვემ ყოფნაზე.

ლარისა — ეგ როგორ?

პარატოვი — გამიგონეთ, მთელი ჩეენი კრებული ვოლ-  
გაშე კატარლებით სასეირნოდ მიედივართ, თქვენც წამოდით!

ლარისა — აჲ, მერე აქ? არ ვიცი, ღმერითმანი... აქ?

პარატოვი — რა არის „აქ“? აქ ახლავე გაჩნდებიან კარან-  
დიშევის დეიდა, ქალბატონებით ნაირფერად შელებილ ფარ-  
ხის კაზებში; დაიწყებენ ბაასს სოკოს წინილებზე.

ლარისა — როდის მიდიხართ?

პარატოვი — ახლავე.

ლარისა — ახლავე?

პარატოვი — ახლავ, ან არასოდეს.

ლარისა — წავიდეთ.

პარატოვი — როგორ? ბედავთ ვოლგის იქით გასეირნებას?  
ლარისა — საითაც გნებავთ.

პარატოვი — ჩეენთან? ახლავე?

ლარისა — როცა თქვენ გნებავთ.

პარატოვი — დიახ, გამოვტყდები და ამაზე ულამაზესს,  
უკეთილშობილესს ეერაფერს წარმოვიდგენდი. მომხიბვლელო  
ქმნილებავ! ჩემო შბრძანებელო!

ლარისა — თქვენა ხართ ჩემი შბრძანებელი! (შემოდიან: ოფუ-  
დალვა, კნუროვი, ვოუევატოვი, რობინზონი, კარანდიშევი და ივანე ლანგ-  
რით ხელში, რომელშედაც შამპანურის ჭიქები აწყვა).

### გამოსცლა ვე-13

ოგუდალოვა, ლარისა, პარატოვი, კნუროვი, ვოუევა-  
ტოვი, რობინზონი, კარანდიშევი და ივანე

პარატოვი — (კნუროვსა და ვოუევატოვს). მოდის.

კარანდიშევი — ბატონებო, ლარისა დიმიტრიიევნას სად-  
ლებრძელო მინდა შეგთავაზოთ. (ჭიქებს აიღებენ). ბატონებო, ეს  
არის თქვენ ყველანი ალტაცებაში მოხველით ლარისა დიმიტ-  
რიიევნას სიმუერის ნიჭით. ეს ქებათა-ქება შისთვის ახალი ამ-

ბაეგი როდია. თაყვანისმცემელი მას ბავშვობიდანვე გარს ეხვივ-  
ნებ და ყოველ მოხერხებულ წუთს მის ნიჭის ამკობდნენ. დიახ, იგი  
შრაგალფეროვანი ნიჭით არის დაჯილდოებული, მაგრამ ამის  
გძმო კი არ მინდა რომ ვაქო-ვადიდო. უმთავრესი, დაუფასე-  
ბელი ლირსება ლარისა დიმიტრიიევნასი ის არის, ბატონებო...  
ის არის...

ვოშევატოვი — ახლა აურევს.

პარატოვი — არა, ფონს ვავა. დასწავლილი აქვს.

კარანდიშევი — ის არის, ბატონებო, რომ ხალხის გარ-  
ჩევა და დაფასება იცის. დიახ, ლარისა დიმიტრიიევნამ იცის,  
რომ ყველა ის, რაც ბრწყინვაც, ოქრო არ არის. ოქროს ყალბი  
ფანცი-ფუნცისგან ადგილად არჩევს. ბევრი ბრწყინვალე ახალ-  
გაზრდობა ეხვია გარს, მაგრამ ყალბი ბრწყინვალებით იგი როდი  
მოხიბლულა. ის ექებდა კაცს არა ბრწყინვალეს, არამედ ლირ-  
სეულს...

პარატოვი — (გამამზნევებელი კილოთი) ვაშა! ვაშა!

კარანდიშევი — და ამოირჩია...

პარატოვი — თქვენ! ვაშა! ვაშა!

ვოშევატოვი | რობინზონი — ვაშა! ვაშა!

კარანდიშევი — დიახ, ბატონებო, მე ვძელავ, უფლება მაქვს  
ვიამაყო და ვამაყობ კიდეც! მან დამაფასა, გაიგო ჩემი გულის  
ნადები და ყველის მამჯობინა. მომიტევეთ, ბატონებო, ვინ  
იცის, იქნებ ბევრს არც ესიამონოს ამ სიტყვების გაგონება,  
მაგრამ ჩემს მოვალეობად ჩივთვალე საჯარო მაღლობა გამო-  
მეცხადებინა ლარისა დიმიტრიიევნასათვის, შადლობა მეთქვა  
ჩემი ასე გამოიჩინებისათვის. ბატონებო, მე ვსვამ და თქვენც  
შემოგთავაზებთ მიირთვათ ჩემი საცოლის სადლეგრძელო!

პარატოვი

ვოშევატოვი | — ვაშა!  
რობინზონი

პარატოვი — (კარანდიშევი). კიდევ არის ღვინო?

კარანდიშევი — რა თქმა უნდა, როგორ შეიძლება რომ  
არ იყოს! რას ამბობ, ახლავე გავაჩენ!

პარატოვი — ერთი საღლეგრძელო კიდევაა.

კარანდიშევი — რომელი?

პარატოვი — მოკვდავთა შორის უბედნიერესის, იული კაპიტონიჩ კარანდიშევის.

კარანდიშევი — ჰო, დიახ. მაშ შენ წარმოსთქვამზ ჰო, შენ წარმოსთქვი, სერჯ! მე კი წავალ, ლვინოს ვიშოვი. (გადის).

კნუროვი — აბა, ვისიამოვნეთ და ახლა ქმარა. მშვიდობით. მე რესტორანში შევივლი, ცოტას წევისაუზმებ და დანიშნულ ადგილზე მოვალ. (მანდილსნებს თაგს უკრავს).

ვოშვატოვი — (შეუ კარსხ მიუთითებს). იქით გაიარეთ, მოკი პარმენიჩ, იქიდან პირდაპირ დერეფანში გახვალთ და ვერც ვერავინ დაგინახავთ... (კრუზი გადის).

პარატოვი — (ვოშვატოვს). ჩერენც ახლავე მოვალთ. (ლარისა). მოემზადეთ. (ლარისა მარჯვენივ გადის).

ვოშვატოვი — საღლეგრძელოს არ მოეუტადოთ?

პარატოვი — ასე სჯობია.

ვოშვატოვი — რითი სჯობია?

პარატოვი — უფრო სასაკილოა! (შემოდის ლარისა ჭუდით ხელში).

ვოშვატოვი — ისეზაც სასაკილოა. რობინზონ, შივდივარ!

რობინზონი — საით?

ვოშვატოვი — შინ, პარიზს გასამგზავრებლად გავემზადოთ. (რობინზონი და ვოშვატოვი თავის დაკრით გადია).

პარატოვი — (ლარისას ჩუმად). წავიდეთ! (მიდის).

ლარისა — (ოფუდალოვას). მშვიდობით, დედა!

ოგუდალოვი — რას სჩადინარ! საით?

ლარისა — ან გაიხარებ, დედა, ანდა ვოლგაში მეტებდ.

ოგუდალოვი — ღმერთმა დაგიფაროს! რას ამბობ!

ლარისა — სჩანს, ბედისწერას ვერ გაექცევი! (მიდის).

ოგუდალოვი — აი, სადამდის მივიდა ბოლოს საქმე, უცილა გაიქცა! აქ, ლარისა!.. გამოვედევნო? არა, რისთვის!..

რაც უნდა მოხდეს, მის გარშემო მაინც ხალხია... აქ კი, გინდ თავიც გაანგებოს, — დააკლისი დიდი არაფერია! (შემოდიან კარანდიშევი და ივანე შამპანურის ბოთლით).

გამოსვლა გვ-14

ოგუდალოვა, კარანდიშევი, ივანე, მერე ევფროსი - ნია პოტაპოვნა

კარანდიშევი — მე, ბატონებო... (მიმოიხდავს ოთახში). სტუმრები სად არიან? წავიდნენ? ძალიან თავაზიანობა კია, თუ იტყვით! ჰოდა, მით უკეთესი! მაინც როდის წავიდნენ? ალბათ თქვენც წახვალო! არა, თქვენ ლარისა დიმიტრიიევნასთან ერთად მოიცადეთ! გეწყინათ? მესმის! ჰოდა, მშვენიერია. აქ დაგრჩეთ, ვიწრო ლჯახურ წრეზი... ლარისა დიმიტრიიევნა სადლაა? (მარჯვენა კართან მიირჩენ). დეიდა, ლარისა დიმიტრიიევნა თქვენთან არის?

ევფრონიანია პოტაპოვნა — (შემოდის). არავითარი ლარისა დიმიტრიიევნა ჩემთან არ არის.

კარანდიშევი — მართლა და მართლა, ეს რა ამბავია? ივან, სად გადაიკარგნენ ის გაუბატონები და მათთან ერთად ლარისა დიმიტრიიევნაც?

ივანე — ლარისა დიმიტრიიევნა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბატონებთან ერთად წიბრძანდა... იმისთვის... როდესაც ბატონები ვოლგას გაღმა ეპირებოდნენ, რომელიც რომა... პიკნიკი აქვთ.

კარანდიშევი — როგორ თუ, ვოლგას გაღმა?

ივანე — კატარლებით. ჭურჭელიც, ლვინოც სულ ჩემნებან წავიდა; წელანვე გავისტუმჩეთ; მოსამსახურებიც, დიახ, ყველაფერი როგორც ეს წესად არის მიჩნეული.

კარანდიშევი — (ჯდება, თმაზი ხელებს ჩაიკლებს). რას გავს ეს, რას გავს!

ივანე — ბოშა მომლერლები, მუსიკაც თან ახლავთ, — როგორც წესია.

კარანდიშევი — (აღელებული). ხარისტა იგნატიევნა, სად არის თქვენი ასული? მიპასუხეთ, სად არის თქვენი ასული?

ოგუდალოვი — ჩემი ასული თქვენთან მოვიყვანე, იული კაპიტონიჩ, და თქვენ მიბრძანეთ, სად არის ჩემი ქალი?

კარანდიშევი — და ყველა ეს განხრას, წინასწარ მოფიქრებით, ყველა თქვენგანის შეთანხმებით... (ცრემლმორეული). რა სიმეკრეა, რა არაძამიანური სიმეკრე!

ოგუდალოვა — მაშასადამე, ნააღრევი იყო თქვენი ზემო!  
კარან დიშევი — დიახ, ეს სასაცილოა... დიახ, სასაცილო  
ადამიანი ვარ... თვითონ ვიცი, რომ სასაცილო ადამიანი  
ვარ. მაგრამ, განა იმის გულისთვის აწამებენ ადამიანებს, რომ  
სასაცილონი არიან? სასაცილო ვარ,— პოლა, პირში დამცინე!  
სადილად მობრძანდით, სვით ჩემი ღვინო, მლანძლეთ, დამცი-  
ნეთ,— ლირსი ვარ! მაგრამ მკერძი ჩაუნგრიოთ სასაცილო ადა-  
მიანს, გული ამოგლიჯოთ, ფეხევეშ გაიგდოთ და გასრისოთ  
იგი! ოჭ, ოჭ! როგორ ვიცხვერო, როგორ!..

ევფროსინა პოტაპოვნა — კარგია ერთი, გაჩუმდი!  
არაუერი სამწუხარო აქ არ არის!

კარან დიშევი — მერე და ავაზაკები ხომ არ არიან, ისი-  
ნი ხომ დარბაისელი ხალხია... ხარიტა იგნატიევნას კარგი ნაც-  
ნობები და მეკობრები!

ოგუდალოვა — მე არავიცი რა...

კარან დიშევი — არა, თქვენ ყველას პირი გაქვთ შეკრუ-  
ლი ჩემს წინააღმდევს. მაგრამ იცოდეთ, ხარიტა იგნატიევნა,  
რომ სრულიად უწყინარი ადამიანიც შეიძლება გაცოფებამდის  
მივიდეს. ყველა დამნაშავე ბოროტმომქმედი როდია, წყა-  
რი ადამიანიც ჩაიდეს დანაშაულს, როცა სხვა გამოსახვალი  
არა აქვს. თუ მე ამ ქვეყნად სირცხვილისა და სასოწარკეთი-  
ლებისაგან თავის ჩამოხრიობისა ან შურისძიების მეტი არა  
დამრჩენია რა, მაშინ მე შერისძიებას ვამჯობინებ. ჩემთვის  
ახლა აღარც შიში არსებობს, აღარც კანონი და შებრა-  
ლება. მე ახლა მხოლოდ ულმობელი ბრაზი და შურისძიების  
წყურვილი მახრიობს. და მე შურს ვიძიებ, შერს მათ წინა-  
აღმდეგ, ვიდრე არ მომკლავენ. (მაგიდიდან დამბაჩას აიტაცებს და  
გარბის).

ოგუდალოვა — ეს რა წაილო?

ივანე — დამბაჩა.

ოგუდალოვა — გამოუდექი, გამოუდექი და იყვირე, რომ  
შეაჩერონ.

## მოკვებება შეოთხე

პირველი მოქმედების დეკორაცია. ზაფხულის ნათელი ღამე.  
გამოსხლა 1-ლი

რობინზონი ზედნართავით ხელში იგანესთან ერთად ყავახანი-  
დან გამოდის

ივანე — ზედნართავი გვიმოძე!

რობინზონი — არ მოგცემ. ჯერ მეთამაშე! რატომ არ  
თამაშობ?

ივანე — როგორ უნდა გეთამაშოთ, როცა ფულს არ იძლე-  
ვით!

რობინზონი — მერე მოგცემ. ჩემი ფულები ვასილი დანი-  
ლის აქვს, იმან წაილო. არ გვერა?

ივანე — როგორ დაგემართათ, რომ პიქნიქშე მათთან ერ-  
თად არ წახვედით?

რობინზონი — დამეძინა; ჩემი შეწუხება ვერგაბედა, ადგა  
და მარტო წავიდა. მოდი, ვითამაშოთ!

ივანე — არ შეიძლება, თამაშობა თანაბარი არ არის: მე  
ფულს ვდებ, თქვენ კი — არა. იგებთ — იღებთ, თუ აგებთ,  
არაფერს არ იძლევით. ჯერ ფულს ჩამოდით!

რობინზონი — რა ამბავია, განა ნდობა არა მაქვს? უცნა-  
ურია, სწორედ გითხრათ! პირველად ვარ ასეთ ქალაქში. რუ-  
სეთის ყველა კუთხეში ნისიას მენდობიან, აქ კი...

ივანე — მჯერა. მოითხოვეთ და, რაც გნებავთ, იმას მო-  
გართმევთ, რადგანაც რომა, სერგეი სერგეის და ვასილი და-  
ნილის ვიცნობთ როგორი ბატონებიც არიან, ამიტომაც მოვა-  
ლე ვართ ნდობა გამოგიცხალოთ. თამაშობა კი ფულს მოით-  
ხოვს.

რობინზონი — პოლა ასე იტყოდი. აიღე ეგ ზედნართავი  
და მომიტანე ერთი ბოთლი... რა სასმელი გაქვთ?

ივანე — პორტვეინი, საქმიალ კარგი.

რობინზონი — ხომ იცი, იაფფასიანს რომ არაფერს ვსვამ.

ივანე — ძეირფასიანს მოგაროვეთ.

რობინზონი — თან უბრძანე გამიშჩადონ... იცი, აი ის...  
რა ჰქვიან...

ივანე — ლაინის შეწვა შეიძლება; ხომ არ შიბრძანებთ?

რობინზონი — დიახ, სწორედ ლაინი.

ივანე — მესმის. (მიდის).

რობინზონი — ჩემი გამასხარავება მოინდომეს. ძალიან კარგი, მეც გავემასხრები. ბოლოსიაგან ერთ-ორ თუმანს ჩავანი-სიავებ და მეტე იმათ იხადონ. ჰვინიათ, შათი საზოგადოება დიდად მეპრიანება,— სკოდებიან, ოლონდ ნდობა გამომიცხა-დონ და მარტო რა შვილი მოვიწყენ! ეგრე მარტოსაც შემი-ლაა დრო მხიარულად გავატარო. ამ სიამოვნების დასაგვირ-გვინებლად ფულსაც რომ მასესხებდეს ვინმე...

ივანე — (შემოდის ბოთლით). ლაინები შეკვეთილია.

რობინზონი — მე აქ თეატრი მინდა ვიქირაო.

ივანე — კარგი საქმეა.

რობინზონი — ოლონდ არ ვიცი თეატრის ბუფეტი ვის ჩაიგაბარო. შენი პატრონი ხომ არ აიღებს?

ივანე — რატომაც არა.

რობინზონი — მხოლოდ ჩემი ადათი ევეთია: ყველგან წეს-რიგი უნდა იყოს. სიმტკიცისათვის კი ბეს რაც შეიძლება მეტს აერებ და ახლავე!

ივანე — არა, ის საქმაოდ განსწავლულია, ბეს არ იძ-ლევა: ორმა კაცმა ისედაც მოატყუა.

რობინზონი — მაშ უკვე ორმა? თუ უძველეს ირმა...

ივანე — მესამეს აღარ დაუჯვერებს.

რობინზონი — რა ხალხია! მიკვირს, ყველგან როგორ ას-წრებენ! საღმე რამეს აღება თუ შეიძლება, უკვე აღებულია; ხელშეუხებელი ადგილი ერთიც არ დარჩა. ჰოდა, არ არის საჭირო, არ გააჭიროებ. ნურაფერს ეტყვი, თორემ ეგონება, რომ მეც ვატყუებ; მე კი ამიყი ვარ.

ივანე — დიახ, რა თქმა უნდა... ოხ, როგორ გაჯავრდა წელან ბატონი კარანდიშევი, სტუმრები უცებ რომ შემოეფან-ტა! ძლიერ განრისხდა, ვიღაცის მოკვლასაც კი ლამობდა, გარეთ დაშბაჩით გაიჭრა.

რობინზონი — დამბაჩით? ცუდი საქმე მომხდარა.

ივანე — ზარბოშად იყო; ალბ-თ თანდათან გაჟელის. ბულ-გარში ერთი-ორჯერ გაიარა... იგრე, ახლაც მოდის.

რობინზონი — (შემკრთალი). შენ ამბობ, რომ დაშბაჩით არის? ესის მოკვლა უნდოდა, ჩემი ხომ არა?

ივანე — ერას გერტუკით. (მიდის. შემოდის კარანდიშევი. რობინ-ზონი ცდილობს ბოთლს უკან დაიმალოს).

## გამოსავალა გვ-2

რობინზონი, კარანდიშევი, შემდეგ ივანე

კარანდიშევი — (უახლოვდება რობინზონს). თქვენი ამხანა-გები სიდ არიან, ბატონო რობინზონ?

რობინზონი — რომელი ამხანაგები? მე ამხანაგი არავინ მყავს.

კარანდიშევი — მაშ, სიდ არიან ის ბატონები, თქვენ-თან ერთად ჩემთან რომ საღილომბდნებ?

რობინზონი — ეგენი რა ჩემი ამხანაგებია! ეს ისე.. შემო-ვევითი ნაცნობებია...

კარანდიშევი — ხომ არ იცით, სიდ არიან ახლა ისინი?

რობინზონი — ეცდილობ მაგ ხალხისაგან თავი შორს და-ვიქირო. იცით, მე ერთი წყნარი კაცი ვარ... ოჯახის პატრო-ნი...

კარანდიშევი — თქვენ? ოჯახის პატრონი?

რობინზონი — დიდი მეოჯახე... ჩემთვის წყნარი, ოჯახუ-რი ცხოვრება ყველაფერშე მაღლა დგას. ჩხუბი და უსიამოვ-ნება კი, ლერთმა გვაშოროს; მიყვარს საუბარიც, ოლონდ სა-უბარი მკვიანური, მორიდებული უნდა იყოს, მაგალითად, ხე-ლოვნებაშე... დიახ. ისეთ კეთილშობილ კაცთან კი, როგორიც თქვენი ხართ, შეიძლება კაცმა ცოტაც დალიოს. რამეს ხომ არ მიბრძანებთ?

კარანდიშევი — არა, არ მინდა.

რობინზონი — როგორც გენებოთ. მთავარი საქმე ის არის, რომ უსიამოვნებას ადგილი არ ექნეს.

კარანდიშევი — ჰო, მაგრამ ხომ უნდა იცოდეთ, სიდ არიან ისინი?

რობინზონი — სადმე თუ ქეიფობენ, სხვა რა უნდა აკეთონ? კარანდიშვილი — ამბობენ, გოლგას გაღმა გავიდნენ. რობინზონი — დავილი შესაძლებელია. კარანდიშვილი — უქვენ არ წაგიყვანეს? რობინზონი — არა, მე ოჯახის პატრონი ვარ. კარანდიშვილი — როდის დაბრუნდებიან? რობინზონი — არ ვიცი, შესაძლოა, თვითონაც არ იციან. ვეიქიობ, გათვენებისას დაბრუნდებიან. კარანდიშვილი — გათვენებისას?

რობინზონი — შეიძლება უფრო ადრეც. კარანდიშვილი — უნდა მოვიცადო; ზოგ მათგანთან ასენა-განმარტება მჭირდება.

რობინზონი — თუ დაცულა გინდათ, სჯობია ნავსადგურის ბაქანზე დაელოდოთ. აქ რისთვის მოვლენ? ნავსადგურიდან პირდაპირ შინისენ წავლენ. სხვა რაღა უნდათ? იცედაც შეძლარნი არიან.

კარანდიშვილი — მერე და რომელ ნავსადგურზე? ნავსადგურები აქ შევრია.

რობინზონი — რომელზეც გნებავთ, ოლონდ აქ არა. აქ თქვენ იმათ ველარ იჩილავთ.

კარანდიშვილი — კარგი, ნავსადგურში წავალ. მშვიდობით. (ხელს ართმევს რობინზონს). ხომ არ გამაცილებთ?

რობინზონი — არა, გეთაყვა, მოვეხსენებათ, ოჯახის პატრონი ვარ. (კარანდიშვილი მიდის). ივან, ივან! (შემოდის ივანე). სუფრა თათახში გამიშალე, ღვინოც იქ წაიღე!

ივანე — ოთახში, ბატონი, შეხუთული ჰაერია, თავს რათ იწუხებთ?

რობინზონი — არა, საღამო ხანს ჰაერი მწყენს, ექიმმა მაიერძალა. ჰო, იმ ბატონში თუ მიკითხოს, უთხარი, რომ აქ აღარა ვარ. (შედის ყავახანაში, საიდანაც გავრილო გამოდის).

### გამოსვლა ვე-3

გავრილო და ივანე

გავრილო — გოლგას გასცემროდი? ჩვენები ხომ არ სჩანან?

ივანე — ისინი, ალბათ, უკვე მოვიდნენ.

გავრილო — ასე აღრე?

ივანე — გორაკონ ისე ხმაურია, ეფიოპები იყაყანდნენ. (შეიძინებან ბოთლს აიღებს და ყავახანაში შედის. შემოდის ილია ბოშათა გუნდით).

### გამოსვლა ვე-4

გავრილო, ილია, ბოშა ქალები და მამაკაცები

გავრილო — კარგად იმგზავრეთ?

ილია — ო, კარგად, ისე კარგად, რომ რაღა გითხრა!

გავრილო — ბატონები მხიარულად არიან?

ილია — იკოცხლე იმათ გაინავარდეს, ჩინებულად გაინავარდეს, ღმერთმა შეარგოთ! აქეთ მოდიან. ახლა მოელ ლაშეს იქვიურებენ.

გავრილო — (ხელების სრესით). მაშ, წალიო, დასხედით! კუბ-რიანებ ქალებს ჩაი მოართვან, თქვენ კი ბუფეტით ისაუზეთ!

ილია — მოხუც ქალებს ჩინზე რომი მოუტანონ, — უყვართ. (ილია, გავრილო, ბოშა ქალები და მამაკაცები ყავახანაში შედიან. გამოდის ქუროვი და ვოლევატოვი).

### გამოსვლა ვე-5

კნუროვი და ვოლევატოვი

კნუროვი — მგონი, ლრამა იწყება!

ვოლევატოვი — ეგრე ჰგავს.

კნუროვი — ლარისა ლიმიტრიევნას თვალში ცრემლი შევ-ნიშნე.

ვოლევატოვი — ცრემლი მაგათ ძირად არ უღირთ.

კნუროვი — თქვენ როგორც გინდათ იანგარიშეთ და მისი მდგომარეობა სახარბიერო არ არის.

ვოლევატოვი — არაურია. საქმე როგორმე მოწყობა.

კნუროვი — არა მგონია.

ვოლევატოვი — კარანდიშვილი ცოტას გაჯავრდება, ცოტას გაიპრანება და მერე ისე ისე თივე გახდება.

კნუროვი — კი მაგრამ, „ის“ ღაღრა იქნება იგივე. ქორწინების წინა დღეს რომ საქმიო დასტოვო, რაიმე საბუთი უნდა გერნდეს. წარმოიდგინთ: სერგეი სერგეისი რაღაც ერთი დღით ჩისოებდა და ეგ კი იმისთვის საქმროს სტოვებს, საქმროს, რო-

მელთანაც მთელი სიცოცხლე უნდა გაატაროს. გამოდის, მთელ იმედებს სერგეი სერგეიიჩზე ამყარებს. სხვაფრივ რათ უნდა იგი!

ვოშევატოვი — შაშ თქვენ ფიქრობთ, რომ აქ მოტყუების ამბავია? თქვენ ფიქრობთ, რომ მან ისევ დაპირებებით გადიბირა?

კნუროვი — დიახ, ეგრეა უსათუოდ. ამასთანავე ეს დაპირებები უსათუოდ გარკვეული და თან სერიოზული იყო, თორუმ ისე რას დაუჯერებდა, რათ ენდობოდა ისეთ კაცს, რომელმაც ერთხელ უკვე შოთტყუა?

ვოშევატოვი — გასაყირეველი აქ რა არის? სერგეის არაუერი არ დააფიქრებს, თამამი კაცია!

კნუროვი — მაგრამ, რაც უნდა თამამი იყოს მილიონიან საცოლეს ლარისა დამიტრიევნაზე მაინც არ გასცელის.

ვოშევატოვი — ცხადია! ან რა ანგარიშია!

კნუროვი — ჰოდა, წარმოიღვინეთ, რა მდგომარეობაშია ახლა საწყალი ლარისა დამიტრიევნა.

ვოშევატოვი — რას ვიზამთ! ჩეენ ხომ არა ვართ დამნაშავენი, ჩეენ განჩე ვდგვივართ ამ საქმისაგან.

(ყავაზანის აივანზე რობიმზონი გამოჩენდება).

### გამოსცლა 80-6

კნუროვი, ვოშევატოვი და რობინზონი

ვოშევატოვი — ა, მილორდ! სიზმარში რა ნახე?

რობინზონი — მდიდარი სულელები, რომლებსაც ცხადლივაც ბლომაც ვხედავ.

ვოშევატოვი — ლარიბო კევიანო, როგორ ატარებ აქ დროს?

რობინზონი — ჩინებულად! ვცხოვრობ ლალაც, თანაც ნისიაც, შენს ანგარიშზე. ამაზე უკეთესი რაღა იქნება?

ვოშევატოვი — შენი ბედი კაცს შემურდება! მერე დიდხანს აპირებ ნეტარებას ასეთი ცხოვრებით!

რობინზონი — როგორც ვხედავ, დიდი უცნობრი ვინმე ხარ. ამა თვითონ იფიქრე, რა ანგარიშია უარი ვთქვა ასეთ შვენიერებაზე?

ვოშევატოვი — რამდენადაც შახსოვს, მე შენთვის ანგარიში არ გამიხსნია!

რობინზონი — როგორც შახსოვს პარიზს დამპირდი წაყვანის, განა ეს სულელები არ არის?

ვოშევატოვი — არა, სულელები არ არის. რასაც დაგვირდი, აგისრულებ, ჩემთვის სიტყვა კანონია, რაც ითქვა, ის წმინდათ. წმინდაა. შეეკითხე ვისაც გსურს, გინმე ოდესმე, თუ მიმიტყუებია.

რობინზონი — კი მაგრამ, სანამ პარიზში გავემგზავრებით, მერიით ხმა არ უნდა ვისაჩერდოო?

ვოშევატოვი — მაგრამ როდის მოგილაპარიაკეთ? პარიზს კი, თუ გინდა, ახლავ გავამგზავრებ.

რობინზონი — ახლა გვიანაა, ხვალ წავიდეთ, ვასია.

ვოშევატოვი — ხვალ, მაშ ხვალ იყოს. გამიგონე, აა რა: მოდი, შენ მარტო გაემგზავრე, გზის ხარჯს მე მოგცემ.

რობინზონი — როგორ თუ მარტო გზა რომ არ ვიცი!

ვოშევატოვი — მიგიყვანენ.

რობინზონი — გამიგონე, ვასია, მე ფრანგული არც თუ ისე თვეისუფლად... მინდა ვისწავლო, მაგრამ ღრმ სულ არ მეტეს.

ვოშევატოვი — ნეტავ რათ ვინდა ფრანგული ენა?

რობინზონი — როგორ, პარიზს წავიდე და ფრანგული არ მოუთოვ.

ვოშევატოვი — არც არის საჭირო, იქ ფრანგულად არც ლაპარაკობენ.

რობინზონი — როგორ, საფრანგეთის სატახტო ქალაქში უჩინებულად არ ლაპარაკობენ? რაო, სულელად მთელი თუ რა არის?

ვოშევატოვი — რის სატახტო ქალაქი, რას ამბობ! კეუშებ თუ ხარი რომელ პარიზზე მელაპარიაკები? მოედანზე ტრიპტიკო არის „პარიზი“ და აი იქ მინდოდა შენი წაყვანა.

რობინზონი — ვაში! ვაში!

ვოშევატოვი — შენ კი ნამდვილი გეგონა? ცოტა მაინც სეუიქრო, მაშ კევიან კაცს რათ ეძახი შენ თავს? აბა, რისთვის

წაგიყვანდი იქ? საიდან სადაო? გალია გამეკეთებინა და საჩ-  
ვენებლად მეტარეზინე, თუ?

რობინზონი — ძვირფას სკოლაში აღზრდილხარ, ვასია,  
ძვირფას სკოლაში. იცოდე, შენგან კარგი სოვდაგარი გამოვა.

ვოშევატოვი — ფიფქრობ, არა უჭირს რა! ჩემი ქების-  
თვის ყური მომიქრავს.

კნუროვი — ვასილი დანილიჩ, დაანებეთ მაგის თავი! მინ-  
და ერთი არა გითხრათ.

ვოშევატოვი — (მიუახლოვდება). რა გნებავთ?

კნუროვი — მე სულ ლარისა დიმიტრიევნა მაფიქრებს.  
ასე მგონია, ის ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ჩენ, მის  
შახლობლებს, არამც თუ გვემართებს, მოვალენიცა ვართ მის  
ბერ-ილბალში მონაწილეობა მიეიღოთ. (რობინზონი მათ საუბარს  
უტრს უგლებს).

ვოშევატოვი — ესე იგი, თქვენ გინდათ სთქვათ, რომ  
ხელსაყრელი შემთხვევაა პარიზს თან წავიყვანოთ, არა?

კნუროვი — დიახ, თუნდ ეგრევ იყოს. ეს ერთი და  
იგვევა.

ვოშევატოვი — ჰოდა, მერე ხელს ვინ გიშლით?

კნუროვი — თქვენ მიშლით, ხოლო თქვენ მე გიშლით.  
იქნებ მეტოქის არ გეშინიათ? დიდად არც მე მეშინია, მაგრამ  
მაინც უხერხელია, არასისიამოვნო. უკეთესია როცა მოედანი  
თავისუფალია.

ვოშევატოვი — პირგასამკლელოს როდი ვიღებ, მოკი  
პარმენიჩ!

კნუროვი — რატომ პირგასამკლელო? შეიძლება სხვანა-  
ირადაც.

ვოშევატოვი — ყველაფერს აჯობებს აი ეს. (ამოიდებს  
ჯიბიდან ლითონის ფულს და ხელს დააფარებს). „ორიოლ“ თუ „რე-  
შოტკა“?

კნუროვი — „ორიოლს“ თუ ვიტუვი, — წავაგებ; არწივი,  
რა თქმა უნდა, თქვენა ხართ. (გაბედულად). „რეშოტკა.“

ვოშევატოვი — (ასწევს ხელს). თქვენია! მაშასადამე, მარ-

ტო მომიწევს პარიზს გამგზავრება. წაგებული მაინც არა ვარ,  
ხარჯი ნაკლები მომიდა.

კნუროვი — მხოლოდ, ვასილი დანილიჩ, ერთი პირობით,—  
სიტყვა მიეცი — შეისრულე, თუ არა და — მტკიცედ იდექი!  
გაქარი ხართ და უნდა გესმოდეთ, რას ნიშნავს სიტყვა, პირობა.

ვოშევატოვი — თქვენ შეურაცხეშოთ. კარგად მესმის  
როც არის ვაჭრის სიტყვა. მე ხომ თქვენთან მაქეს საქმე და  
არა რობინზონთან.

კნუროვი — აგრე სერგეი სერგეიისუ ლარისა დიმიტრიევ-  
ნისთან ერთად მოდის. შევიდეთ ყავახანაში, სელს ნუ შეეუშ-  
ლით.

(წრუოვი და ვოშევატოვი შედიან ყავახანაში. შემოდიან პარატოვი და  
ლარისა).

### გამოცვლა ვე-7

პარატოვი, ლარისა და რობინზონი

ლარისა — აჲ, როგორ დავიღალე. ღონე აღარ მაქეს, ძლიერ  
მიმეული ამ გორაქშე. (სცენის სილმეში შესერთან გამართულ შერხშე  
ჯდება).

პარატოვი — ა, რობინზონ! რაო, ჩქარა წახვალთ პარიზი-  
საექნე?

რობინზონი — ვისთან ერთად? შენთან ერთად, ლა სერგ,  
სადაც ვინდა იქ წიგალ, ვაქართან ერთად კი — არა. ეს სა-  
შოლოოდ გადაშევეტილი საქმეა.

პარატოვი — რაო, რა მოხდა?

რობინზონი — ბრიყვები!

პარატოვი — ვითომ რატომაო? დიდიხანია, რაც გაი-  
სახრე?

რობინზონი — მუდამ ვიცოდი. მე მუდამ თავად-აზნაურ-  
თა მხარეშე ვიყავ.

პარატოვი — ყოველივე ეს შენ უსათუოდ გამაღლებს,  
რობინზონ, მაგრამ ისიც უნდა გითხრა, რომ დროის შესატერ  
სიამიეც ვერ იჩენ. დროს შეეგუშ, ჩემთ საწყალო მეგობარო!  
განათლებული მწყალობლებისა და მეცენატების ხანამ გან-  
დლო; ახლა ბურეუაზია ზეიმობს, ხელოვნება ახლა აქროთი

ფასდება, დგება ოქროს ხანა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მაშ ნუ დაგვძრიახავ, თუ ზოგჯერ ვაქსიც დაგალევინონ და მთიღიან კასრითაც დაგავორონ თავის გასართობად. ყოველივე ეს იმას გააჩნია, რომელ, ან როგორ მედიჩის წააყვდები! ასასად წახვიდე, დამჭირდები!

ლობინზონი — შენთვის არც ცეცხლს და არც წყალს დავერიდები. (შედის ყავახანაში).

პარატოვი — (ლარისას). ნება მიბოძეთ, მაღლობა მოგახსენოთ იმ სიამოვნებისათვის, — არა, ეს ცოტაა, — იმ ბედნიერებისათვის, რომელიც თქვენ მოვგანიქეთ.

ლარისა — ნუ, ნუ, სერგეი სერგეიჩი, აქ ფრაზებით ნუ მელაპარაკებით! თქვენ ის მითხარით, რა ვარ თქვენი — ცოლი თუ არა?

პარატოვი — უშინარეს ყოველისა, ლარისა დიმიტრიევნა, შინ უნდა წახვიდეთ. ხოლო სათანადო მოლაპარაკებას ხეალაც მოვასწრებთ.

ლარისა — მე შინ არ წავალ.

პარატოვი — აქ დარჩენაც არ შეიძლება. გასეირნება ჩემთან ერთად ვოლგაზე დღისით, კიდევ შეიძლება, შაგრამ შუა ქალაქში, ცუდ ყოფაქცევის ხალხთან ერთად, მთელი ლაშე ტრაქტირში ქეიფი! გეშმით თუ არა, რა სალაპბო მასალას აძლევთ საზოგადოებას?

ლარისა — რა საქმე მაქეს მათ ლაყბობასთან? თქვენთან ერთად ყველგან შემიძლია ვიყო. თქვენ წამომიყვანეთ და შინ თქვენვე უნდა მიმიკეანოთ.

პარატოვი — ჩემი ეტლით წაბრძანდებით, განა ეს სულერთი არ არის?

ლარისა — არა, სულერთი არ არის. თქვენ წამომიყვანეთ, ჩამომაშორეთ ჩემს საქმროს; დედამ თავისი თვალით ნახა, როგორ წამოველით ჩემს ერთად და არ შეწუხდება შინ რომ გვიანაც დავბრუნდეთ... ის მშვიდად არის, რადგან თქვენი პატიოსნება სჯერა და შინ მოუგმენლად იმიტომ მიგველის, რომ... დაგვლოცოს. ან თქვენთან ერთად უნდა დაგბრუნდე, ანდა შინ სულაც არ უნდა გამოვცხადდე.

პარატოვი — როგორაო? რას ნიშნავს: „სულაც არ უნდა გამოვცხადდე“? მაშ სად უნდა წახვიდეთ?

ლარისა — ამ ღვთისგან გაჩერნილ ქეყანაზე უბედურ ადამიანთათვის ფართო გასაქანია, — აი ბაღი, ვოლგა; თავის ჩამოხრიობა აქ ყოველ ტოტზე შეიძლება, ხოლო ვოლგაში — საქმე არჩევანშეა, თავის დახრიობა ყველგან ადვალია, თუ ძალა შეგწევს და სურვილიც არის.

პარატოვი — ეგრე რამ აგაგზნოთ? თქვენ შეიძლიათ იცოცხლოთ და უნდა იცოცხლოთ კიდეც ვინ გეტუვით უარს სიყვარულსა და პატივისცემაზე! თუნდაც იგივე თქვენი საქმრო... გაუხარდება კიდეც თუ დაუყვავებთ.

ლარისა — მაგას რას ამბობთ? ქმარს, თუ იგი არ მეყვარება, პატივს ხომ მაინც უნდა ვცემდე, და როგორ შემიძლია პატივი ვე ისეთ კაცს, რომელიც ასე გულგრილად იტანს დაცინებს და ყოველგვარ შეურაცყყოფას! ეს საქმე გათვეებულია, იგი ჩემთვის აღარ არსებობს. მე ერთადერთი საქმრო მყიერს და ეს თქვენა ხართ.

პარატოვი — მომიტევეთ, ნუ გეწყინებათ ჩემი სიტყვები და, ვკონებ, არა გაქვთ უფლება, რომ ასეთი მოთხოვნები წიომიუქნოთ.

ლარისა — რას ამბობთ? განა დაგავიწყდათ? მაშ, ყველა-უერს თავიდან გაგიმეორებთ. მთელი წელიწადი ვიტანჯებოდი, მთელი წელიწადი ვერ შევქელ თქვენი დავიწყება, ცხოვრება ჩემთვის დაცარიელდა; ბოლოს გადავწყვიტე ქარანდიშეს ცოლად გავყოლდი, გავთხოვილიყავ თუნდაც პირველ გამვლელზე. მეგონა, ოჯახური მოვალეობა მაინც შეავსებდა ჩემს ცხოვრებას და მასთან შემარიგებდა. ამ ღროს გამოცხადდით თქვენ და მეუბნებით: „დასტოვე ყოველივე, შე შენი ვარ!“ განა ეს უფლება არ არის? თქვენი სიტყვები გულწრფელი მეგონა, მეგონა, რომ ისინი მე ტანჯვით დავიმსხურე.

პარატოვი — ყველაფერი ეგ შშვენიერია, მაგრამ, მოდი, მისხე ხეალ მოვილაპარაკოთ.

ლარისა — არა, დღესვე, ახლავე!

პარატოვი — თქვენ მოითხოვთ?

ლარისა — მოვითხოვ. (ყავახანის კარებში გამოჩენდებიან ქურო-  
ვი და ვოვევტოვი).

პარატოვი — ინტერ. გამიგონეთ, ლარისა დიმიტრიევნა!  
დასაშვებია თქვენთვის უკაბედი რამ გატაცება?

ლარისა — დასაშვებია, შეიძლება შეც გამიტაცოს რამემ.

პარატოვი — არა, სწორად ვერ გამოვთქმი ჩემი აზრი;  
დასაშვებია თქვენთვის, რომ ჯაჭვით ხელ-ფეხ შემოჭილი კაცი  
რაიმე ისე გაიტაცოს, რომ ყველაფერი დაივიწყოს, დაიღწე-  
ყოს მისი დამჩაგვრული სინამდვილე და მისივე ბორკილები?

ლარისა — მერე რა! ძალიან კარგია თუ დაივიწყებს.

პარატოვი — ეს სულიერი მდგომარეობა ძალიან კარგია,  
არ გედავებით, მაგრამ ხანგრძლივი რომ არ არის! თავბრუ-  
დამხვევი ვნებათა ღელვა უმაღლ გაიღლის და რჩება მხოლოდ  
ჯაჭვი და სალი გონება, რომელიც მოგვაგონებს, რომ ამ ჯაჭ-  
ვის გაწყვეტა არ შეიძლება, რომ ის არ გაწყდება.

ლარისა — (ჩაფიქრებული). ის არ გაწყდება... (საჩქაროდ).  
ცოლიანი ხართ?

პარატოვი — არა.

ლარისა — სხვა დამაბრკოლებელი ჯაჭვი არ არსებობს.  
ვატაროთ ერთად ეგ ჯაჭვი, მაგ ტვირთს მეც თქვენთან ერ-  
თად გავინაშილებ, ზედმეტ სიმძიმეს მე ვკისრულობ.

პარატოვი — მე დანიშნული ვარ.

ლარისა — ამ!

პარატოვი — (ნიშნობს ბეჭედს აჩვენებს). აი ის ოქროს ჯაჭ-  
ვი, რომლითაც მე შემორკილი ვარ.

ლარისა — რათ იყავით მერე გაჩუმებული? უღმერთობაა,  
უღმერთობა! (სკამხე დაჭვება).

პარატოვი — თქვენ გნახეთ და განა შემეძლო სხვა რამ  
მომგონებოდა? თქვენ გხედავდით და სხვა ჩემივის არაფერი  
არ არსებოდა.

ლარისა — აბა შემომხედეთ! (პარატოვი შეხდავს). „თვა-  
ლებში, როგორც ცაში, ნათელი სუფეს“... ჰა, ჰა, ჰა! (ის-  
ტერიულად იცინის). გამშორდით! ქმარა! ჩემს თავგზე ახლა მე  
ვიზრუნებ. (თავს სელებზე დაბრის. ქნუროვი, ვოლევატოვი და რობინშო-  
ნი ყავახანის ავგანხე გამოდიან).

გამოსვლა ვე-8

პარატოვი, ლარისა, კაუროვი, ვოლევატოვი და რო-  
ბინშონი

პარატოვი — (ყავახანას უახლოედება). რობინშონ, წადი,  
ჩემი ეტლი მოძებნე, აქვეა, ბულვართან. ლარისა დიმიტრიევ-  
ნის შინ წაიყვან.

რობინშონი — ლა სერქ! ის აქ არის, დამბაჩით დადის.

პარატოვი — ვინ ის?

რობინშონი — კარანდიშევი.

პარატოვი — მერე, მასთან რა მესაქმება?

რობინშონი — მომელავს.

პარატოვი — მერე რა დიდი ბედენაა! აასრულე რასაც  
გიბრძანებდენ! უსიტყვოდ! მე ეგენი არ მიყვარს, რობინშონ.

რობინშონი — გეუბნები, დამინახავს თუ არა მასთან —  
მომელავს.

პარატოვი — მოგკლავს თუ არა, ეს ჯერ არ ვიცეთ,  
მიგრამ ჩემს ბრძანებას ახლავე თუ არ აასრულებ, მე მოგკლავ,  
მოგკლავ ნაძვილიად. (შედის ყავახანაში).

რობინშონი — (მუშტს მოუღრებს). ო, მტარვალებო, ავა-  
ხევებო! ეს რა ხალხის ხელში ჩავვარდი! (გადის. ვოლევატოვი ლა-  
რისას მიუახლოდება).

ლარისა — (შეხდავს ვოლევატოვს). ვასია, ვიღუპები!

ვოლევატოვი — ლარისა დიმიტრიევნა, ჩემო მტრედო!  
რა ვქინა? ვერააფერს იჩამ.

ლარისა — ვასია, ჩენ ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთ-  
მანებს, თითქმის ნათესავები ვართ, რა ვენა — მასწავლე!

ვოლევატოვი — ლარისა დიმიტრიევნა, ხომ იცით რო-  
გორ პატივს გცემთ, მოხარულიც ვიქნებოდი... სამწუხაროდ  
არისფერი არ შემიძლია. ერწუნება ჩემ სიტყვას!

ლარისა — განა რამეს ვთხოულობ შენგან? გთხოვ მხო-  
ლოდ შემიბრალო; ჩემთან ერთად იტირე მარც!

ვოლევატოვი — არ შემიძლია, არაფერი არ შემიძლია!

ლარისა — შენც ჯაჭვი გადევს?

ვოლევატოვი — ბორკილები, ლარისა დიმიტრიევნა.

ლარისა — როგორი.

ვოლევატოვი — პატიოანი ვაჭრის სიტყვა,  
(ყავახანისკენ შეუხვევს).

კნუროვი — (ლარისას მშეანლოვდება). ლარისა ლიმიტრივგნა, მომისმინეთ და, რასაც გეტყვით, ნუ გეწყინებათ. იცოდეთ, აზრადაც არ მოშდის თქვენი წყენინება. მხოლოდ სიკეთე და ბეჭინირება მინდა თქვენოვის, ბეჭინირება, რომლის ღირსიც აუცილებლად ხართ. ჩემთან ერთად პარიზის გამოფენაზე გამგზავრებას ხომ არ ინგებთ? (ლარისა უარის ნიშად თავს გაიწვევს). თან სრულს უზრუნველყოფას მთელი სიცოცხლის განმავლობაში? (ლარისა დუმს). სირცხვილისა ნუ გეშინიათ, გაკიცხვა თქვენგან შორს იქნება. არსებობს საზღვარი, რომლის იქით კილვა-გაკიცხვა ვერ გადააბიჯებს; მე შემიძლია ისეთი დიდი ქონება და უზრუნველყოფა შემოგთვეზოთ, რომ სხვისი ზნეობის უდიდესი მეტიდავრიც იძულებული იქნებიან გაჩუმდნენ და გაოცებისაგან პირდაღებული დარჩენ. (ლარისა თავს სხვა მხრისაჟო მიაბრუნებს). ერთი წუთითაც არ დავფიქრდებოდი ჩემი ხელი შემომეთავახებინა, მაგრამ ცოლიანი ვარ. (ლარისა დუმს). თქვენ ახლა ისე ხართ შეწუხებული, რომ ნება არა მაქვს იგაჩეროთ პასუხით. იფიქრეთ! თუ კეთილინებებთ და მიიღებთ ჩემს წინადადებას, შემატყობინეთ, და იმ წუთიდან გაეხდები მონა-მორჩილი თქვენი სურვილებისა, უინიანობისაც, როგორი უცნაური და ძვირიც არ იყოს იგი. შეუძლებელი ჩემთვის ამ ქვეყნად ცოტა რამ არის. (თავს მდაბლუდ უკრავს და შედის ყავასანში).

### გამოსვლა ვე-9

ლარისა მარტო

ლარისა — წელი მოაჯირიდან ქვევით ვიცქირებოდი, თაგბრუ დამესხა და კინილამ გადავვარდი. ჰოდა, რომ გადავვარდე, მმბობენ... სიკედილი აუცილებელია! (ფიქრის შემდგა). რა კარგი იქნება, რომ გადავვარდე! არა, გადავვარდა რა საჭიროა!.. მოაჯირითან უნდა დადგე, იურო ქვევით, თაგბრუ დაგხეხვევა და თავისთავად გადავვარდები... დიახ, ეს უფრო კარგია... უგონოდ, არც ტკიცილი, ვერაფერს იგრძობ! (მთავის უახლოვდება, ქვევით იცქირება. დაიხრება, მთავის ხელს მაგრად ჩაჭირებს, მერე ხარდაცმული უკან მთაწყდება). ვაი! ვაი! რა საშინელება! (კინალმ წაიქცა. უახატურს ხელით ჩაეჭიდება).

უმ, რანაირად შეხვევა თაგბრუ! ვვარდები, ვვარდები, ვაი! (ფანჩატურის მანლობდად მაგიდასთან ჯდება). ომ! არა... (ცრუმდომორეული). სიცოცხლის დაკარგვა არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც მეგონა. აი, ძალა არ მყოფნის. ხედავ, რა უბედური ვარ! მაგრამ ხომ არიან ისეთები, რომლებისთვისაც ეს ძნელი არ არის. სჩინს, მათი სიცოცხლე სულ არ შეიძლება; მათ არაფერი არ ხიბლავთ, არაფერი ესალბუნებათ, არაფერი არ ენანებათ. ომ, რაებს ვამბობ!.. მეც ხომ არაფერი შესალბუნება, ჩემი სიცოცხლეც ხომ არ შეიძლება, ხომ ზედმეტია? მაშ, რატომ ვერ გადამიწყვეტია? რა მავაგებს ამ უფსკრულის პირის? ხელს რა მიშლის? (ჩაფიქრდება). ახ, არა, არა... კნუროვი არა... ფუფუნება, ბრწყინვალება... არა, არა... შორს ვარ ცხოვრების ამაოება - ფუსთუსისაგან. (შეატყროლებს). გარცუნილება... ომ, არა, არა... ჩანს, უნარი არ შემწევს რაიმე გადავწყვიტო. ჩემს გულს უბადტრუკი სისუსტე დაუფლებია: ვიცოცხლო როგორმე, ოღონდ კი ვიცოცხლო. ეს მაშინ, როცა არ შეიძლება სიცოცხლე და არც არის იგი საჭირო. რა საცოდავი ვინმე ვარ, რა უბედური! ომ, ახლა ვინმე რომ მომკლავდეს... რა კარგია სიკედილი... ვიდრე შენი თავის მიმართ სასაყველურო არა გაქვს რა... ან ივად გახდე და მოკვდე... დიახ, მგონი, ივად გახდები... რა ცუდად ვარ!.. კარგია იავადმყოფ დიდხანს, დამშეიდლე, ყველის შეურიგდე, აპატიო და მოკვდე... ომ, რა ცუდად ვარ, როგორ მეხვევა თავბრუ! (თავს ხელებზე დაყრდნობს. გაშტრებული ზის. შემოდიან რობინზონი და კარანდიშვილი).

### გამოსვლა ვე-10

ლარისა, რობინზონი და კარანდიშვილი

კარანდიშვილი — თქვენ ამბობთ, რომ ნაბრძანები გაქვთ სახლმდე მიაცილოთ იგი?  
რობინზონი — დიახ, ეგრე მაქვს ნაბრძანები.  
კარანდიშვილი — და თქვენ ამბობთ, რომ მას შეურაცხ. ყოფა მიაყენეს?  
რობინზონი — მაგაზე მეტი, ან მაგაზე საწყენი რა უნდა იყოს?

კარანდიშევი — თვითონ არის დამნაშავე: მისი საქციელი ღირსია სასჯელის. ეფუძნებოდი რა ხალხიც არიან ისინი, ბოლოს თვითონაც შეეძლო შეემჩნია განსხვავება ჩემსა და მათ შორის. დიახ, თვითონ არის დამნაშავე, მაგრამ მისი განსჯის ნება, ჩემს გარდა, არავის არა აქვს, მით უმტრეს შეურაცხოფის! ჩემი საქმეა ვაპატიებ თუ არა, მაგრამ მის დამცველად კი მოვალე ვარ რომ ვამოეიდე. მას არც ძალა ჰყავს, არც მახლობლები, ერთადერთი მე ყყავარ და მხოლოდ მე ვარ მოვალე ვამოვესარჩლო, დაისაჯო მისი შეურაცხოფილი. სად არის ახლა?

რობინზონი — აქ იყო. აგრე!

კარანდიშევი — ჩემს ახსნა-გამშარტებას გარეშე პირი არ უნდა ესწრებოდეს. თქვენ ზედმეტი. ხართ, მარტო დაგვტოვეთ!

რობინზონი — უდიდესი სიამოვნებით, მაშ გადავცემ, რომ ლარისა დამიტრიევნა თქვენ ჩაგდარეთ. მაქვს პატივი გამოვეთხოვთ. (შედის ყავასანაში. კარანდიშევი მიუახლოვდება მაგიდას და ლარისას პირდაპირ დაჯდება).

### გამოსვლა ვე-11

ლარისა და კარანდიშევი

ლარისა — (თავს მაღლა ასწევ). რომ იცოდეთ, როგორ მეზიძლებით. აქ რისთვისა ხართ?

კარანდიშევი — მაშ სად უნდა ვიყო?

ლარისა — ეგ მე არ ვიცა! სადაც გნებავდეთ იქ იყავით, ოლონდ იქ არა, სადაც მე ვარ.

კარანდიშევი — სცდებით. მე მუდამ თქვენთან უნდა ვიყო, რომ გაგითრითხოლდეთ. ახლა აქ იმიტომ ვარ, რომ შერი ვიძიოთ თქვენი შეურაცხოფისათვის.

ლარისა — ყველაზე მძიმე შეურაცხოფა ჩემთვის თქვენი მფარველობაა; არავისგან არავითარი სხვა შეურაცხოფა მე არ შიშილია.

კარანდიშევი — თქვენ მეტისშეტაც გულკეთილი ბრძანდებით. კნუროვი და ვოუევატოვი თქვენს გამო წილს ყრიან — თუ ვის ერგებით, „ორითოლს“ და „რეშოტკას“ თამაშობენ და

განს ეს შეურაცხოფა არ არის? რა მომხიბლავი, რა მშევნიერი ნაციონალია! რა დიდი პატივისმცემელი არიან თქვენი! ისინი თქვენ როგორც მანდილოსანს, როგორც ადამიანს როდი ჩიუქერენ, — რადგან ადამიანი თავის ბედს თვითონვე განაგებს, ისინი თქვენ როგორც ნივთს ისე გიცევერიან. და თუ თქვენ მართლა ნივთი ხართ, — მაშინ სხვა საქმეა. რა თქმა უნდა, ნივთი იმას ეკუთვნის გინც ის მოიგო, ნივთს ნაწყენიც რომ უყოს ის შეეძლია.

ლარისა — (ლრმად შეურაცხოფილი). ნივთი... დიახ, ნივთი! ისინი მართალი არიან, მე ნივთი ვარ და არა ადამიანი. ახლა, მხოლოდ ახლა დაგრწმუნდი ამაში, მე გამოვკადე ჩემი თავი... მე ნივთი ვარ! (მგზებარედ). ჩემი საკარდისი სიტყვა მოლოს ნაპონია, თქვენ იპოვეთ იგი. წადით! გონივრ დამტოვოთ!

კარანდიშევი — დაგრძოვოთ? როგორ უნდა დაგრძოვოთ, ესისან დაგრძოვოთ?

ლარისა — ყოველ ნივთს პატრონი ჰყავს და მეც ჩემ პატრიოტის წაგალ.

კარანდიშევი — მე წაგიყვანთ, მე ვარ თქვენი პატრონი (ხელში ხელს სტაცებს).

ლარისა — (ხელსა ჰკრაეს). ო, არა! ყოველ ნივთს თავისი ფისი იქვეს... პა, პა, პა... მეირად, მეტად მეირად ვლირვარ თქვენთვის!

კარანდიშევი — რას ამბობთ, განა შემეძლო ოდესმე ჭარმიმედვინა, რომ თქვენ ასეთ ურცხვ სიტყვებს იტყონოთ?

ლარისა — (ცრემლმორეული). თუ აუცილებელია, რომ ნივთი იყო, მაშინ ერთაურთი ნუგეში ის არის, — იყო ძეირი, ძალიან ძეირი. აღმომიჩინეთ უკანასკნელი დახმარება, წადით, ქნუროვი აქ გამოგზავნეთ.

კარანდიშევი — რას ამბობთ, რას ამბობთ, გონს მოტით!

ლარისა — მაშ, მე თვითონ წაგალ.

კარანდიშევი — ლარისა დამიტრიევნა, შესდექით! მატრიცები, მიპატიებია სუკელაფერი!

ლარისა — (მწარე დიმილით). გიპატიებიათ? მადლობელი ვარ. მაგრამ საქმე ის არის, რომ მე ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის ის რომ ბედი ისეთ არარაობას დაუკუკშირე როგორიც თქვენა ხართ.

კარანდიშევი — წავიდეთ, წავიდეთ იმ ქალაქიდან, ყველაფრის თანახმა ვარ.

ლარისა — გვიანდა არის. გთხოვდით საჩქაროდ წაგევფანეთ აქედან, ბოშითა გუნდიდან, — თქვენ ეს ვერ შესძლით; ჩანს ცხოვრებაც და სიკლილიც ბოშითა გუნდში მიწერია.

კარანდიშევი — ვემზდარებით... გამაბეღლიერეთ!

ლარისა — გვიანდა! ახლა ჩემ თვალშინ ოქრო აბრკუ-ვიალდა, ბრილიანტები აკაუდნენ.

კარანდიშევი — მე მხად ვარ ყოველგვარი მსხვერპლი გვაილო, მხად ვარ თქვენი გულისთვის ყოველგვარი დამცი-რება გადავიტანო.

ლარისა — (ზიზღით). გასწით, გამშორდით, თქვენ შეტად წვრილმანი და თან არარაობა ხართ ჩემთვის!

კარანდიშევი — მისხარით, რით შემიძლია დავიშმახუ-რო თქვენი სიყვარული? (მუხლებზე დაუცემა). მე თქვენ მიყვარ-ხართ, მიყვარხართ!

ლარისა — სტყუით! მე სიყვარულს ვეძებდი და ვერ ვი-ბოვე. მე მიყურებდნენ და მიყურებენ როგორც გასართობს. არასოდეს არავინ არ ცდილა, რომ ჩემს სულმი ერთხელ მაინც ჩიებდა, ვერავისგან ვერ ვიგრძენი თანაგრძნობა; არასოდეს ტებილი, გულითადი სიტყვა არ გამიგონია და ამნაირი ცხოვ-რება ხომ ცივია! მე დამნაშავე როდი ვარ, მე ვეძებდი სიყ-ვარულს და ვერ ვიპოვე... იგი ამ ქვეყნად არ არსებობს... მისი ძებნაც შეტია. და თუ სიყვარული ვერ ვიპოვე, მაშინ ოქ-როს მოვძებნი. გასწით, გამშორდით, მე თქვენი ვერ ვიქნები.

კარანდიშევი — (ადგება). ო, არ ინანოთ! (ჩაიყოფს ხელს ჯიბებში). თქვენ ჩემი უნდა იყოთ!

ლარისა — გისიც არ უნდა ვიყო, ოლონდ თქვენი არა!

კარანდიშევი — (ცხარედ). ჩემი არა?

ლარისა — არასოდეს!

კარანდიშევი — მაშ, ნურც ნურავის ერგები! (ესტრის უსახასი).

ლარისა — (ხელს გულზე იტაცებს). აჲ, მადლობელი ვარ! (ჩაიტე დაშესხვა).

კარანდიშევი — ეს რა გერი, რა... უჲ, უგუნურო! (დამ-ხმა ჩემიდან ფაუნარდება).

ლარისა — (ნახად). ჩემო კარგო, რომ იცოდე რა სიკეთე შეიქრის, დაშაბაზა აქეთ, აქ დასცე მაგიდაზე! ეს მე თვითონ, თევითონ... ამ, როგორი სიკეთეა! (დამბაზას აიღებს და მაგიდაზე დასტებს, ყავანანიდან გამოდითან: პარატოფი, კუროვი, ვოლევატოვი, რო-სისხინი, გამოილო და იგანე).

### გაგონევლა გვ-12

ლარისა, კარანდიშევი, პარატოვი, კნუროვი, მომავატოვი, რობინ თანი, გავრილო და ივანე

ეკილა — რა იყო? რა ამბავია?

ლარისა — მე თვითონ... არავინ არ არის დამნაშავე, არა. წინ... მე თვითონ... (სცენის გარეთ ბოშათა გუნდი სიმღერას იწყებს).

პარატოვი — უბრძანეთ გაჩიუმონ! გაჩიუმონ!

ლარისა — (თანდათან დასუსტებული ხმით). არა, არა, აის-თება! დე, იშიარულონ, ვისაც ემზიარულება... არ მინდა წინმეს ხელი შევუშალა! იცოცხლეთ, იცოცხლეთ უვალამ! თქექნეთვის საქიროა სიცოცხლე, ჩემთვის კი სიკედილი იყო საქირო. ვე არავის არ ვუჩიყი, არავის არ ვუჯავრდები... უკა-ლისი კარგი ხართ... თქვენ კველა... კველა მიყვარხარი... (ჩელით მაეროვან კოცას უგზავნის ყველას, ბოშათა ხმამაღალი სიმღერა).